

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების  
კავკასიური ინსტიტუტი

ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და  
სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები  
საქართველოში

აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები  
და მუსულმანი მესხები



თბილისი  
2002

ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში: აზერბაიჯანელები, ჯავახეთის სომხები და მუსულმანი მესხები – გია ნოდის საერთო რედაქციით. შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2002

გამოცემულია ეროვნული დემოკრატიის ფონდის (აშშ) და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინიციატივის დახმარებით

© შშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

**ISBN 99928-37-97-7**

*Ethnic-confessional groups and problems of civic integration in Georgia: Azeri, Javakheti Armenian and Muslim Meskhetian communities.* – Ghia Nodia (ed.), Caucasus Institute for Peace, Democracy and Development, Tbilisi, 2002

© Caucasus Institute for Peace, Democracy and Development

Published with the support of the National Endowment for Democracy (USA) and the European Initiative for Democracy and Human Rights

თბილისი, მერაბ აღლეჯიძის 1, ტელ. 334081, ფაქსი 334163  
ვებ გვერდი: <http://www.cipdd.org>

## შინაარსი

წინათქმა .....	5
აზერბაიჯანული თემი საქართველოში: ინტეგრაციის პრობლემები .....	8
სომხური თემი ჯავახეთში: კოლექტიური მოგონებები და დღევანდელი წუხილები .....	25
სამხრეთ საქართველოს მუსულმანური მოსახლეობა: რეპატრაციის პრობლემები .....	48
სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ჯავახეთში: მოსახლეობის წუხილები .....	72



## წინათქმა

გამოცემაში შესულია სამი სტატია საქართველოში უმცირესობათა ჯგუფებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის თაობაზე. საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. 1989 წლის აღწერის მიხედვით მისი მოსახლეობის 30% ეთნიკურად არაქართველი იყო. ეთნო-ნაციონალისტურმა რიტორიკამ, რაც ჭარბად ახასიათებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდს 1989-91 წლებში, ამ სფეროში დამაბულობის შექმნას შეუწყო ხელი. დამოუკიდებლობაზე გადასვლას თან ახლდა ორი ეთნოტერიტორიული ომი, რაც ორი თვითგამოცხადებული სახელმწიფოს – აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის – შექმნით დამთავრდა. მათი ტერიტორიები საქართველოს ტერიტორიის 15%-ს შეადგენს; აქ საქართველოს მოსახლეობის მოსახლეობის 10%-ზე მეტი ცხოვრობდა. დღეს მათ „გაყინული კონფლიქტის“ ზონებად მოიხსენიებენ. მათი არსებობაც და მათი მომავლის ზოგადი გაურკვევლობაც უაღრესად მძიმე მდგომარეობაში აყენებს საქართველოს სახელმწიფოს.

მაგრამ არც აფხაზები და არც ოსები საქართველოში რაოდენობრივად ყველაზე დიდ უმცირესობებს არ შეადგენდნენ. მათი პრობლემები დროებით გვერდზეც რომ გადავდოთ, დღეისათვის საქართველო მაინც მრავალეთნიკურ ქვეყნად დარჩება. შესაბამისად, ამ ჭრელი ეთნიკური მრავალფეროვნებიდან ახალი სამოქალაქო ერის ჩამოყალიბება უაღრესად რთული და პრიორიტეტული ამოცანაა საქართველოსთვის. უამისოდ ჩვენ ვერ შევძლებთ, შევეუერთდეთ თანამედროვე და დემოკრატიულ ქვეყანათა რიცხვს. ამ კონტექსტში საბჭოთა მემკვიდრეობა უაღრესად ნეგატიურ როლს თამაშობს. ეროვნული მიკუთვნებულობის რეგისტრაცია ხელს უწყობდა უფრო ეთნიკური, ვიდრე სამოქალაქო იდენტობის ჩამოყალიბებას; ბუნებრივი წინააღმდეგობა „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ ფარისევლური დოქტრინისადმი, რომელიც ასოცირებული იყო ტოტალიტარულ კომუნისტურ რეჟიმთან, ხელს უშლიდა განმანათლებლობის უნივერსალისტური იდეების ლეგიტიმურობას. ასეთ პირობებში მოქალაქეობის ერთიანი მოდელის შექმნა ეთნიკური მრავალფეროვნების ფონზე სრულიად ახალი ამოცანაა საქართველოსთვის; ასეთი ამოცანის გადაწყვეტა კი არც ერთი ქვეყნისთვის არ ყოფილა ადვილი.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ კითხვა, როგორ და რა პირობებით უნდა მოხდეს უმცირესობათა ჯგუფების ინტეგრაცია საქართველოს საზოგადოებაში, არასოდეს ქცეულა ჩვენში სერიოზული საჯარო დისკუსიის საგნად. საამისოდ რამდენიმე მიზეზი შეიძლება დავასახელოთ. ერთი ისაა, რომ გარდა დასახელებული სისხლიანი კონფლიქტებისა, დამოუკიდებელ საქართველოში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის თანაცხოვრება საკმაოდ მშვიდობიანად მიმდინარეობდა. შესაბამისად, ხალხის ყურადღებას სხვა, უფრო მწვავე პრობლემები იპყრობდა. მაგრამ, მარტო ეს არ არის საქმე. მას მერე, რაც ადრეული 90-იანი წლების ეთნიკურმა კონფლიქტებმა მრავალი უბედურება მოიტანა, ქართულ საზოგადოებას ერთგვარად ეშინია საკუთარი ინიციატივით დააყენოს პრობლემები, რომლებიც თითქოს მიძინებულა. მიჩნეულია, რომ ეთნიკური საკითხები ისეთი მგრძნობიარე და სახიფათოა, რომ მათი წინ წამოწევისგან თავი უნდა შევიკავოთ. მაგრამ პერსპექტივაში ასეთი მიდგომა შედეგიანი ვერ იქნება. როდესაც არსებობს ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებისაგან თვალშისაცემად გარიყული უმცირესობათა ჯგუფები, ამან არ შეიძლება ადრე თუ გვიან პრობლემები არ წამოჭრას.

წინამდებარე გამოცემაში რაიმე ზოგადი კონცეფცია წარმოდგენილი არ არის. აქ გაანალიზებულია სამი უმცირესობათა ჯგუფის პრობლემები და წუხილები, რომელიც დღევანდელი საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული. სტატიები შეიცავს შესაბამის პრაქტიკულ რეკომენდაციებსაც. სომხური და აზერბაიჯანული უმცირესობები რიცხვობრივად საქართველოს სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ყველაზე დიდია. მათი დიდი ნაწილი კომპაქტურად ცხოვრობს მათი ეთნიკური სამშობლოს საზღვარზე. ამგვარაა, რომ ისინი ნაკლებად არიან ინტეგრირებულნი ქართულ საზოგადოებაში; უმეტესობა არ ფლობს ქართულს და საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა ხდება ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც ფორმალურად არის. რაც გინდა მშვიდობიანი ყოფილიყო მათი ცხოვრება დღემდე, ამგვარი ვითარება მათ მრავალ პრობლემას უჩენს, ხოლო საქართველოს კი გრძელვადიანი გამოწვევის წინაშე აყენებს. მათგან განსხვავებით, მუსულმანი მესხები განსაკუთრებულ შემთხვევას შეადგენს. ისინი ძალით იყვნენ გასახლებული საქართველოდან 1944 წელს; ამჟამად მათი წარმომადგენლები გაბნეულნი არიან ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, ასევე თურქეთში. ბევრი მუსულმანი მესხი საქართველოში დაბრუნებას ან თუნდაც აქ დაბრუნების უფლებას ელტვის – რაც მათ დღემდე არ გააჩნიათ. დღესდღეობით სწორედ ეს პრობლემა იწვევს განსა-

კუთრებულ მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებას; საქართველოს სახელმწიფომ აიღო საერთაშორისო ვალდებულებები – ხელი შეუწყო მათ დაბრუნებას, მაგრამ ქართული საზოგადოების დიდი უმრავლესობა ეწინააღმდეგება ამგვარ პერსპექტივას.

გარდა ამ სტატიებისა, ბროშურაში შევიდა ანგარიში, რომელიც დაწერილია ჯავახეთის მოსახლეთა პრობლემების და წუხილების სოციოლოგიური კვლევის საფუძველზე.

ამ გამოცემის მიზანია საზოგადოებას გააცნოს საქართველოს უმცირესობათა პრობლემები, ხელი შეუწყო დისკუსიას ამ საკითხებზე და იმ რეკომენდაციების ირგლივ, რომელთაც აქ გამოქვეყნებული სტატიები გვთავაზობს.

წინამდებარე პუბლიკაციები ეყრდნობა იმ კვლევებს, რომლებიც ჩაატარა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიურმა ინსტიტუტმა დემოკრატიის ეროვნული ფონდის (აშშ) ხელშეწყობით. ამ სტატიათა ავტორები იყენებდნენ შეხვედრებისა და დისკუსიების მასალებს, რომელთაც აღნიშნული ინსტიტუტი 1999-2001 წლებში ატარებდა. ხარისხობრივი სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის ევროპული ინიციატივის ფარგლებში.

თავები ჯავახეთის სომხური თემისა და მუსულმანი მესხების შესახებ დაწერეს შესაბამისად დავით დანიშვილმა და ნანა სუმბაძემ. თავი აზერბაიჯანელთა თემის შესახებ დაწერა გია ნოდიაშვილმა გურამ სვანიძის ანგარიშის საფუძველზე. მარინა ელბაქიძეს ეკუთვნის ანგარიში სოციოლოგიური კვლევისა, რომელიც თავადვე ჩაატარა. არარატ ესოიანმა და მისმა კოლეგებმა ახალქალაქში მოქმედი ორგანიზაციიდან „რეფორმებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გამოკვლევის ორგანიზებაში. საერთო რედაქცია ეკუთვნის გია ნოდის.

# აზერბაიჯანული თემი საქართველოში: ინტეგრაციის პრობლემები

## ზოგადი შენიშვნები

საქართველოში აზერბაიჯანული თემი 1989 წლის აღწერის მიხედვით დაახლოებით სამას ათას ადამიანს ითვლის. აზერბაიჯანელთა უმეტესობა ცხოვრობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვემო ქართლის მხარეში (ადმინისტრაციული ცენტრი ქ. რუსთავი), ძირითადად – მარნეულის, გარდაბნის, ბოლნისის და დმანისის რაიონებში. თუმცა, ცალკეული აზერბაიჯანული დასახლებები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა, უმეტესწილად, გეოგრაფიულად აზერბაიჯანის მოსაზღვრე რეგიონებშიც გვხვდება. აზერბაიჯანელები ცხოვრობენ ქვეყნის დედაქალაქშიც, თბილისში. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელთა უმეტესობა მუსულმანი შიიტიია, თუმცა არიან სუნიტებიც. ეკონომიკური პროფილის მიხედვით აზერბაიჯანული მოსახლეობა ძირითადად სოფლის მეურნეობაშია დაკავებული. აზერბაიჯანელები ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დედაქალაქის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებაში.

ბოლო დროს საქართველოში აზერბაიჯანული დიასპორის პრობლემები იშვიათად იპყრობდა ქართული საზოგადოებისა და პრესის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებას; ეს მას განასხვავებს იმავე სამცხე-ჯავახეთისაგან, რომელსაც პრესა გაცილებით მეტ ყურადღებას აქცევს და ხშირად წერს ადგილობრივ სომხურ ნაციონალისტურ დაჯგუფებათა აქტივობაზე და მათ მოთხოვნებზე, რეგიონს გამორჩეული სტატუსი მიენიჭოს. საერთაშორისო ორგანიზაციებიც მეტ ინტერესს იჩენენ სამცხე-ჯავახეთის მიმართ. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე საქმე სხვაგვარად იყო: მაშინ მოხდა რამდენიმე შეტაკება ქართული და აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლებს შორის ეთნიკური ნიშნით ბოლნისსა და მარნეულში. ამ შეტაკებებს სერიოზული სისხლისღვრის ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ამ დაპირისპირების შედეგად ქ. ბოლნისის (მაგრამ არა მისი მიმდებარე სოფლების) აზერბაიჯანული მოსახლეობა იძულებული შეიქნა, ქალაქი დაეტოვებინა. ქართული ეროვნული მოძრაობის რადიკალური ელემენტები ღიად გამოთქვამდნენ შეშფოთებას იმის გამო, რომ აზერბაიჯანელთა შობადობის მაღალი დონე, რომელიც მკვეთრად აღემატებოდა შესაბამის მაჩვენებელს ქართველთა შორის,

საქართველოსთვის არასასურველ ეთნოდემოგრაფიულ ცვლილებებს გამოიწვევდა. მეორე მხრივ, საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა პეტიციები „ბორჩალოს ავტონომიის“ სტატუსის მოთხოვნით. ამ მოთხოვნებით აზერბაიჯანელი აქტივისტები მამინდელ საბჭოთა ხელისუფლებას მიმართავდნენ. მაგრამ აზერბაიჯანელების აქტიურ გამოსვლებს ან აზერბაიჯანული ორგანიზაციების მხრიდან რაიმე პოლიტიკური მოთხოვნების საჯარო წამოყენებას ადგილი არ ჰქონია. თბილისში პოლიტიკური ბრძოლის გამწვავებამ და აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთში) სერიოზულმა კონფლიქტებმა საზოგადოების ყურადღება დიდი ხნით მოწვევითა აზერბაიჯანული თემის პრობლემებს.

პოსტსაბჭოთა საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური განვითარების დინამიკის მიხედვით „აზერბაიჯანული“ რეგიონები ნაკლებად განსხვავდება საქართველოს სხვა მხარეებისაგან. ისინი არ გამოირჩევიან კონფლიქტურობის ფონით: პირიქით, პრესაში იშვიათად შეხვდებით რეპორტაჟებს აზერბაიჯანული მოსახლეობის მიერ გამართული საპროტესტო აქციებისა და ან რაიმე მათთან დაკავშირებული კონფლიქტური სიტუაციების შესახებ. იყო ცალკეული ექსცესები, გამოწვეული პოლიციისა და სხვა ძალოვანი სტრუქტურების მოქმედებით ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ინციდენტები სამართალდამცავებსა და მოსახლეობას შორის საქართველოში ნებისმიერ ნაწილში შეიძლება მოხდეს. 2000-2001 წლებში ორმა ასეთმა ძალადობრივმა ეპიზოდმა მასობრივი მღელვარება გამოიწვია აზერბაიჯანულ მოსახლეობაში. პირველ შემთხვევაში მთვრალმა ქართველმა მესაზღვრემ მოკლა აზერბაიჯანული ეროვნების საქართველოს მოქალაქე. მეორე შემთხვევაში, პოლიციელებმა განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს ოთხ ადამიანს, აქედან სამი ეთნიკური აზერბაიჯანელი იყო, ერთი – ბერძენი. მღელვარებას გამოხატული ეთნიკური ელფერი ჰქონდა, რადგანაც მესაზღვრეც და პოლიციელებიც ქართველები იყვნენ. ორივე შემთხვევაში შესაძლებელი გახდა მღელვარების სწრაფი ჩაცხრობა.

ქართული ენის არცოდნა აზერბაიჯანული თემის დიდი ნაწილის საქართველოს სამოქალაქო და პოლიტიკური პროცესებისგან იზოლირების მნიშვნელოვანი ფაქტორია. რუსულ და აზერბაიჯანულ სკოლებში, რომლებშიც აზერბაიჯანელთა უმრავლესობა სწავლობს, ქართული ენა კი ისწავლება, მაგრამ სწავლების დონე საკმარისი არ არის სახელმწიფო ენის დასაუფლებლად. მეტიც, აზერბაიჯანულ სოფლებში ახალგაზრდობამ თითქმის არ იცის რუსული და რაკი ქართველებშიც ცოტა ვინმემ თუ იცის აზერბაიჯანული, აზერბაიჯანულ ახალგაზრდობას თითქმის არ გააჩნია შანსი მონაწილეობა მიიღოს საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დემოკრატიულ პროცესებში, ან სამსახური იშოვოს აზერბაიჯანული დასახლებების გარეთ.

მკვლევარები საუბრობენ საქართველოს აზერბაიჯანული თემის ორ ძირითად მახასიათებელზე. პირველ რიგში, ეს არის მისი სოციალური ინერტულობა, სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის დაბალი დონე. როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში საქართველოს აზერბაიჯანელების სამოქალაქო აქტივობის ძირითად ფორმას წარმოადგენდა წერილი-საჩივრები განსხვავებული ინსტანციების მისამართით სხვადასხვა კერძო შემთხვევის თაობაზე. პოლიტიკური ქცევის ძირითად თავისებურებას, ერთი მხრივ, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის დაბალი დონე და, მეორე მხრივ, არსებული ხელისუფლების მიმართ სრული მხარდაჭერის გამოხატვა წარმოადგენს. პრეზიდენტი ელუარდ შევარდნაძე და საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, რომელიც უკანასკნელ პერიოდამდე ხელისუფლებასთან იყო გაიგივებული, „აზერბაიჯანულ“ რეგიონებში ტრადიციულად იღებდა ხმათა ძალიან დიდ პროცენტს, მაშინ როცა ოპოზიციური კანდიდატები და პარტიები თავიდანვე მოკლებული იყვნენ ყოველგვარ შანსს. მოქალაქეთა კავშირში განხეთქილების შემდეგ საქართველოს პარლამენტის აზერბაიჯანული წარმომომობის ექვსივე დეპუტატი შეუერთდა პრო-პრეზიდენტულ ფრაქციას „ალიანსი ახალი საქართველოსთვის“, რომლის ფარულ ხელმძღვანელობას ხშირად მიაწერენ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულს (არაფორმალურად – მხარის „გუბერნატორს“) ლევან მამალაძეს.

აზერბაიჯანული თემის მეორე დამახასიათებელ ნიშანს მისი ჩაკეტილობა და იზოლირებულობა წარმოადგენს. მისი შინაგანი ცხოვრება და უცხოეთის გამძნული იმიჯი მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ცხადია, ეს უკანასკნელი მახასიათებელი მხოლოდ ავსებს პირველს. თემს აქვს საკუთარი პრობლემებისა და უკმაყოფილებების საკუთარ თავში გადახარშვის ტენდენცია და, როგორც წესი, გაურბის პრობლემების საჯარო სფეროში გამოტანას. კერძოდ, თემის გარკვეულ ჩაკეტილობას ადასტურებს აზერბაიჯანელების კომპაქტურ დასახლებებში სოციოლოგიური კვლევების ჩატარების პრაქტიკა. მასობრივი გამოკითხვების ჩატარება ხშირად ფორმალურ ღონისძიებად იქცევა; სოციოლოგიური ანკეტები, როგორც წესი, ვერ აფიქსირებს არათუ გამოკვეთილ უკმაყოფილებას, არამედ აზრთა შეხედულებათა მინიმალურ მრავალფეროვნებასაც კი. ეს განსაკუთრებით მართალია მაშინ, როდესაც ინტერვიუები ეთნიკური ქართველები არიან. გაცილებით ხარისხიანი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ადგილობრივი ინტერვიუების – ეთნიკური აზერბაიჯანელების – საშუალებით. მაგრამ ამ შემთხვევებშიც ჩნდება იმის ვარაუდის საფუძველი, რომ რესპონდენტები „უცხოებთან“, განსაკუთრებით კი მათთან, ვინც თბილისთან და მითუმეტეს ხელისუფლებასთან არის ასოცირებული, ყველაზე მტკივნეულ

ლი პრობლემების წინ წამოწევისაგან თავს იკავებენ. აზერბაიჯანელები ამჯობინებენ, ხაზი გაუსვან საკუთარი ცხოვრების „ნორმალურობას“ და ქართულ მოსახლეობასა და სახელმწიფოსთან ურთიერთობაში პრობლემების არარსებობას. მაგრამ „თავისიანებთან“ და ასევე აზერბაიჯანული ხელი-სუფლების მიმართ გაგზავნილ საჩივრებში ისინი სერიოზულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ მთელი რიგი პრობლემების თაობაზე.

საზოგადოებრივი, არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუტი „აზერბაიჯანულ“ რეგიონებში უკანასკნელ პერიოდამდე შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, როგორცაა „ბირლივი“, „გეირათი“ და ზოგიერთი სხვა, დიდხანია, არსებობს; ისინი, ძირითადად, კულტურულ-საგანმანათლებლო პრობლემებზე არიან ორიენტირებული. მათში წამყვან როლს ასრულებენ საშუალო და უფროსი ასაკის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ხელისუფლების მიმართ თავის პოლიტიკურ ლოიალობას უსვამენ ხაზს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაიწყო ახალი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ძირითადად – თბილისში არსებული ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“-ს დახმარებით. ისინი ორიენტირებული არიან ახალგაზრდობისა და გენდერულ საკითხებზე. მაგრამ მათ ჯერ კიდევ მოუწევთ საზოგადოებრივი გავლენის მოპოვება, აზერბაიჯანული დიასპორის წინაშე მდგარი პრობლემების გამონატვის ადეკვატური ფორმებისა და მათი მოგვარების ხელშეწყობის გზების პოვნა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეზობელ აზერბაიჯანთან კავშირების ფაქტორი. „აზერბაიჯანული“ რეგიონების მოსახლეობა მჭიდრო კონტაქტშია თავის ეთნიკურ სამშობლოსთან, და მათი ქცევა ბევრ შემთხვევაში ამ უკანასკნელის გავლენით იხსნება. რეგიონში თითქმის ყოველ მსხვილ, აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ სოფელს აქვს სატრანსპორტო კავშირი ბაქოსთან და მეზობელი სახელმწიფოს სხვა მსხვილ ქალაქებთან (არის ასევე რეგულარული რეისები თურქეთში). შეძლებული აზერბაიჯანელები ცდილობენ შეიძინონ სატელიტური თეფშები იმისათვის, რომ ბაქოსა და თურქეთის ტელევიზიის ყურების საშუალება ჰქონდეთ. ქალაქ მარნეულში, საქართველოს სხვა ქალაქებისაგან განსხვავებით, თვალში გეცემათ სატელიტური ანტენების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობას მკაფიოდ არ ჩამოუყალიბდა სამოქალაქო მიკუთვნებულობის ცნობიერება. ეს ვლინდება იმაში, რომ აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენლები ხშირად მიმართავენ ყოფითი და სოციალური საკითხებით როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანის მთავრობას. როგორც ამბობენ, საპრეზიდენტო არჩევნებისას ზოგიერთი ამომრჩეველი ბიულეტენზე ჰეიდარ ალიევის სახელს ეძებდა.

ამ თვალსაზრისით, აზერბაიჯანის სახელმწიფოს გავლენა აზერბაიჯანულ დიასპორაზე შეიძლება ჩაითვალოს დადებითად, აზერბაიჯანული დიასპორის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელსშემწყობად. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ახლო, მოკავშირე სახელმწიფოებრივი ურთიერთობები, სახელდობრ, ეღუარდ შევარდნაძესა და ჰეიდარ ალიევს შორის მეგობრული ურთიერთობები ფართოდაა რეკლამირებული. აზერბაიჯანულ დასახლებებში შესაძლებელია შევარდნაძისა და ალიევის მრავალი პლაკატის ნახვა. ეს ყველაფერი აშკარად ხელს უწყობს აზერბაიჯანელების ლოიალურ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. ბევრი აზერბაიჯანელი ამბობს, რომ ბაქოში მათ ურჩევენ მხარი დაუჭირონ საქართველოს მთავრობას და ისწავლონ ქართული ენა და პირიქით, არ ურჩევენ იმ საკითხების წამოჭრას, რომელნიც მტკივნეულად შეიძლება იყოს აღქმული ქართული საზოგადოების მიერ. მაგალითად, ქვემო ბოლნისის (კაპანახჩი) ერთ-ერთ მცხოვრებთან საუბრისას კითხვაზე, თუ რას ფიქრობს მოსახლეობა ბოლნისის რაიონში 90-იანი წლების დასაწყისში აზერბაიჯანული ტოპონიმების ქართულით შეცვლაზე, მან გულუბრყვილოდ უპასუხა, რომ ამის შესახებ მათთვის ბაქოში არაფერი უთქვამთ.

მთლიანობაში, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ჩაითვალოს დადებითად. აზერბაიჯანული თემი „ირიბი ლოიალურობის“ მაგალითად გამოდგება; თემის სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივობა მეტწილად დამოკიდებულია ბინადრობის ქვეყანასა და ეთნიკური წარმოშობის ქვეყანას შორის ურთიერთობაზე. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მეგობრული ურთიერთობები სასურველ ფონს ქმნის აზერბაიჯანული თემის სამომავლო ინტეგრაციისთვის, მაგრამ ამ ეტაპზე „ირიბი ლოიალურობის“ ფენომენის არსებობა სწორედ არაინტეგრირებულობაზე მიუთითებს. აზერბაიჯანული მოსახლეობის მხრიდან არსებული ხელისუფლების ერთსულოვანი მხარდაჭერა შეიძლება აიხსნას არამარტო ქართულ-აზერბაიჯანული მეგობრობით, არამედ აზერბაიჯანული თემის სამოქალაქო და პოლიტიკური პროცესებისგან განზე დგომით, და ასევე უმცირესობისათვის ზოგადი სიფრთხილით: ის ამჯობინებს არ ჩაერიოს „ქართულ შინაპოლიტიკურ თამაშებში“ და ხელისუფლების პარტიის მხარდაჭერით სახელმწიფოს მიმართ ლოიალურობას უსვამს ხაზს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარე ფაქტორების გავლენა არ შეიძლება აზერბაიჯანული ხელისუფლების ოფიციალურ განწყობებზე იყოს დაყვანილი. აზერბაიჯანულ პრესაში ცოტა როდია ისეთი მასალა, რომელშიც დამამცირებლად მოიხსენიება საქართველო და ქართველები, ქვემო ქართული დასახლებულია „ისტორიულად თურქულ მხარედ“, ხოლო იქ მცხოვრები აზერბაიჯანელები „ბორჩალოელ თურქებად“ და ა. შ. 2001 წლის

ზემოთ აღწერილმა ეპიზოდმა, როცა პოლიციამ სასტიკად სცემა სამი აზერბაიჯანელი და ერთი ბერძენი, აზერბაიჯანულ პრესაში ანტიქართული პუბლიკაციების ტალღა გამოიწვია. აქამდე სახელმწიფოთა შორის კეთილშეგობრული ურთიერთობების ფონზე ამგვარი გამოსვლები იშვიათად იქცევა და ქართული საზოგადოების ყურადღებას და არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი რაიმე გავლენას ახდენენ საქართველოში აზერბაიჯანული თემის პოლიტიკურ ქცევაზე. მიუხედავად ამისა, არც ის იქნება სწორი, უგულებელვყოთ ის პოტენციური რისკი, რაც შეიძლება გამოვლინდეს საქართველოში და/ან აზერბაიჯანში ეთნო-ეროვნული განწყობების გაძლიერებისას.

## **საქართველოს აზერბაიჯანული დიასპორის ძირითადი პრობლემები**

ამ თავში დახასიათებული იქნება აზერბაიჯანული მოსახლეობის წუხილის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. ზოგიერთი ამ პრობლემათაგანი (სიღარიბე, უმუშევრობა, სოციალური დაცვის უქონლობა და ა. შ.) მათ საქართველოს მთელ მოსახლეობასთან აერთიანებს. ამავე დროს, არსებობს პრობლემების მთელი რიგი, რომელიც მეტ-ნაკლებად სპეციფიკურია სწორედ აზერბაიჯანული დიასპორისთვის.

ზოგადი სურათის მისაღებად საინტერესოა 2001 წელს სოციოლოგურამ სვანიძის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგების გაანალიზება. კვლევის მიზანი იყო ქართული საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფებში ემიგრაციული განწყობის დონის დადგენა. ეთნიკური აზერბაიჯანელების ინტერვიუებზე ჩართვამ შესაბამისი თემიდან უფრო სანდო ინფორმაციის მიღება განაპირობა. ემიგრაციული განწყობების ძირითად მიზეზების მიხედვით აზერბაიჯანელი რესპონდენტები არაფრით არ განსხვავდებოდნენ დანარჩენებისაგან: ემიგრირების სურვილის ძირითადი მიზეზები იყო „უმუშევრობა“, „ცხოვრების დონის დაცემა“, „მომავალში დაურწმუნებლობა“. საზღვარგარეთ გასვლის ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზებს შორის აზერბაიჯანულ ქვეყნებში დასახელდა: „რელიგიური გრძნობების დაკმაყოფილების შეუძლებლობა“, „ენისა და კულტურის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შეუძლებლობა“ და ა. შ. შუალედური პოზიცია რანგის მიხედვით დაიკავა „ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ეთნიკურ ცრურწმენებზე დამყარებული არაკეთილსასურველი ურთიერთობების“ ფაქტორმა, მაგრამ ესეც იმ მიზეზთაგანია, რომელთაც მცირე ფაქტორული წონა გააჩნიათ.

ყველაზე საგულისხმო ისაა, რომ ემიგრაციული განწყობები აზერბაიჯანულ მოსახლეობაში უფრო სუსტადაა გამოხატული, ვიდრე ქართველებსა და სომხებს შორის. მეტიც, „პატრიოტული გრძობები“, როგორც ემიგრაციისგან თავის შეკავების მოტივი, ქართველებთან და სომხებთან შედარებით უფრო მაღალი რანგით იყო წარმოდგენილი, ვიდრე აზერბაიჯანელი რესპონდენტების ჯგუფში. დაფიქსირებულია ასევე რეპლიკები, რომელნიც ადასტურებენ გამოვითხულთა საქართველოსადმი მიჯაჭვულობას, წასულების ნოსტალგიას მის მიმართ და ა. შ. ემიგრაციის ისეთი ფაქტორიც კი, როგორცაა „ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება“ (იგულისხმება აზერბაიჯანი) ნაკლებად მნიშვნელოვან მიზეზთა შორისაა. არ არსებობს სანდო მონაცემები აზერბაიჯანელების რეალური ემიგრაციის შესახებ, მაგრამ ზემოთ მოცემული შედეგები იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ აზერბაიჯანელები სხვა ეთნიკურ ჯგუფებზე ნაკლებად მიდიან საქართველოდან.

ყოველივე ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში საქართველოში აზერბაიჯანული დიასპორის მდგომარეობა მწვავე პრობლემათა რიცხვს არ განეკუთვნება და თვითონ აზერბაიჯანელები არ არიან მიდრეკილნი კრიტიკულად განიხილონ საკუთარი მდგომარეობა.

მაგრამ იმავე გამოვითხვამ ასევე დააფიქსირა საქართველოში აზერბაიჯანული თემის სერიოზული შეჭირვებანი, რომელთაც მთლიანად ვერ მივაწერთ საერთო სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. ამ თავში გაანალიზებული იქნება ის ძირითადი პრობლემები, რაც აწუხებს აზერბაიჯანულ თემს და მეტ-ნაკლებად სპეციფიკურია მისთვის. ამ პრობლემათა გასაცნაურებლად გამოყენებულია, ერთი მხრივ, ზემოხსენებული გამოვითხვის მასალები: გურამ სვანიძის მიერ აზერბაიჯანული დიასპორის ცალკეული წევრების, ძირითადად, საზოგადოებების – „ბირლიკ“ და „გეირათი“ – აქტივისტების (მათ შორის, ზოგიერთი პარლამენტის წევრის), არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების, ასევე პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელთა გამოვითხვის შედეგები. გარდა ამისა, გამოყენებულია შვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ თბილისსა და მარნეულში ორგანიზებული მრგვალი მაგიდების მასალები. ამ წყაროების მიხედვით, აზერბაიჯანული თემის წინაშე ყველაზე მწვავედ შემდეგი პრობლემები დგას:

## საკადრო პოლიტიკა

აზერბაიჯანელების მიერ კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ადგილობრივ ხელისუფლებაში წამყვანი პოზიციები არააზერბაიჯანელებს უკა-

ვიათ. ეს იწვევს ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუტებისგან მოსახლეობის ეთნიკურ საფუძველზე გაუცხოებას და აჩენს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გამოთიშულობის გრძობას. ეს ფაქტი ნაწილობრივ იხსნება იმით, რომ აზერბაიჯანელთა შორის ქართული ენის კარგი მცოდნე ცოტაა. თუმცა, როგორც აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები ამბობენ, შიდა ქართლში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, რომელნიც განათლებას ქართულ ენაზე იღებენ, მაგრამ ისინიც მინიმალურად არიან წარმოდგენილი რეგიონში მართვის პირველ საფეხურზე. ცოტაა აზერბაიჯანელი სამართალდამცავ ორგანოებშიც. ასეთი მდგომარეობა მხოლოდ სახელისუფლო სტრუქტურებში არაა. როგორც სოციოლოგიური კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ: „ყოველთვის გაგრძობინებენ, რომ ქართველი არა ხარ“; მათი თქმით, სამუშაოზე მიღებისას ქართველებს ყოველთვის უპირატესობა ენიჭებათ სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით.

აზერბაიჯანელები მწირად არიან წარმოდგენილი ცენტრალურ ხელისუფლებაში. პარლამენტში ექვსი აზერბაიჯანელი დეპუტატია და ექვსივე პროპრეზიდენტულ ფრაქციას მიეკუთვნება, მაგრამ ისინი არ იღებენ საკმარისად აქტიურ მონაწილეობას პარლამენტის მუშაობაში. აზერბაიჯანელები მინიმალურად არიან წარმოდგენილი აღმასრულებელ ხელისუფლებაში: ყველაზე მაღალჩინოსანი მათში ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეა.

## მოსახლეობის დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოებისადმი

ამ პრობლემის განსაკუთრებულ სიმწვავეზე მიუთითებს ის ზემოხსნებულის ფაქტი, რომ სწორედ უკანონო ძალადობამ პოლიციის მხრიდან გამოიწვია აზერბაიჯანული მოსახლეობის მხრიდან მასობრივი პროტესტის გამოხატვა. თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ პოლიციელები განსაკუთრებით შეურაცხმყოფელად ეპყრობიან აზერბაიჯანელებს; ეს აღიქმება როგორც შეურაცხყოფა ეთნიკურ ნიადაგზე, რადგან, როგორც ითქვა, პოლიციელთა უმრავლესობა ქართველია. სატრანსპორტო პოლიცია რეგულარულად დარცავს გლეხებს, რომელთაც გასაყიდად მიაქვთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. რაკი აზერბაიჯანელების უმრავლესობა სოფლის მეურნეობაზე და ბაზარზეა დამოკიდებული, ქართული სატრანსპორტო პოლიციისთვის საზოგადოდ დამახასიათებელი ეს პრაქტიკა განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმება აზერბაიჯანელების მიერ და თემის საერთო პრობლემად მიიჩნევა.

ხშირია საჩივრები შინაგან საქმეთა ორგანოების მიმართ პასპორტების გაცემასა და საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებული

პრობლემების გამო. მრავალი აზერბაიჯანელი, ისევე როგორც საქართველოს სხვა მოსახლე, ქვეყნიდან გადის სამუშაოდ. ამის გამო მათ რეგულარულად უხდებათ ქრთამის მიცემა შინაგან საქმეთა ორგანოებში პასპორტის მისაღებად. ახალგაზრდები, რომელნიც ქვეყნიდან განათლების მისაღებად გავიდნენ რამდენიმე წლით, ხვდებიან სირთულეებს საცხოვრებელი ადგილის ან მოქალაქეობის რეგისტრაციის აღდგენისას და ამ სირთულეებს ისევ ქრთამის მეშვეობით აგვარებენ. უნდა აღინიშნოს, რომ იგივე პრობლემები აქვთ საქართველოს სხვა რეგიონების მაცხოვრებლებსაც მათი ეროვნებისგან დამოუკიდებლად.

## საზღვრისა და საბაჟოს პრობლემები

ვინაიდან ვაჭრობა და ეკონომიკური კონტაქტები მეზობელ აზერბაიჯანთან მნიშვნელოვანია აზერბაიჯანული მოსახლეობისთვის, აზერბაიჯანულ-ქართული საზღვრის მაქსიმალურ გამჭვირვალებას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თეორიულად, საზღვარზე არასავიზო რეჟიმმა არ უნდა შექმნას დაბრკოლებები; გარდა ამისა, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს საზღვრის გაზრდილ გამჭვირვალებაზე იქ, სადაც ეთნიკური უმცირესობა საკუთარი „ეთნიკური სამშობლოს“ მეზობლად ცხოვრობს. მაგრამ მდგომარეობას ართულებს ფართომასშტაბიანი კორუფცია საზღვრის საბაჟო სამსახურებში. ტვირთიანი მანქანები დიდხანს დგას საზღვარზე, და დიდი გადასახადის გადახდა უწევთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემა საერთოა მთელი ქვეყნისთვის, რაკი მეტაჟეთა შორის ცოტაა ეთნიკური აზერბაიჯანელი, ასეთი ეპიზოდები ეთნიკური კუთხით აღიქმება.

## აზერბაიჯანელები ქართულ ჯარში

მრავალი საჩივარია აზერბაიჯანული წარმომშობის სამხედროების მიმე მდგომარეობაზე ქართულ ჯარში. ისინი ხშირად არიან შეურაცხყოფისა და ცემის მსხვერპლნი. ასეთი შემთხვევები ქართულ ჯარში, სამწუხაროდ, იშვიათი არაა, თანაც მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამხედრო მისი ეთნიკური წარმომშობის მიუხედავად. მაგრამ ქართულ ჯარში „დედოფშინის“ თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სამხედროები იყოფიან არა იმდენად ძველი და ახალშემოსული ჯარისკაცების პრინციპით, არამედ რეგიონალური ან ეთნიკური პრინციპებითაც. შესაბამისად, გარკვეულ დანაყოფებში ცემისა და შეურაცხყოფის ძირითადი მსხვერპლი შეიძლება სწორედ აზერბაიჯანელები გახდნენ. იყო ერთ-ერთი დანაყოფიდან აზერბაიჯანელების მასობრივი განდევნის შემთხვევაც.

## მიწის პრობლემა

მიწის პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა აზერბაიჯანული თემისთვის, რომლის ეკონომიკური ცხოვრება, ძირითადად, მიწათმოქმედებაზეა ორიენტირებული. აზერბაიჯანელები გამოთქვამენ უკმაყოფილებას რეგიონში მიწის რეფორმის სირთულეებთან დაკავშირებით. პრობლემას ართულებს 21-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლის არსებობა, სადაც ქართული კანონმდებლობის მიხედვით არ შეიძლება მიწის პრივატიზირება. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები ამბობენ, რომ მიწათმოქმედებისთვის ყველაზე მეტად გამოსადეგი მიწები ამ ზოლშია მოქცეული. ასეთი ზოლის შექმნას რეგიონის მოსახლეობა ხშირად განიხილავს როგორც ეთნიკურად აზერბაიჯანელი გლეხებისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემაზე უარის სათქმელ საბაბს. ეს უბნები უჭირავთ არამომგებიან სამხედრო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, რომელთაც მოსახლეობა კორუფციის ბუდედ მიიჩნევს. ამგვარად, მრავალი სავარგული არ გამოიყენება ან გამოიყენება არაეფექტურად, მაშინ როცა ადგილობრივი გლეხები იქცევიან დაქირავებულ მუშებად იმ პირობებთან, ვინც სამხედრო მეურნეობის მიწების ნაწილი შეღავათიან პირობებში შეისყიდია. ყოველივე ეს სერიოზულ უკმაყოფილებას იწვევს აზერბაიჯანულ თემში.

## სახელმწიფო ენის არცოდნა

აზერბაიჯანული მოსახლეობის უმრავლესობის მიერ ქართული ენის არცოდნა სხვადასხვა თვალსაზრისით ართულებს მათ ცხოვრებას. საქართველოში 159 აზერბაიჯანული სკოლაა, გარდა ამისა, ბევრი აზერბაიჯანელი ბავშვი რუსულ სკოლაში დადის. ასეთ სკოლებში ქართული მხოლოდ ერთ-ერთ საგნად ისწავლება, მისი სწავლების დონე საკმაოდ დაბალია. რა თქმა უნდა, კარგია, რომ მოსწავლეებს (უფრო სწორად, მათ მშობლებს) სწავლების ენის არჩევა შეუძლიათ, მაგრამ შედეგი ისაა, რომ არაქართული სკოლის კურსდამთავრებულებმა ქართული თითქმის არ იციან. ეს კი ქვეყნის კულტურული, სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებისაგან აზერბაიჯანული თემის გაუცხოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ვინაიდან მოსახლეობა ქართულს არ ფლობს, ხოლო სახელმწიფო მოხელეებმა აზერბაიჯანული არ იციან, იქმნება სირთულეები მოსახლეობის სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას. მითითებები იმაზე, რომ აზერბაიჯანელებმა არ იციან ქართული, ხშირად ჟღერს როგორც საყვედური, რომელთაც ისინი დაუმსახურებლად მიიჩნევენ. თემის წარმომადგენლები თვლიან, რომ ენის პრობლემა ძალიან რთულია და მისი ცალსახა გადაწყვეტა არ არსე-

ბობს. აუცილებელია დრო იმისათვის, რომ სახელმწიფო ენამ აზერბაიჯანელების კომპაქტურ დასახლებებში ფენი მოიცილოს.

ენის არცოდნასთან ნაწილობრივ დაკავშირებულია კიდევ ერთი ფაქტორი – სამართლებრივი განათლების დაბალი დონე. მოსახლეობა არაა ინფორმირებული ახალი საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომელთაც პარლამენტი ან აღმასრულებელი ხელისუფლება იღებს. ცხადია, ეს პრობლემა ქართული მოსახლეობისთვისაც არსებობს, მაგრამ ენის უცოდინრობა დამატებით სირთულეებს ქმნის კანონებში გასარკვევად. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენელთა აზრით, ეს გარემოება ხელს უწყობს სახელმწიფო მოხელეთა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.

ენის უცოდინრობის ერთ-ერთი შედეგია ქვეყნის ცხოვრებაზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის. ეს არის კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც მოსახლეობა საზოგადოების ცხოვრებისაგან გამოთიშულია და აქტიურად არ მონაწილეობს ქვეყნის სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები სვამდნენ საქართველოს ტელევიზიაში აზერბაიჯანულ ენაზე გადაცემებისათვის საეთერო დროის გამოყოფის საკითხს.

აზერბაიჯანული მოსახლეობა, ყოველ შემთხვევაში მისი ელიტარული ან ქალაქში მცხოვრები ნაწილი, ქართული ენის სწავლის სურვილს გამოთქვამს. მათი მხრიდან ხშირია კრიტიკული შენიშვნები იმის თაობაზე, რომ სახელმწიფო არასაკმარის ღონისძიებებს ატარებს ქართული ენის გავრცელებისა და სწავლებისათვის. ხანდახან ამას ხსნიან იმით, რომ სახელმწიფო აზერბაიჯანულ ახალგაზრდობას ემიგრაციისკენ უბიძგებს. ქართული ენის სწავლების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით უმცირესობების მიერ კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ქართულის მასწავლებლები იღებენ მომატებულ ხელფასს, მაგრამ ამან ჯერჯერობით არ გამოიღო დადებითი შედეგი. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლები თვლიან, რომ ქართული ენა უნდა ასწავლონ სპეციალისტებმა, რომელნიც აზერბაიჯანულ ენასაც ფლობენ. გამოითქმება წინადადებები იმაზეც, რომ საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლებისათვის გამოყოფილი საათები გაიზარდოს კვირაში 3-დან 6 საათამდე. უკმაყოფილებას იწყებს ქართული ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოების ძალადი ფასი.

## განათლების პრობლემები

როგორც საქართველოს ყველა სხვა რეგიონში, აქაც განათლების პრობლემები ყურადღების ცენტრშია. ჰედაგოგები ჩივიან დაბალი ხელფასების გამო, რომელთაც ხშირად არ უხდიან ან უხდიან დაგვიანებით, მაგრამ ეს

ისევ და ისევ მთელი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. თემის წარმომადგენლები სვამენ რეგიონის ქართულ სკოლებში (რომლებშიც აზერბაიჯანელები სწავლობენ) აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხს. აზერბაიჯანულ სკოლებში იგრძნობა გარკვეული საგნების პედაგოგების ნაკლებობა. საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოების ბეჭდვითი ხარისხი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ზოგიერთ საგანში აზერბაიჯანიდან მიღებული წიგნების ხარისხს.

## გენდერული პრობლემები

ქალთა მდგომარეობა სულ უფრო ფართოდ განიხილება იმ პრობლემათა შორის, რომლებიც აწუხებს აზერბაიჯანულ თემს, ყოველ შემთხვევაში – მის ელიტარულ ნაწილს. ყველაზე საგანგაშოა მოტაცებათა რაოდენობის მკვეთრი ზრდა; ამასთან, იტაცებენ პატარა გოგონებს (13-15 წლის). ასეთ ახალგაზრდა ასაკში გათხოვილი გოგონები თავს ანებებენ სწავლას, ასე რომ X-XI კლასებში მათი რაოდენობა საგრძნობლად ნაკლებია, ვიდრე ბიჭებისა. მთლიანობაში, ოჯახები არ უჭერენ მხარს გოგონების სწავლას. ხშირია ოჯახებში ქალების მიმართ ძალადობის შემთხვევები.

## ახლო წარსულის მემკვიდრეობა

აზერბაიჯანული თემის კოლექტიურ მემსიერებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ეპიზოდები ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლებისა და ეროვნული მოძრაობის პერიოდიდან, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო დაძაბულობა ეთნიკურ საფუძველზე. იმ პერიოდიდან გადმოსული ზოგი მტკივნეული პრობლემა დღესაც გადაუწყვეტელია. როგორც ითქვა, მრავალი აზერბაიჯანული ოჯახი მაშინ აზერბაიჯანში წავიდა, ზოგი მათგანი – უშუალო ზეწოლის ქვეშ. წასვლის წინ აზერბაიჯანელები ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ასყიდებდნენ საკუთრებას და ფულს შემნახველ სალაროში დეპოზიტზე აბარებდნენ. დღეს არც ანგარიშებია და არც ფული, და მათი ასავალ-დასავალი არავინ იცის. ამ ფულის პატრონები სვამენ თავისი საკუთრების აღდგენის საკითხს.

ზოგიერთი რესპონდენტი მოითხოვს ბოლნისის რაიონში იმ აზერბაიჯანული ტოპონიმების აღდგენას, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს.

## ავტონომიის [არარსებული] საკითხი

ბოლო წლებში არ დასმულა საკითხი აზერბაიჯანული დასახლების რეგიონებისთვის (რომელთაც ხშირად ბორჩალოდ მოიხსენიებენ) განსაკუთ-

რებული ტერიტორიული სტატუსის შესახებ. ნებისმიერი შესენება 1989 წელს არსებული „ბორჩალოს ავტონომიის“ გემის შესახებ აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლებში მკვეთრად უარყოფით რეაქციას იწვევს. ის ფაქტი, რომ ასეთი მოთხოვნები მართლაც იყო წამოყენებული, ცალკეულ ანონიმურ „პროვოკატორებს“ მიეწერებათ.

თუმცა, არის იმის ნიშნები, რომ აზერბაიჯანულ თემშიც ნაციონალისტური განწყობის გარკვეული პოტენციალი არსებობს. ჩვეულებრივ, ნაციონალისტური პროგრამების ჩამოყალიბება იწყება ისტორიის მითოლოგიზირებული ვერსიების გავრცელებით. ბორჩალოს რეგიონის ისტორიის ამგვარი ვერსიის პუბლიკაციამ უურნალში „მოლა ნასრედინ“, ასევე სხვა მასალების გამოქვეყნებამ, რომელნიც აღქმული იყო საქართველოსა და ქართველების შეურაცხყოფელად, სკანდალური რეაქცია გამოიწვია. ისტორიული წარსულის ამგვარი ვერსიები, რომელნიც პოტენციურად ირედენტისტული პოლიტიკური პროგრამების გამართლებისკენაა მიმართული, მოსახლეობაშიც გავრცელებულია.

## რელიგიის სფერო

აზერბაიჯანული მოსახლეობის წარმომადგენლები რელიგიურ პრობლემებს აქტუალურად არ მიიჩნევენ. არ არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ აზერბაიჯანელები რაიმე შევიწროვებას განიცდიან საკუთარი რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას. თუმცა, სიტუაცია რამდენადმე შეიცვალა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, როცა საქართველოს მთავრობის მხრიდანაც გაიზარდა ყურადღება ისლამური ორგანიზაციების მოღვაწეობის მიმართ. საქართველოს მთავრობამ დროებით, საკითხის გამოძიებამდე, შეაჩერა 11 მეჩეთის მშენებლობა, ვინაიდან გაჩნდა ეჭვი, რომ რამდენიმე მათგანი უცხოური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციების სახსრებით შენდება. ცხადია, ამას აზერბაიჯანული თემის კმაყოფილება არ გამოუწვევია.

## რეკომენდაციები

ეთნიკური აზერბაიჯანული თემის ინტეგრაცია ქართულ სამოქალაქო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ამ ჯგუფთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ეს სტრატეგია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აზერბაიჯანული თემის თვითმყოფადობის შენარჩუნებას, რაც მის ენაში, კულტურულ მემკვიდრეობასა

ან რელიგიაში გამოიხატება, რამდენადაც თავად ამ თემის წევრებს სურთ მისი შენარჩუნება. უკანასკნელი პერიოდის გამოცდილება გვაჩვენებს, რომ აზერბაიჯანული თემი ძალიან შორსაა ძალისმიერი თუ ნებაყოფლობითი ასიმილაციის საშიშროებისაგან. პირიქით – საქართველოს ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს ჩამოშორება ან გარიყულობის გრძნობა საქართველოს აზერბაიჯანული მოქალაქეების ძირითად სატკივარს შეადგენს.

საქართველოს მთავრობას ბრალს ვერ დავდებთ აზერბაიჯანული თემის მიმართ დისკრიმინაციის პოლიტიკაში, მაგრამ ეს მოცემულ პირობებში საკმარისი არ არის: საჭიროა მათ ინტეგრაციაზე მიმართული აქტიური პოლიტიკური ღონისძიებების გატარება და ამ მიზნის მისაღწევად მიმართულ ქმედებათა შესაბამისი გეგმის შემუშავება.

ქვემოთ დასახელებული სფეროები მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას საქართველოს მთავრობის, საერთაშორისო დონორებისა და სხვა დაინტერესებული პირების მხრიდან.

1. **ენის სწავლება.** სახელმწიფო ენის ცოდნა არის აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი, პირობა ნებისმიერი უმცირესობის, მათ შორის აზერბაიჯანელთა, სამოქალაქო ინტეგრაციისთვის. ამიტომ საჭიროა ამ მიმართულებით მთელი რიგი საჭიროებების განხორციელება: ქართულს, როგორც არამშობლიური ენის, სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება აზერბაიჯანული თემის მოთხოვნების გათვალისწინებით; ქართულ-აზერბაიჯანული ენოვანი მასწავლებლების მომზადება; რუსულ და აზერბაიჯანულ სკოლებში ქართული ენის გაკვეთილების გაზრდა; აზერბაიჯანელი ბავშვების ქართულ სკოლებში მიზიდვა (ცხადია, ნებაყოფლობითობი საფუძველზე); აზერბაიჯანული ახალგაზრდობისთვის საქართველოში ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლებისათვის სტიპენდიების დანიშვნა; მოზარდთა ენობრივი განათლების სხვადასხვა კურსების ორგანიზება, და ა. შ.
2. **ინფორმაციის ნაკადი.** ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმირებულობა მათში მონაწილეობის აუცილებელი წინაპირობაა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური უფლებაა. ინფორმაციის არქონა განაპირობებს მცდარი, არაადეკვატური წარმოდგენების გავრცელებას ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციის შესახებ. მეტიც, სახელმწიფო მართვის ზოგადი არაეფექტურობით, ეკონომიკის ჩამორჩენილობით და მსგავსი მიზეზებით გამოწვეული პრობლემები არასაკმარისი ინფორმირებულობის პირობებში ადვილად იძენს ეთნიკურ ელფერს. ქართული ენის სწავლების გარდა, საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ იმ ენებზე, რომლებიც მოცემულ

მომენტში გასაგებია მოსახლეობისთვის: აზერბაიჯანული თემისთვის ეს ენებია აზერბაიჯანული და რუსული. აუცილებელია ასევე სატელევიზიო და რადიო პროგრამების (განსაკუთრებით, საინფორმაციო პროგრამები) აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე მომზადებისა და გადაცემისთვის მხარდაჭერა. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო იმისათვის, რომ სამიზნე ჯგუფებს, როგორებიც არიან სკოლის მასწავლებლები, თემის ლიდერები, ახალგაზრდობის ლიდერები და სხვა, მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია პოლიტიკურ ვითარებაზე, განსაკუთრებით, მათი თემის პრობლემებთან დაკავშირებით. უადრესად მნიშვნელოვანია სამართლებრივი ინფორმაციის განვითარება.

3. **საკადრო პოლიტიკა, განსაკუთრებით, სამართალდამცავ სტრუქტურებში.** ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე სახელმწიფო სტრუქტურებში ეთნიკური აზერბაიჯანელების მცირე წარმომადგენლობა განაპირობებს აზერბაიჯანული თემის სახელმწიფოსგან გარიყვას, რაც მის წევრებს მეორეხარისხოვანი მოქალაქეების განცდას უჩენს. ეს განსაკუთრებით ითქმის სამართალდამცავ ორგანოთა შესახებ, რადგან მოსახლეობას ყველაზე ხშირად სწორედ მათ წარმომადგენლებთან უწევს ურთიერთობა. სასურველია, სახელმწიფოს ჰქონდეს იმ აზერბაიჯანული ახალგაზრდების შერჩევის პროგრამა, რომელთაც სურთ სახალხო ან სამართალდამცავ სამსახურში შესვლა, და შეეძლოს მათი უზრუნველყოფა სტიპენდიებითა და სასწავლო პროგრამებით.
4. **ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება.** აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონები გამოირჩევა სამოქალაქო აქტივობის დაბალი დონით, არჩევნებისას აშკარა დარღვევებით და ა. შ. ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება, ზოგადად, მთელი ქართული პოლიტიკის უმწვავესი პრობლემაა; იგი დემოკრატიული განვითარების მნიშვნელოვან მოთხოვნად არის აღიარებული; ამდენად, რეგიონებში, სადაც აზერბაიჯანელები კომპაქტურად არიან დასახლებულნი, ადგილობრივი დემოკრატიის გაძლიერება სახელმწიფოსგან აზერბაიჯანული თემის გაუცხოების გადალახვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ არ გაიზარდა ეთნიკური აზერბაიჯანელების მონაწილეობა ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოებში, ადგილობრივ დონეზე მათი მოღვაწეობა გარკვეულ სირთულეებს წააწყდება: ადგილობრივად არჩეული, ძირითადად აზერბაიჯანელებისაგან შემდგარი სტრუქტურები შეიძლება კონფრონტაციულ ურთიერთობაში აღმოჩნდეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან, სადაც უმცირესობათა წარმომადგენლობა მინიმალურია.

5. **პირადი კონტაქტების წახალისება.** აზერბაიჯანული თემის რამდენადმე ჩაკეტილი ხასიათი და ეთნიკურ ქართველებთან და საქართველოს სხვა რეგიონებთან არასაკმარისი კონტაქტები მათი გაუცხოების კიდევ ერთი მიზეზია. დღესდღეობით უმცირესობათა რეგიონები არასაკმარისადაა ჩართული წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში და ეს აშკარა ნაკლია. მას შემდეგ, რაც სამცხე-ჯავახეთმა დიდი ყურადღება მიიპყრო, უმცირესობათა საკითხებით დაინტერესებულმა თბილისურმა ორგანიზაციებმა უფრო მეტად ამ რეგიონზე შეაჩერეს ყურადღება. იმავეს თქმა შეიძლება საერთაშორისო დონორებზეც, რომელთაც მხედველობის არიდან რჩებათ ქვემო ქართლი. ყოველივე ეს კიდევ უფრო აძლიერებს აზერბაიჯანული თემის სოციალური ჩაკეტილობის ტენდენციას. საჭიროა ურთიერთობის სხვადასხვა ფორმის გამოყენება, რათა ეთნიკური აზერბაიჯანელები, განსაკუთრებით – ახალგაზრდობა, საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო აქტივობებში ჩაერთოს.
6. **ქალთა საკითხები.** ქალთა უფლებების საკითხები რეგიონში საკმაოდ აქტუალურია. არსებობს სტერეოტიპები, რომლის მიხედვით საქართველოს აზერბაიჯანელი ქალები, უმეტესად სოფლის მუსულმანურ თემში მცხოვრებნი, შეგუებული არიან ქალის მდგომარეობას, რომელიც ტრადიციული ისლამური საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. სინამდვილეში, მრავალ ქალს, უფრო ქალაქის მაცხოვრებელს, განსხვავებული თვალსაზრისი აქვს და კრიტიკულად ეკიდებიან ცხოვრების იმგვარ წესს, რაც ქალებისთვის მიუღებლად მიაჩნიათ. საქართველოს მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის თქმით, ხელისუფლება თავს იკავებს ქალთა საკითხებს შეეხოს აზერბაიჯანულ თემში (როგორცაა, მაგალითად, ქალთა წინდაცვეთა), ვინაიდან ეშინიათ ბრალდებისა, რომ ისინი მუსულმანურ ტრადიციებს უპირსპირდებიან. ეს საკითხი უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობის სფეროს განეკუთვნება. თავისთავად, ქალთა უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი საქმეა, მაგრამ აზერბაიჯანული თემის ქალთა ჯგუფების კონტაქტები საქართველოს ქალთა ორგანიზაციების საკმაოდ განვითარებულ ქსელთან ხელს შეუწყობდა აზერბაიჯანული თემის საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებასთან დაახლოებასაც.
7. **კულტურული პროგრამები.** საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით თბილისში არსებობს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი. დაგეგმილია აზერბაიჯანული თეატრის გახსნაც. მაგრამ ამ ცენტრს უფრო წარმომადგენლობითი ფუნქცია აქვს. ის საქართველოში მთავრობისა და

საზოგადოების მიერ აზერბაიჯანული კულტურის აღიარების სიმბოლო უფროა, ვიდრე საქართველოში აზერბაიჯანული თემის აქტიური კულტურული ცხოვრების მაჩვენებელი. საქართველოს სახელმწიფოს მწირ ფინანსურ რესურსებს თუ გავითვალისწინებთ, ამ ცენტრისთვის მისი დახმარება მნიშვნელოვანი ვერ იქნება. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება ამგვარი ცენტრების მიმართ უფრო რეგულარულ ყურადღებას და მხარდაჭერას უნდა იჩინდეს. აზერბაიჯანული თემის ორგანიზაციებმა ქართულ ჯგუფებთან ერთად უნდა ეძებონ აზერბაიჯანული კულტურული ორგანიზაციების აღდგენის გზები.

8. **ქართული საზოგადოების აზერბაიჯანული თემის შესახებ ონფორმირება.** ქართულმა საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა შეიტყოს საქართველოში მყოფი ეთნიკური უმცირესობების შესახებ. საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში უნდა აისახოს ქვეყნის ტერიტორიაზე მოსახლე უმცირესობათა ისტორიაც. სხვა საშუალებებიც უნდა იყოს გამოყენებული: წიგნები, სატელევიზიო პროგრამები და სხვა. ამგვარი სამუშაო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართულ ჯარში, რომელიც ერის მშენებლობის მნიშვნელოვანი სტრუქტურაა მაგრამ, სამწუხაროდ, დღესდღეისობით შორს არის ამ როლის შესრულებისგან.

# სომხური თემი ჯავახეთში: კოლექტიური მოგონებები და დღევანდელი წუხილები

## ზოგადი შენიშვნები

არც ისე დიდი ხანია, რაც სამხრეთ საქართველო, კერძოდ კი, მისი ერთ-ერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილი, ჯავახეთი, განვითარების, უსაფრთხოების და კონფლიქტთა დარეგულირების სფეროებში მოღვაწე საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღებას იპყრობს. ყურადღება გამოწვეულია როგორც მთელ ქვეყანაში არსებული არასახარბიელო პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფონით, ისე თავად ამ კუთხის სპეციფიკით. რიგი მიზეზების გამო ვითარება ჯავახეთში, ანუ საქართველოს ორ ადმინისტრაციულ რაიონში – ნინოწმინდასა და ახალქალაქში –, კონფლიქტოგენურადაა მიჩნეული. ნათქვამის დადასტურებას წარმოადგენს ქართული, რუსული და სომხური პრესის მასალები, საერთაშორისო ფონდებისა და ორგანიზაციების დახმარებით მოწყობილი სემინარებისა და მრგვალი მაგიდების ანგარიშები, აკადემიური პუბლიკაციები. ჯავახეთის კონფლიქტოგენურობა უკავშირდება სომხური ეთნიკური თემის რაოდენობრივ დომინირებას ქართული სახელმწიფოს ამ ნაწილში მამინ, როდესაც ქვეყანაში არაა მიღწეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონსენსუსი ეთნიკურ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ საკითხებსა და საქართველოს შიდაპოლიტიკურ და ადმინისტრაციულ მოწყობაზე. ვითარებას ართულებს კონფლიქტების ხელშემწყობი კლასიკური ფაქტორების არსებობა: მოსახლეობის სიღარიბე და სოციალური დაუცველობა, კორუფციის და ორგანიზებული დამნაშავეობის მაღალი დონე, არარეგისტრირებული იარაღის გავრცელება, სახელმწიფო უსაფრთხოების მექანიზმთა სისუსტე.

ჯავახეთის პრობლემები პერიოდულად იწვევს შეშფოთებას არა მხოლოდ თბილისში, არამედ მჭობელი სომხეთის დედაქალაქში. ამ ქართული კუთხის პრობლემატიკას ადევნებს თვალყურს მოსკოვი, ბაქო და ანკარაც, რადგან, თუ აქ არსებული კონფლიქტოგენური პოტენციალი ამოქმედდა, მას რეგიონული რეზონანსი ექნება – თუნდაც იმიტომ, რომ მხარეში განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. კონფლიქტის შემთხვევაში ეჭვქვეშ დადგება სამხრეთ-კავკასიური საკომუნიკაციო თუ ენერგეტიკული პროექტების მომავალი, რაც საზიანო იქნება თურქეთის, ევროპისა თუ აშშ-ის ინტერესებისათვისაც, და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოება. მეორე მხრივ,

ჯავახეთური რისკ-ფაქტორების აქტივიზაცია შესაძლოა მხოლოდ ეროვნული და ადგილობრივი აქტორების მოქმედებაზე არ იყოს დამოკიდებული, ნეგატიური სცენარების განვითარებაში უცილობლად ითამაშებს როლს ქვეყნის გარეთ არსებული პოლიტიკური აქტორების გარკვეული წრეც. ამის თქმის საფუძველს იძლევა ჯავახეთში არსებული სიტუაციით უკმაყოფილო ჯგუფების კონტაქტები სომხურ და რუსულ სამხედრო-პოლიტიკურ წრეებთან და ამ უკანასკნელთა წარმომადგენლების რიგი განცხადებები თუ ქმედებები.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, რომ ჯავახეთში რეალურად არსებობს კონფლიქტის უშუალო საფრთხე. საქართველოს ეს კუთხე ბოლო წლებში მშვიდობიანად ცხოვრობს და პოტენციურ კონფლიქტზე ლაპარაკი კიდევ აღიზიანებს როგორც პოლიტიკოსებს, ისე რიგით მოქალაქეებს. მაგრამ რისკის ფაქტორები არსებობს, ამიტომ მათ განეიტრალებაზე, რეგიონში სტაბილობის შენარჩუნებასა და კონსოლიდაციაზე ფიქრი არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების მოვალეობაცაა.

## ფაქტები და ტენდენციები

### მდებარეობა და ისტორია

ჯავახეთი სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციაა, რომელიც ესაზღვრება თურქეთსა და სომხეთს. საქართველოს ამჟამინდელი ადმინისტრაციული სტრუქტურის მიხედვით, ჯავახეთის სახელით ორი ადმინისტრაციული რაიონის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის ტერიტორიები მოიხსენიება. მათი ფართობი, შესაბამისად, 1353.8 და 1234.8 კილომეტრია. ადმინისტრაციულად, ჯავახეთის ორივე რაიონი შედის სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომლის დანარჩენ ოთხ რაიონში (ასპინძა, ახალციხე, ბორჯომი და ადიგენი) მოსახლეობის უმეტესობა ქართველია, თუმცა იქაც არსებობს საკმაოდ დიდი სომხური დიასპორაც. მხარის ფართობი 6067,9 კვადრატული კილომეტრია, მისი მოსახლეობა 1989 წლის მონაცემებით შეადგენდა 231,649 მკვიდრს.

გეოგრაფიულად ჯავახეთი მთიანი მხარეა, ვულკანური ზეგანი, რომელიც მკაცრი კლიმატით გამოირჩევა. მაგალითისათვის, ნინოწმინდის რაიონი ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრზე მდებარეობს; ყინვამ აქ შეიძლება ცელსიუსით 38 გრადუსს მიაღწიოს.

როგორც გეოგრაფიისა და კლიმატის გამო, ისე სუსტად განვითარებული კომუნიკაციათა სისტემის წყალობით, ჯავახეთი შედარებით იზოლი-

რებულია საქართველოს ცენტრალური რაიონებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ თბილისიდან წალკის რაიონის გავლით ნინოწმინდამდე გზის სიგრძე 170 კილომეტრია, ამ მანძილის დაფარვას 6-7 საათი სჭირდება. ამავე დროს იკავებს შედარებით უფრო შორი, ახალციხეზე გამავალი გზა, რომელიც უფრო ხშირად გამოიყენება. მატარებელი, რომელიც წალკამდე თბო-მავლით აღწევს და შემდეგ, თბილისამდე – ელექტრომავლით, კიდევ უფრო ნელია და ორ დღეში ერთხელ მოძრაობს.

ჯავახეთმა ისტორიის მანძილზე არაერთხელ განიცადა სახელმწიფო-ებრივი კუთვნილების ცვლილება. ათასწლეულთა მიღმა პროტოქართველური, მესხური, ტომებით დასახლებული ტერიტორია, რომელიც მოგვიანებით მესხეთის სახელით გახდა ცნობილი და რომლის ნაწილსაც დღევანდელი ჯავახეთიც წარმოადგენდა, ქრისტეს დაბადებამდე მესამე საუკუნეში ჩამოყალიბებული იბერიის (ქართლის) სამეფოს ნაწილი იყო. მაგრამ მცირე ხანში აღნიშნული მიწების ნაწილი უკვე სომხური სამეფოს შემადგენლობაშია. ქრისტეს დაბადების შემდგომ ვიდრე მერვე-მეცხრე საუკუნემდე მესხეთი ქართული და სომხური არისტოკრატიული ოჯახების მოქმედების და მეტოქეობის ასპარეზია. გავლენისა და ბატონობისთვის შეჯიბრში სხვადასხვა ეტაპზე მონაწილეობდა აგრეთვე ბიზანტია, ირანი, მაჰმადიანური სამყარო. მე-9 საუკუნიდან მესხეთი ჯავახეთითურთ ხანგრძლივად ხდება ბაგრატიონთა დინასტიის მფლობელობაში და მრავალეთნიკური, მაგრამ ოფიციალური ენითა და კულტურით ქართული, ფეოდალური სახელმწიფოს ნაწილია.

ქართული სამეფოს საბოლოო დაშლა ავტონომიურ საფეოდალოებად ოსმალეთის იმპერიის აღმოცენებას დაემთხვა და მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველო ხანგრძლივი დროით აღმოჩნდა ამ იმპერიის ფარგლებში. დაიწყო მოსახლეობის მასობრივი ისლამიზაცია. 1829 წლიდან კი ჯავახეთი რუსეთის იმპერიაში, სახელდობრ, თბილისის გუბერნიის ახალქალაქის მაზრაში მოექცა. პირველი მსოფლიო ომის, რუსეთის რევოლუციის და საქართველოს ხანმოკლე პირველი დამოუკიდებლობის წლები ჯავახეთის მოსახლეობისათვის ახალი იმედებისა და თანამდევ განსაცდელთა ხანა იყო. იგი დასრულდა საბჭოთა რეჟიმით. ჯავახეთი აღმოჩნდა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ფარგლებში. მაგრამ სამხრეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებთან ერთად, ახალქალაქის და ბოვდანოვკის (ამჟამინდელი ნინოწმინდა) რაიონები გამოცხადდა სასაზღვრო ზონად, რის გამოც შეიზღუდა რეგიონის კონტაქტი დანარჩენ რესპუბლიკასთან. ჯავახეთში მოხვედრა მხოლოდ საბჭოთა მესაზღვრეების ნებართვით, თურქეთის საზღვრიდან 78 კმ-ზე სიღრმეში მოწყობილი პოსტების გადალახვით იყო შესაძლებელი.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღარ მოქმედებს სასაზღვრო ზონის განსაკუთრებული რეჟიმი. მაგრამ გეოგრაფიამ და, განსაკუთრებით, ისტორიამ დააჩნია კვალი ჯავახეთის დღევანდელ მდგომარეობას, მის დემოგრაფიას და მოსახლეობაში გავრცელებულ ისტორიულ მენსიერებასა თუ მითებს. მათი გათვალისწინება აუცილებელია დღევანდელ რისკ-ფაქტორთა გასაზრებლად.

### ეთნოდემოგრაფიული სურათი

1989 წლის აღწერის მონაცემებით, ნინოწმინდის რაიონში ცხოვრობდა 37,608, ხოლო ახალქალაქის რაიონში – 68,800 მოსახლე. მას შემდეგ მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების შესახებ ზუსტი მონაცემები არ არსებობს, მაგრამ გამოითქმება ვარაუდები მოსახლეობის შემცირების შესახებ. ასე მაგალითად, ზოგიერთი ვარაუდით, ნინოწმინდაში დღეისათვის 35,000 მაცხოვრებელია. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, რეგიონის მოსახლეობას ემიგრაციისაკენ უბიძგებს.

იმავე, 1989 წლის აღწერის თანახმად, ახალქალაქში მაცხოვრებელთა 91,3% იყო სომეხი, 4,4% – ქართველი, 2,5% – რუსი და 1,8% – სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ნინოწმინდაში სომეხების წილი იყო 89,6%, ქართველების – 1,2%, რუსების – 8,4% და სხვა ეროვნების წარმომადგენლების – 0,8%. თუ ამ მონაცემებს შევადარებთ, ერთი მხრივ, 1979 წლის აღწერას, მეორე მხრივ – ცალკეულ მონაცემებს დამოუკიდებლობის შემდგომი წლების დემოგრაფიული სურათის შესახებ, ირკვევა, რომ ჯავახეთში სომხური ეთნოსის პროცენტული მატების ტენდენცია გრძელდება. ასე მაგალითად, ნინოწმინდის რაიონის სტატისტიკის სამსახურის ცნობით, 2000 წელს აქ სომხებმა მოსახლეობის 95,9% შეადგინეს.

ეთნიკური სურათი მთლად არ ემთხვევა მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების მონაცემებს. თუმცა, ქართულ ეთნოსში დომინანტური რელიგია მართლმადიდებლობაა, ჯავახეთის ქართველთა შორის არიან კათოლიკენი და მუსულმანებიც. სომხური თემის აბსოლუტური უმეტესობა გრიგორიანელია, მაგრამ არიან სომეხი კათოლიკენიც. რუსების დიდი ნაწილი თავს უფრო რელიგიური ნიშნით გამოყოფს, ვიდრე ეთნიკურით: საქმე ეხება ნინოწმინდის რამდენიმე სოფელში, უპირველეს ყოვლისა, გორელოვკაში, მაცხოვრებელ რუსულენოვან ღუხობორთა სექტას.

აღნიშნული დემოგრაფიული სურათი საუკუნეების მანძილზე განხორციელებული მიგრაციების შედეგია. ეს მიგრაციული ნაკადები არ იყო ნებაყოფლობითი და ხშირად ატარებდა ეთნიკურად თუ რელიგიურად დე-

ტერმინირებულ ხასიათს, ხშირად ემორჩილებოდა პოლიტიკურ და არა ეკონომიკურ იმპერატივებს. საუკუნეების სიღრმეში წაუსვლელად, საკმარისი იქნება გასული 150-200 წლის მანძილზე მომხდარი დემოგრაფიული ცვლილებების აღნიშვნაც, რადგან ეს ცვლილებებს უფრო უშუალოდ ახდენს გავლენას დღევანდელ ვითარებაზე და განწყობებზე. გასული საუკუნის 30-იან წლებში ჯავახეთი დატოვა ბევრმა მუსულმანმა, ხოლო სანაცვლოდ აქ რუსეთის ხელშეწყობით დასახლდა ანატოლიიდან გადმოყვანილი ათასობით სომეხი, რომელთაც ცარიზმის ადმინისტრაცია რეგიონში იმპერიისადმი ყველაზე ლოიალურ ეთნიკურ ელემენტად მიიჩნევდა. ამავე დროს, რუსეთიდან აქ გადმოსახლებული იქნა რამდენიმე ათასი ღუხობორი. პარალელურად, ჯავახეთში რჩებოდა მუსულმანური მოსახლეობაც, რომლის საგრძნობი ნაწილი თავის დროზე გამაჰმადიანებული ქართველი უნდა ყოფილიყო. რიგი მონაცემებით 1918 წელს ჯავახეთში ქართველ მუსულმანთა რაოდენობა 7 ათასს აღწევდა.

ამ უკანასკნელთ არც რუსეთის იმპერიის და შემდეგ არც საბჭოთა ხელისუფლების ნდობა არ დაუმსახურებიათ. 1944 წელს მოხდა სამხრეთ საქართველოს მუსულმანური მოსახლეობის მასობრივი გადასახლება ცენტრალურ აზიაში. იგი ძირითადად სამცხეს შეეხო, სადაც მუსულმან მესხთა რაოდენობა განსაკუთრებით დიდი იყო (1926 წლის აღწერით, სამცხეში მოსახლეობის 87,6% ამ კატეგორიას ეკუთვნოდა), მაგრამ პროცესმა მოიცვა ჯავახეთიც.

გადასახლებულთა სანაცვლოდ სამცხეში დაახლოებით 30 ათასი ქართველი იქნა ჩამოსახლებული რაჭიდან და ზემო იმერეთიდან. ჯავახეთში შექმნილი ვაკუუმი კი ხელოვნურად არ შეუვსიათ და იგი თანდათანობით, ისევ სომხური თემის ზრდის ხარჯზე ივსებოდა. თუმცა, მოგვიანებით რამდენიმე ასეულმა მუსულმანმა მესხმა მოახერხა საქართველოში დაბრუნება, ჯავახეთში არც ერთი მათგანი არ დასახლებულა.

1989-90 წლებში საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის ხელისუფლებამ ჯავახეთში რამდენიმე ასეული მაჰმადიანი ქართველი გადმოსახლა აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან, სადაც სტიქიას არაერთი დასახლებული პუნქტი დაეზიანებინა. ამავე დროს, საქართველოში ეროვნული მოძრაობა მასობრივ ხასიათს იძენდა და წარმოიშვა ჯავახეთში ქართული კოლონიზაციის საზოგადოებრივი ინიციატივა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაღუპული ლიდერის მერაბ კოსტავას სახელობის ფონდი შეუდგა ნინოწმინდაში სახლების შესყიდვას და აქ დასახლების მსურველ ქართველთა შეგროვებას. სახლებს ყიდდნენ ღუხობორები, რომლებმაც მასობრივად დაიწყეს რუსეთში გადასახლება. 1989 წლისათვის ჯავახეთში სამი ათასზე მეტი ღუხობორი სახლობდა, დღეისათვის კი მათი რიცხვი

რამდენიმე ასეულს არ აღემატება და, ძირითადად, ერთ სოფელში, გორე-ლოვკაში არიან თავმოყრილნი.

ქართულ კოლონიზაციას სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია. მეტიც, რამდენიმე ათეული კოლონისტიდან, რომელნიც მერაბ კოსტვას ფონდმა შეაგროვა, ბევრი უკან დაბრუნდა. ღუზობორთა ნასახლარების უმეტესობა კი სომხურმა თემმა დაიკავა, რაშიც მას ფინანსურად სომხური ეკლესიაც ეხმარებოდა.

ბუნებრივია, რომ მსგავსი პროცესები, რომელთა უკან უცილობლად იკვეთება სხვადასხვა ეპოქის თუ სახელმწიფოების მოხელეთა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ლიდერთა ეთნოპოლიტიკური დატვირთვის მქონე პროექტები, გამოიწვევდა კოლექტიურ მოგონებებსა და წარმოდგენებს, რომელშიც დიდია ეთნიკურ ბაზაზე დაფუძნებული უნდობლობისა და შიშის წილი. ამ წარმოდგენათა გამოძახილი დღემდე საგრძნობია ჯავახეთში არსებულ თანამედროვე რისკ-ფაქტორებში.

## პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წყობა და ცენტრი-რეგიონის ურთიერთობა

საქართველოს რეგიონებში სამხარეო რწმუნებულთა დანიშვნა და, შესაბამისად, ქვეყნის დაყოფა მხარეებად ჯერ კიდევ ახალი კონსტიტუციის მიღებამდე, 1993 წელს დაიწყო. სამცხე-ჯავახეთში, სახელდობრ ქ. ახალციხეში, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ინსტიტუტი 1994 წელს გაჩნდა. მხარეების საზღვრები ისტორიულ-ეთნოგრაფიული და ეკონომიკური მოტივებით დადგინდა. არსებითი იყო პოლიტიკური ფაქტორიც: ა) ეთნიკურ და სამოქალაქო ომგამოვლილ ქვეყანაში სახელმწიფოს მეთაური სამხარეო რწმუნებულთა ინსტიტუტით იმედოვნებდა ქვეყნის რეგიონებში ცენტრალური ხელისუფლების თუ უშუალოდ საკუთარი კონტროლის განმტკიცებას; ბ) მხარეების საზღვრები არ ემთხვეოდა კომპაქტურ ეთნიკურ დასახლებებს, მაშინ როცა ზოგიერთი ქვემდგომი ადმინისტრაციული ერთეულის, რაიონის, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არაქართველი იყო. კომპაქტური ეთნიკური დასახლებების გაერთიანება უფრო მსხვილ, მულტიეთნიკურ ადმინისტრაციულ ერთეულებში მიიჩნეოდა ერთგვარ პრევენციულ ზომად რაიონის დონეზე შესაძლო ეთნიკური ავტონომიზმის ტენდენციათა წინააღმდეგ.

სახელმწიფოს მეთაურის დეკრეტებით დანიშნული მხარეების რწმუნებულის ინსტიტუტი არ ემყარება სათანადო საკანონმდებლო ბაზას. 1995 წლის კონსტიტუცია ღუმს ქვეყნის ადმინისტრაციულ მოწყობაზე, აცხადებს რა, რომ ეს საკითხი გადაწყდება სპეციალური კანონით ქვეყნის ტე-

რიტორიული მთლიანობის (ე. ი. დე ფაქტო სეპარირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის საკითხთა გადაწყვეტის) შემდეგ. 1997 წლიდან მხარეების და სამხარეო რწმუნებულების ინსტიტუტი ნახსენებია რიგ საკანონმდებლო აქტებში, მაგრამ ფუნქციათა გამოიჯვნა, ერთი მხრივ, რწმუნებულსა და მის ადმინისტრაციას (გუბერნატორს), მეორე მხრივ კი, რაიონების ხელისუფლებას შორის არაა ნათელი. ამასთან, მხარის ღონეზე არ არსებობს რაიმე არჩევითი სტრუქტურა.

რწმუნებულთა რეალურ ძალაუფლებაში დიდ როლს თამაშობს პიროვნული ფაქტორი. სამცხე-ჯავახეთში 1994-2002 წლებში უცვლელ „გუბერნატორად“ გიგლა ბარამიძე მოღვაწეობდა. ერთ დროს იგი სომხეთის ელჩის თანამდებობასაც ითავსებდა. ბარამიძე მხარის არა მხოლოდ წმინდა ადმინისტრაციულ-მენეჯერულ საქმიანობაში, არამედ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, რაც მისი პიროვნული თვისებებით თუ დედაქალაქის გავლენიან, პრეზიდენტთან დაახლოებულ წრეებში კავშირებით იყო განპირობებული. ბარამიძის გავლენა იგრძნობოდა საქართველოს პარლამენტში სამცხე-ჯავახეთის მხარიდან არჩეული რიგი დეპუტატების ქმედებებზეც.

2002 წლის თებერვალში გიგლა ბარამიძე გუბერნატორის პოსტზე საგარეო სამინისტროს სისტემიდან მოსულმა თემურ მოსიაშვილმა შეცვალა. ჯერ ნაადრევია იმის თქმა, თუ რა გავლენას მოახდენს ეს სიახლე პოლიტიკური ძალების გადანაწილებაში ჯავახეთის მიმართ.

გარდა ცენტრალური სამინისტროებისა, რომელთაც რეგიონებში თავიანთი განყოფილებები გააჩნიათ, რეგიონის ადმინისტრირებაში და მის მიმართ პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობს სახელმწიფო კანცელარიის რეგიონული მართვის სამსახური (მისი უფროსი 2002 წ. აპრილამდე იყო ბადრი ხატიძე) და პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნებათშორისი ურთიერთობების დარგში ალექსანდრე გერასიმოვი. პარლამენტიდან მხარის პრობლემატიკაზე უშუალოდ მუშაობს სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი (თავმჯდომარე გელა კვარაცხელია) და ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი (თავმჯდომარე რომან კუსიანი). მათზე უპირველესად დამოკიდებული ცენტრი-რეგიონის ურთიერთობების ნორმატიული ბაზის შემუშავება.

პოსტსაბჭოური პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე, რეალურ მმართველობაში დიდი ადგილი უკავია კერძო ინტერესზე დამყარებულ მრავალგვარ ქსელთა მშენებლობას ცენტრსა და რეგიონს შორის. 1995 წლიდან, როდესაც პრეზიდენტ შევარდნაძის ძალაუფლების კონსოლიდაცია მოხდა, უკანასკნელ დრომდე ძალაუფლების ამ რგოლთა ირგვლივ არსებული ქსელები გარეგნულად მაინც პრეზიდენტის ეგიდით მოქმედ საერთო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას ქმნიდნენ. მაგრამ ამ ელიტის შიგნით

არსებობდა ინტერესთა მრავალგვარობა, რაც ემყარებოდა უწყებრივ თუ ლოკალურ კორპორატიულობას და პატრონ-კლიენტელურ ურთიერთობებს, რასაც ქართულ საზოგადოებრივ დისკურსში „კლანობრივ მენტალიტეტს“ უწოდებენ. 2001 წელს ცენტრში მინისტრთა კაბინეტის და ადგილობრივი თვითმმართველობის, აგრეთვე კორუფციასთან ბრძოლის ფორმებზე გაშლილ დისკუსიას შევარდნაძის ბანაკში არსებული ზზარების საამკარაოზე გამოტანა მოჰყვა. დღეს, როცა პრეზიდენტი აღარაა უწინდელი „მმართველი პარტიის“, მოქალაქეთა კავშირის, თავმჯდომარე, არაა გამორიცხული, რომ, ერთი მხრივ, კანცელარიის სტრუქტურების, მეორე მხრივ კი საპარლამენტო კომიტეტების შეხედულებები და ქმედებები ერთმანეთს აშკარად დაცილდეს. შედეგად, ჯავახეთის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ ცხოვრებაში ცენტრის ფაქტორი შეიძლება კიდევ უფრო დივერსიფიცირებულად წარმოვიდგინოთ.

ჯავახეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სურათის დახასიათებისას აღსანიშნავია კიდევ ერთი – აჭარის ფაქტორი. 1998 წელს გამართულ ადგილობრივ არჩევნებში აჭარის ავტონომიის მმართველი ჯგუფი, რომელიც „საქართველოს აღორძინების კავშირის“ სახელითაა ცნობილი და საერთო-ეროვნულ დონეზე წამყვან ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს, ჯავახეთში პოზიციების განმტკიცებას ცდილობდა. დაახლოებით ამ დროს აჭარის ლიდერმა გამოთქვა მოსაზრება აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის ადმინისტრაციული გაერთიანების სასურველობის შესახებ. ამ იდეას, რომელსაც საფუძველი მხოლოდ ფეოდალურ ეპოქაში ეძებნება (მე-13-14 და მე-16 საუკუნეებში არსებული სამცხე-საათაბაგოს საფეოდალო სახლის სახით), ინტერესით შეხვდნენ ადგილობრივ ნაციონალისტურ წრეებში. მაგრამ რაიმე ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა. „აღორძინებამ“ ვერ შეძლო ჯავახეთში რაიმე სახელისუფლო ბერკეტის ხელში ჩაგდება.

### ადგილობრივი პოლიტიკური აქტორები

რაიონის დონის ადმინისტრაციას ნინოწმინდასა და ახალქალაქში ხელმძღვანელობენ პრეზიდენტის მიერ დანიშნული გამგებლები. რაფაილ არზუმანიანი და შედარებით ახლახანს დანიშნული ართურ ამბარცუმიანი. 1998 წლიდან რაიონებში მოქმედებენ არჩევითი საკრებულოები. ანალოგიური ორგანოები ფუნქციონირებს თვითმმართველობის პირველად (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი) დონეზეც. მართალია, მწირი ადგილობრივი ბიუჯეტი და დაუხვეწავი საკანონმდებლო ბაზა გამორიცხავს თვითმმართველობის ორგანოთა რეალურ გავლენას, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარეობა მიმზიდველ თანამდებობად მიიჩნევა.

სასოფლო საკრებულოები ჯავახეთში, მნიშვნელოვანწილად, ეთნიკური ნიშნითაა გაყოფილი. ახალქალაქის რაიონში არსებული ათიოდე ქართული სოფლიდან ყველას საკუთარი საკრებულო გააჩნია. სამოცზე მეტი სომხური სოფელი კი 21 საკრებულოდაა გაერთიანებული.

ადგილობრივ პოლიტიკაში არსებით როლს თამაშობენ ე. წ. „კლანები“. საქართველოს ზოგიერთი სხვა რეგიონისაგან, განსაკუთრებით კი დედაქალაქისაგან განსხვავებით, ჯავახური კლანები თითქმის მთლიანად ნათესაურ პრინციპზეა აგებული. მათი სიძლიერე ადმინისტრაციული თანამდებობების და ეკონომიკური ბერკეტების ფლობაშია. ახალქალაქში ტრადიციულად რაისიანების კლანია ცნობილი, რომელსაც გაზის ბიზნესში მონაპოლიზში ბრალდება. ეს გვარი წარმოდგენილია რაიონის სამართალდამცავ სტრუქტურებში. მედიქ რაისიანი უკვე მეორედ არის არჩეული მაჟორიტარ დეპუტატად ახალქალაქიდან საქართველოს პარლამენტში. მთელს ჯავახეთში გავლენიან კლანს მეთაურობს ნინოწმინდის მაჟორიტარი დეპუტატი ენძელ მქოიანიც. მისი ბიზნესი ნავთობპროდუქტებით ვაჭრობას უკავშირდება. გავლენიან ბერკეტებს ფლობს ნინოწმინდაში არზუმაიანების ოჯახიც. ახალქალაქისაგან განსხვავებით, სადაც გამგებლები ხშირად იცვლებიან, ნინოწმინდაში უკვე რამდენიმე წელია რაც არზუმაიანია გამგებელი. რიგი მონაცემებით, მისი ნათესავები და ახლობლები მრავლად არიან სომხეთ-საქართველოს საზღვარზე მოქმედ რიგ მაკონტროლებელ სამსახურებში. კლანების ინტერესთა დაკმაყოფილება, მათი დაბალანსება ტრადიციულად წარმოადგენდა ცენტრის რეგიონული პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს. ამჟამად გამოითქმის ვარაუდი, რომ რაისიანთა კლანი დასაყრდენს მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო დეპუტაციაში ეძებს, სამცხე-ჯავახეთის „გუბერნატორი“ კი მას უპირისპირდება და სიმპათიებს მქოიანისა და ახალქალაქის გამგებელის, ამბარცუმიანის მიმართ ავლენს.

დარეგისტრირებული საერთოეროვნული პოლიტიკური პარტიებიდან რეგიონში დღემდე ყველაზე დიდი გავლენით მოქალაქეთა კავშირი სარგებლობდა, რადგან მას ნინოწმინდასა და ახალქალაქში თავად ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენდა. საკრებულოებში არიან წევრები, რომელნიც არჩევნების დროს სხვა პარტიების წარმომადგენლებად ცხადდებოდნენ. მაგრამ რეალურად, ბოლო ადგილობრივ და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე ჯავახეთელი კანდიდატები ცუდად იცნობდნენ თბილისური პარტიების პროგრამებს და ნაკლებად ფიქრობდნენ ამ მათთვის უცნობი პროგრამებისათვის ბევრად უფრო ახლობელი ლოკალური პიროვნებების, კლანების თუ პრობლემების შესაფერისობაზე. ბევრ შემთხვევაში საერთოეროვნულ პარტიებთან მიერთება მხოლოდ პოლიტიკაში ლეგალურად შესვლის საშუალება იყო; საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს ეთნიკურ თუ რეგიონულ

პრინციპზე შექმნილ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ჯავახეთის პოლიტიკოსთა უმრავლესობა, რომელიც ძხორებული და გაუცხოებულია სახელმწიფოს ზოგადი პრობლემებისა თუ ღირებულებებისაგან, იყენებდა საერთო-ქართული პარტიის ქუდს, რათა ნინოწმინდისა თუ ახალქალაქის ლოკალურ პოლიტიკურ ელიტაში შესულიყო. „სინამდვილეში, ჩვენ ყველა „ჯავახკს“ წარმოვადგენთ“, – თქვა ჩვენთან ინტერვიუში ადგილობრივი საკრებულოს წევრობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, რომელსაც რომელიღაც თბილისური პარტიის მანდატი მხოლოდ შირმად მიაჩნდა.

ზემოთხსენებული „ჯავახკი“ 1988-89 წლებში ამოქმედდა როგორც ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო კომიტეტი. თავიდან იგი ოფიციალურ მიზნად ჯავახეთში სომხური კულტურის დაცვას ისახავდა და ასეთად დარეგისტრირდა ახალქალაქის აღმასკომში. თანდათან ორგანიზაციამ ლოკალური „სახალხო ფრონტის“, ანუ ნაციონალისტური ძალების კოორდინატორის ფუნქცია შეიძინა და, არსებითად, ქართულ ნაციონალიზმს სომხური ანალოგი დაუპირისპირა. 1992-1994 წლებში, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება საქართველოში თითქმის არ არსებობდა, მდგომარეობას ახალქალაქში, ძირითადად, სომეხ ნაციონალისტთა შეიარაღებული ჯგუფები აკონტროლებდნენ. 90-იანი წლების შუახანებში „ჯავახკი“ და მისი აქტივისტები უარყოფით დამოკიდებულებას გამოთქვამდნენ სამცხე-ჯავახეთის მხარის შექმნისადმი და ჯავახეთის, როგორც ცალკე ავტონომიური მხარის, შექმნას მოითხოვდნენ.

მოგვიანებით თბილისის უფრო ფრთხილი პოლიტიკის და სომხეთის მთავრობასთან მისი კოორდინაციის წყალობით ჯავახეთში ეთნიკური ავტონომიზმის ტენდენციებმა იკლო და „ჯავახკიც“, რომლის ლეგალურობას თბილისი არ ცნობდა, სულ უფრო ნაკლებად ფიგურირებდა ლოკალურ პოლიტიკურ ასპარეზზე. თუმცა, 1998 წელს ერთ-ერთი მისი წარმომადგენელი აცხადებდა, რომ „ჯავახკი“ ფენიქსივითაა და თუ საჭირო გახდა, იგი აღდგება. მანამდე კი ამ მოძრაობის ზოგიერთი აქტივისტი ადმინისტრაციულ თანამდებობებს თუ ბიზნეს-საქმიანობას დასჯერდა, ნაწილმა კი ახალი რეგიონული პარტიის „ვირქის“ ფორმირება წამოიწყო. ზემოთხსენებულ კანონმდებლობასთან კიდევ ერთხელ შეჯახების შემდეგ, 2001 წელს „ვირქის“ აქტივმა სახელი გადაირქვა და გამოაცხადა, რომ საერთო-ქართულ პარტია „ზარს“ შექმნიდა. ჯერჯერობით ეს ინიციატივაც არ ღებულა თბილისის თანხმობას, რადგან „ზარიც“ ლოკალურად ჯავახურ, ამასთან სომხური თემის პოლიტიკურ ინიციატივად აღიქმება, რაც კვლავ წინამდებეობაში მოდის კანონმდებლობასთან პარტიების შესახებ. სამაგიეროდ, „ჯავახკმა“ გაიარა რეგისტრაცია არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსით.

არაფორმალური პოლიტიკური ჯგუფები დღეს ნაკლებად აწყობენ ხმაურთან თავყრილობებს ან მასობრივ აქციებს. ადგილობრივი კლანები და მათთან დაკავშირებული ადმინისტრაცია, რომელიც დღეს ლოკალური პროცესებს სათავეშია, ამგვარ ორგანიზაციებთან თავს არ აიდენტიფიცირებს. „ვირქის“ თუ „ზარის“ ლიდერები შედარებით მარგინალიზებულნი არიან. ოღონდ გამორიცხული არაა, რომ გარკვეულ შემთხვევებში მათ ან სხვა, დღეს ნაკლებად ცნობილმა ადამიანებმა უფრო სერიოზული როლის შესრულება შეძლონ; 1998 წელს სწორედ ასეთ პირთა ჯგუფი დაუპირისპირდა იარაღით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფს, რომელიც ახალქალაქის რაიონში მდებარე სამხედრო პოლიგონზე წვრთნების ჩატარებას აპირებდა.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ჯავახეთში გაჩნდა არასამთავრობო სექტორი. როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, აქაც დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოების პრინციპთა პროპაგანდირებასა და დანერგვაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციები უცხოური ფონდებისა და მისიების დახმარებით აღმოცენდნენ. ძნელია დღეს საუბარი ამ სექტორის გავლენაზე; თანდათანობით მან შესაძლოა მხარისათვის აქამდე უცნობი სამოქალაქო და დემოკრატიული პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას შეუწყოს ხელი. ასეთ პერსპექტივას ისახავენ მიზნად ის საერთაშორისო თუ დასავლური მისიები, რომლებიც არასამთავრობო სექტორის ზრდას უწყობენ ხელს. თუმცა, არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ამა თუ იმ გავლენიან კლანთან თუ მოხელესთან მიკედლების ნიშნებიც.

## საგარეო აქტორები

ჯავახეთში რუსეთის გავლენის უმუშალო გამტარებელია მისი სამხედრო ბაზა. 1999 წლის ნოემბერში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების ადაპტირებულ ვარიანტში დაფიქსირდა, რომ ქართული და რუსული მხარეები 2000 წლის განმავლობაში აპირებდნენ ახალქალაქის რუსული ბაზის მომავლის განსაზღვრას. დღემდე ამ ბაზის (ისევე როგორც ორი დანარჩენი – გუდაუთისა და ბათუმის ბაზების) ფუნქციონირების საკანონმდებლო ბაზა სუსტია: 1995 წლის ოქტომბერში ხელმოწერილი შეთანხმება ამ და დღეს უკვე გაუქმებული ვაზიანის ბაზის შესახებ არ იქნა რატიფიცირებული. 2001 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და რუსეთის ვიცე-პრემიერის დონეზე გამართულ რუსულ-ქართულ მოლაპარაკებებს ამ მხრივ რაიმე შედეგი არ მოჰყოლია. ქართული მხარე ბაზის ლიკვიდაციას 3 წელში ითხოვს, რუსეთი კი მხოლოდ 14-15 წლიან ვადაზე თანხმდება. მანამდე ჯავახეთში დისლოცირებული რუსი სამ-

ხედროები პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენენ ადგილობრივ პროცესებზე: უსაფრთხოებითი თუ ეკონომიკური მოტივაციით (იხ. ქვემოთ) სომხური მოსახლეობის უმეტესობა ამ ბაზის დახურვის წინააღმდეგ გამოდის. რიგი ცნობებით, ბაზის ხელმძღვანელობა აქტიურად მონაწილეობს ჯავახეთის კლანურ ურთიერთობებში.

სომხური პოლიტიკური წრეები დაინტერესებას იჩენენ საკუთარი დიასპორის მდგომარეობით ჯავახეთში და ახდენენ გავლენას ვითარებაზე სამხრეთ საქართველოში. ჯავახეთის მოსახლეობისათვის სომხეთი ერთ-ერთი მთავარი კულტურული და ეკონომიკური პარტნიორია. სომხეთში მოქმედი პოლიტიკური ძალებიდან, ჯავახეთში ტრადიციულად „დამნაკცუტიუნის“ პარტიის წარმომადგენლები აქტიურობენ, რომელთა პროგრამაც, სავარაუდოდ, ჯავახეთის მიმართ გარკვეულ ირედენტისტულ მისწრაფებებს შეიცავს. სწორად გამოითქმის ვარაუდი, რომ წლების განმავლობაში მათ კავშირი აქვთ „ჯავახთან“ და მის მეშვეობით ორგანიზაციებთან.

საერთოდ, რაც შეეხება ჯავახეთის მოსახლეობის, კერძოდ კი – სომხური თემის პოლიტიკურ აქტივობას, იგი ტრადიციულად უფრო ახალქალაქის რაიონში შეინიშნება, ვიდრე ნინოწმინდაში. ჯერ ერთი, ერთადერთი ქალაქი ჯავახეთში, ამ სიტყვის სოციალურ-კულტურული მნიშვნელობით, ახალქალაქია. ამასთან, ნინოწმინდაში ხელისუფლება უფრო კონსოლიდირებულია და ავტორიტარულ ნიშნებს ატარებს, მაშინ როცა ახალქალაქში ძალაუფლებისათვის მებრძოლი რიგი კონკურენტული ცენტრების მონიშვნა შეიძლება.

## ეკონომიკა და სოციალურ-კულტურული სფერო

ჯავახეთი ტრადიციულად აგრარული მხარეა და სოფლის მეურნეობა შემოსავლის არსებით წყაროდ რჩება. აქ ათწლეულების მანძილზე მესაქონლეობა და მეკარტოფილეობა იყო განვითარებული. არსებობდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობაც. მარტო ნინოწმინდა 12 წლის წინ აწარმოებდა 26 ათას ტონა რძეს და 18 ათას ტონა კარტოფილს. ჯავახეთში არსებობდა სამთამადნო მრეწველობაც. ხდებოდა პერლიტის, ბაზალტის და პემზის საბადოების დამუშავება.

დღეისათვის საწარმოთა უმეტესობა გაჩერებულია და სოფლის მეურნეობის პროდუქციამაც საგრძნობლად იკლო. მიწების პრივატიზაცია რეგიონში საქართველოს რიგ სხვა რაიონებზე გვიან განხორციელდა. არ არის მიწის დასამუშავებლად საკმარისი ტექნიკა და საწვავი. ამასთან, დღემდე ჯავახეთის სოფლის მეურნეობაში კერძო მეურნეობებთან შედა-

რებით დიდი გავლენით სარგებლობენ ყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მემკვიდრე სასოფლო კოოპერატივები. რაიონის ხელმძღვანელობის მონაცემებით, ნინოწმინდაში მათ მიწების მხოლოდ 25% ეკუთვნით, მაგრამ სასოფლო გადასახადის უდიდეს ნაწილს სწორედ ისინი ფარავენ, რაც მათ შეძლებს მეტყველებს. რეალურად ამ მეურნეობათა ბედი და შემოსავალი მეურნეობის ხელმძღვანელთა და მათ მფარველთა ხელშია.

სოფლის მეურნეობის დაქვეითების კვალობაზე, მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი თავს ირჩენს წვრილმანი ვაჭრობით, კონტრაბანდით, სეზონური სამუშაოებით რუსეთში. სავაჭრო საქონლის და კონტრაბანდის მნიშვნელოვანი წილი მოდის ნავთობპროდუქტებზე, ქვასა და ხე-ტყეზე, საკვებ პროდუქტებზე. კონტრაბანდული საქონლის მნიშვნელოვანი არხია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში არსებული ერგნეთის ბაზრობა.

შემოსავლის წყაროებიდან თუ დასაქმების საშუალებებიდან ახალქალაქის რაიონში გამოირჩევა რუსეთის სამხედრო ბაზა. ჯერ ერთი, ახალქალაქელები ხშირად იყენებენ სამხედრო არხებს (სამხედრო ტრანსპორტს, სამხედრო ავტოკოლონებთან მიკედლების პრაქტიკას) რუსეთში და რუსეთიდან საქონლის გასატან-შემოსატანად. ამასთან, რიგი მონაცემებით, ებაზის 2-3 ათასი მოსამსახურის 70% ადგილობრივი მკვიდრია. დავიანებითა და მხოლოდ ნაწილობრივ, მაგრამ ბაზა ინდის კომუნალური მომსახურეობის საფასურს. ბაზის ფუნქციონირებიდან რაიონის მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავალი ადგილობრივ ბიუჯეტს უტოლდება.

ზოგიერთი შეფასებით, ჯავახეთში ცხოვრების დონე საქართველოს უმეტეს რეგიონების მაჩვენებლების ტოლია და წინ უსწრებს კიდევ გურიისა და იმერეთის მონაცემებს. ამავე დროს, მძიმე კლიმატი და ჯავახეთის იზოლირებულობა აქაურ სოციალურ და ეკონომიკურ სექტორებს დამატებით პრობლემებს უქმნის. საკმაოდ მაღალია (რიგი მონაცემებით 30-40%) უმუშევრობის დონე.

ბოლო წლებში რეგიონის ეკონომიკაში იყო რამდენიმე პოზიტიური ძერა; საქართველოსა და სომხეთს შორის დაიდო სამთავრობოთაშორისო შეთანხმება ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობაზე, რომელიც 2000 წელს იქნა გაყვანილი. გაუჯობესდა ნინოწმინდის რაიონის მომარაგება ელექტროენერგიით სომხეთიდან. რაიონის მოსახლეობის მიერ ელექტროენერგიის საფასურის გადახდამ 20%-დან 50-60%-ს მიაღწია. განხორციელდა ნინოწმინდა-ახალქალაქის გზის შეკეთება; კარწახში, თურქეთის საზღვარზე პრაქტიკულად დაწყებულია სამუშაოები საგამშვებო პუნქტის შესაქმნელად. მაგრამ მთლიანობაში რეგიონის, ისევე როგორც მთელი ქვეყნის, ეკონომიკური მდგომარეობა, კვლავ რთულია.

სოციალურ და კულტურის სფეროებში ძნელია საუბარი სერიოზულ პროგრესზე. რაიონებში არსებობს ჯანდაცვის დაწესებულებები რაიონული საავადმყოფოების სახით. მოქმედებს სოციალური ინვესტიციების ფონდი, რომლის დახმარებითაც მოხდა 4 სკოლის შენობის შეკეთება. ნინოწმინდაში შედარებით გაუმჯობესდა პენსიებისა და ხელფასების გაცემის პროცესი. ჯავახეთში მოქმედებს თბილისის კერძო უნივერსიტეტი „გენათისა“ და ერევანისა და მოსკოვის უნივერსიტეტთა ფილიალები. მართლმადიდებელი ქრისტიანული საქველმოქმედო ფონდი (აშშ) არიგებს მცირე შეღავათიან კრედიტებს სოფლის მეურნეობაში. ცალკეული ადგილობრივი ბიზნესმენები დროგამოშვებით აწვობენ საქველმოქმედო აქციებს. ნინოწმინდასა და ახალქალაქში არის ლოკალური კერძო ტელეკომპანიების ამოქმედების მცდელობანი. მაგრამ ყველა ამ მიმართულებით გასაკეთებელი სჭარბობს გაკეთებულს.

## რისკ-ფაქტორები და მოსახლეობის განწყობა\*

ზემოთქმულის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ ძირითადი რისკ-ფაქტორები, რომლებიც ჯავახეთის მხარეში კონფლიქტურ პოტენციალს შეადგენს, და რომელთა აქტუალისაცაა შესაძლებელია საერთო პოლიტიკური ან სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესების შემთხვევაში. ასეთი რისკ-ფაქტორების საფუძველი არსებობს როგორც ეთნიკური და ეთნოკონფესიური ურთიერთობების, ისე ადმინისტრაციული მართვის და სოციალურ-პოლიტიკური ურთიერთობის სფეროებში.

- ◆ **ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია და შესაბამისი პოლიტიკური ცნობიერება.** როდესაც ჯავახეთში შესაძლო კონფლიქტზე საუბრობენ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ეთნიკურ ნიადაგზე დაპირისპირების შესაძლებლობა ჯავახეთის სომხურ თემსა და ქვეყნის ქართულ უმრავლესობას შორის. ამის ზოგადი წინამძღვარია ეთნიკური ნაციონალიზმის დომინირება სამოქალაქო თვითშეგნებასთან შედარებით. რიგი გამოკითხვებით, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა, კერძოდ, ქართველები და სომხები, თვითიდენტიფიკაციას, უპირველეს ყოვლისა, ეთნიკური და არა მოქალაქეობის ან რომელიმე სხვა ნიშნით ახდენენ. ანალოგიური განწყობები არსებობს უმაღლეს პოლიტიკურ ემულონებშიც, რისი მაგალითიცაა პრეზიდენტის მიერ გამოთქმული სურვილი, რომ დაბადების მოწმობებში აღდგეს დღეს გაუქმებული საბჭოური სტილის გრაფა ეთნიკური კუთვნილების შესახებ.

\* მოსახლეობის განწყობაზე უფრო ვრცლად იხ. გვ. 72-110.

ეთნიკური განცდის სიძლიერე კონფლიქტის მაპროვოცირებელ გარემოებად იქცევა, თუ ხდება მისი პოლიტიზირება, ანუ ეთნონაციონალისტური პოლიტიკური პროგრამების შექმნა. ჩველებრივ, ასეთი პროგრამები უკავშირდება ისტორიის პოლიტიზირებულ ინტერპრეტაციებს. კონფლიქტი ისტორიის ეთნოპოლიტიკურ ინტერპრეტაციებს შორის კავკასიაში (ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა რეგიონში) მრავალი კონფლიქტის წყარო გამხდარა. ისტორიის დაპირისპირებული ინტერპრეტაციები არსებობს ჯავახეთთან მიმართებაშიც. ქართველთა უმეტესობა ჯავახეთს მიიჩნევს ისტორიულ ქართულ მიწად, მეტიც, ქართველთა ეთნოგენეზის ერთ-ერთ აკვნად, ხოლო სომეხთა, მათ შორის ჯავახური თემის მასობრივ წარმოდგენებში ჯავახეთი სომეხი ერის ისტორიული სამშობლოა.

რწმენის საკითხები ტრადიციულადაა გადაჯაჭვული ეროვნულ თვითიდენტიფიკაციასთან. ამის ბოლოდროინდელი ნიმუშია ახალქალაქის რაიონ სოფელ ბულდამენში ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომელსაც ქართველები მიიჩნევენ ქართულად, ახალი სომხური ეკლესიის მშენებლობის თემა. 2000 წლის ივნისში ადგილი ჰქონდა ინციდენტს ნინოწმინდის რაიონში ჩასულ ქართველ მლოცველებსა და ადგილობრივ სომეხებს შორის. ემოციური გამოსვლები ახლდა ახალქალაქში ქართული ეკლესიის მშენებლობის დაწყებასაც.

◆ **მუსულმან მესხთა რეპატრიაციის პერსპექტივა.** მესხთა რეპატრიაციის პერსპექტივას უაღრესად უარყოფითად უყურებს სამცხე-ჯავახეთის როგორც სომხური, ისე ქართული მოსახლეობა. შესაბამისად, ეს რისკფაქტორი ამოქმედდება მასობრივი რეპატრიაციის დაწყების შემთხვევაში.

◆ **სახელმწიფო ენის უცოდინრობა.** ჯავახეთის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ ქართული ენა არ იცის, რაც რეგიონის მოსახლეობის ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობისგან იზოლაციის და გაუცხოების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორია. სახელმწიფო ენა არ იცის ნინოწმინდისა და ახალქალაქის საჯარო მოხელეთა დიდმა უმრავლესობამაც. კანონმდებლობა არ ცნობს ადმინისტრაციის მუშაობაში სხვა ენის გამოყენების პრაქტიკას, თუმცა პრეზიდენტის ნებართვით ასეთი რამ ჯავახეთში მაინც ხორციელდება. ცენტრიდან მიღებული დოკუმენტაცია ქართულ ენაზეა და ადგილზე მთარგმნელობითი შესაძლებლობების დაბალი დონე აზარალებს არა მარტო მოსახლეობის, არამედ ადმინისტრაციის ინფორმაციული უზრუნველყოფის ხარისხს. ენობრივი ბარიერი სერიოზულ სირთულეებს იწვევს მოსახლეობის სამართლებრივ მომსახურებაში.

- ◆ **ინფრასრტუქტურა.** მხარის იზოლირებულობას აძლიერებს გზების სა-  
კალალო მდგომარეობა.
- ◆ **მოსახლეობაში უკონტროლო იარაღის გავრცელება** ჯერჯერობით  
ლატენტური, მაგრამ პოტენციურად მეტად სასიფათო ფაქტორია. მან  
თავი გამოავლინა 90-იანი წლების პირველ ნახევარში და 1998 წელს.
- ◆ **ინფორმაციული ვაკუუმი.** საქართველოს ტელევიზიის გადაცემები ჯა-  
ვახეთში შეფერხებებით მიიღება და ისიც – არა ყველგან. ვაკუუმს  
ავსებს სომხეთის და რუსეთის ტელევიზია, რაც სულაც არ შეეწევა  
ჯავახეთის ინტეგრირებას საქართველოს საინფორმაციო სივრცეში; იგი  
რეგიონში საქართველოს ხელისუფლებისაგან არსებითად განსხვავებუ-  
ლი განწყობების გავრცელებას უწყობს ხელს. ადგილობრივი ტელევი-  
ზია ვერ ახერხებს საინფორმაციო გადაცემების ორგანიზებას. ამის  
მიზეზი საკანონმდებლო ბაზაცაა, რადგან მოქმედი კანონმდებლობით  
ადგილობრივი ტელევიზიის გადაცემათა უმეტესობა ქართულ ენაზე უნ-  
და იქმნებოდეს, რაც ჯავახეთში გასაგებ სირთულეებთანაა დაკავშირე-  
ბული. ადგილობრივი გაზეთები თვეში ერთი-ორჯერ თუ გამოდის.
- ◆ **არასრულყოფილი მმართველობა და ადგილობრივი დემოკრატიის დე-  
ფიციტი.** არც საკანონმდებლო ბაზა, არც მმართველობითი პრაქტიკა  
არ იძლევა „კარგი მმართველობის“, ანუ დემოკრატიული, გამჭვირვა-  
ლ და ეფექტური ხელისუფლების ფორმირების საშუალებას. ბუნდო-  
ვანი რჩება სამხარეო რწმუნებულის ძალაუფლების საზღვრები. დემოკ-  
რატიული ქვეყნების პრაქტიკას არ შეესაბამება თვითმმართველობის  
დონე რაიონის დონეზეც. ყოველივე ეს აღრმავებს გაუცხოებას მოსახ-  
ლეობასა და სახელმწიფოს შორის.
- ◆ **კორუფცია და ნეპოტიზმი.** როგორც მთელ საქართველოში, ისე ჯავა-  
ხეთშიც სერიოზული პრობლემაა კორუფციის მასშტაბები. კორუფციას  
მოსახლეობა აწყდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, იქნება ეს ურთიერ-  
თობა საგზაო პოლიციასთან თუ საპასპორტო მაგიდებთან. კორუფცია  
მოქმედებს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის თუ შემოსავლიანი  
თანამდებობების დაკავების პროცესშიც. ყოველივე ამას ხელს უწყობს  
საზოგადოების სამართლებრივი განათლების მეტად დაბალი დონე, რისი  
დამატებითი ფაქტორიც საელმწიფო ენის უცოდინრობაა.
- ◆ **უმშუვერობა** ხელს უწყობს როგორც სოციალურ დაძაბულობას, ისე  
კორუფციული და კრიმინალური საქმიანობის გავრცელებას. მოსახლე-  
ობის დიდი ნაწილის არსებობა დამოკიდებულია კონტრაბანდასა თუ  
მსხვილ კონტრაბანდისტთა წყალობაზე.

- ◆ **სოციალური სფეროს მოშლა.** იგი გამოიხატება არა მარტო პენსიებისა და ხელფასების ტრადიციულ დავალიანებებში, არამედ განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების საერთო დაკნინებაში, რაც მოსახლეობის უკმაყოფილების მნიშვნელოვანი ფაქტორია. არსებობს ამ უკმაყოფილების ეთნიხაციის სერიოზული ტენდენცია (იხ. ქვემოთ).
- ◆ **რუსული ბაზის ფაქტორი.** მისი არსებობა ხელს უშლის ჯავახეთის ინტეგრაციის პროცესს საქართველოში, რადგან: ა) სომეხ ნაციონალისტთა მიერ იგი აღიქმება მოკავშირედ ავტონომისტურ (შესაძლოა სეპარატისტულ) განზრახვებში; ბ) მისი საქმიანობის როგორც წმინდა სამხედრო, ისე ეკონომიკური ასპექტები თბილისიდან არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება. ცნობილია, რომ ბაზიდან არაერთხელ გასულა უკონტროლო იარაღი მოსახლეობაში. ბაზის საქმიანობის წყალობით, ჯავახეთში ქართულ ვალუტას ავიწროებს რუსული რუბლი, რადგან ბაზა თანამშრომლებთან ანგარიშსწორებას რუსული კუპიურებით ახორციელებს.
- ◆ **სომხეთის როლი.** მიუხედავად ზოგადად კარგი ურთიერთობისა საქართველოსა და სომხეთს შორის, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა რიგ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც ჯავახეთის მოსახლეობის განწყობებზეც აისახება. არც თუ დიდი ხნის წინ სომხეთის საგარეო მინისტრმა საქართველო-თურქეთის სამხედრო თანამშრომლობის გამო შეშფოთება გამოხატა. მანამდე სომხეთის ოფიციალური წრეები აღნიშნავდნენ, რომ საქართველო-თურქეთის განზრახვა ყარსი-ახალქალაქი-თბილისის რეინიჭის მშენებლობაზე არაა რეგიონული სატრანსპორტო არტერიების განვითარების საუკეთესო ვარიანტი. სომხური დიასპორა აშშ-ში აშკარად ებრძვის ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის იდეას, რომლის მცირე ნაწილმა პროექტის თანახმად ჯავახეთზე უნდა გაიაროს. 2001 წლის სექტემბერში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიანზე კი სომხეთის წარმომადგენელმა საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა ინტერესების შელახვაზე ისაუბრა.

## **მოსახლეობის განწყობა**

ობიექტურად არსებული პრობლემების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის სუბიექტური განწყობა. გამოკვლები მოწმობს, რომ მხარის მოსახლეობაში დომინანტურია სოციალურ-ეკონომიკური წუხილები, რომელიც მათ საქართველოს სხვა ნაწილებს ამსგავსებს, და არა ეთნოპო-

ლიტიკური პრობლემები, რომლებიც მათ მთლიანად ქართულ საზოგადოებას დააპირისპირებს. მაგრამ არსებობს რიგი პრობლემებისა, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ეთნიკური დისკრიმინაციის ჭრილში განიხილება.

ეკონომიკური სიღუბე, სამხარეო ბიუროკრატის ნაკლოვანებანი, განათლების სისტემის ხარვეზები თუ სხვა პრობლემები ხშირად აღიქმება, როგორც სომხური თემის შეგნებული დისკრიმინაცია ქართული ხელი-სუფლების მხრიდან. ჯავახეთის მოსახლეობის წარმომადგენელთათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფაქტი, რომ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მოხელეთა უმეტესობა ეთნიკური ქართველია; რომ ქართულის მასწავლებლებს, სხვა საგნების მასწავლებლებისაგან განსხვავებით, ჯავახეთში ხელფასზე დანამატი ეძლევათ; რომ გზის შეკეთებზე მუშაობს ქუთაისის სამშენებლო ორგანიზაცია; რომ სომხეთიდან შემოსული ელექტროენერგია ახალქალაქს ახალციხის გავლით მიეწოდება და არა უშუალოდ. არც თუ იშვიათად გამოითქმის ეჭვები, რომ ცენტრი დაინტერესებულია ჯავახეთის სომხეთა ემიგრაციით, და სწორედ ამის გამო ხელისუფლება შეგნებულად იკავებს თავს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისაგან. სომხური თემის ნაწილი ეთნიკური დისკრიმინაციის ჭრილში აღიქვამს ფაქტს, რომ რამდენიმე სომხური სოფელი ერთ საკრებულოდ ერთიანდება მაშინ, როდესაც ყოველ ქართულ სოფელში ცალკე საკრებულოა.

სომხური თემის საგრძნობ ნაწილში გავრცელებულია უარყოფითი დამოკიდებულება თურქეთთან სატრანსპორტო დერეფნის აშენების მიმართ, რადგან ამაში თურქული გავლენის დამყარების საფრთხეს ხედავენ. რაც შეეხება რუსული ბაზის დახურვის საკითხს, სომხები ასეთი პერსპექტივის მიმართ სერიოზულ შემფოთებას გამოთქვამენ როგორც ეკონომიკური (ბაზა შემოსავლის წყაროა), ისე უსაფრთხოებით (ბაზა აღიქმება გარანტიად როგორც თურქული „საფრთხის“, ისე თბილისის „ასიმილატორული“ განზრახვების წინააღმდეგ) მოტივებით.

მეორე მხრივ, ქართული მედიის მასალები, საუბრები ადგილობრივ ქართულ მოსახლეობასთან და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან ცხადყოფს, რომ არსებობს უნდობლობა ჯავახეთის სომხებისადმი. გამოითქმება წუხილები, რომ ისტორიის სომხურ სახელმძღვანელოებში, რომლებითაც ჯავახეთის სომხურ სკოლებში ასწავლიან, წარსული ტენდენციურადაა გაშუქებული; რომ რუსეთი ფლობს ბერკეტებს ჯავახეთში მასობრივი ანტიქართული აქციების მოსაწყობად. საქართველოს მოსახლეობის ზემოთნახსენები ეთნიკური პრეფერენციები ასაზრდოვებს ასეთ წუხილებს და თავად საზრდოობს მათგან.

## პერსპექტივები და რეკომენდაციები

ჯავახეთის მიმართ ოპტიმიზმის მთავარი საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ დღევანდელ ეტაპზე შეგვიძლია ვილაპარაკოთ აქ არსებულ რისკ-ფაქტორებზე და არა საფრთხეებზე. ამ განსხვავების გატარებისას გამოვდივართ იქედან, რომ საფრთხე – ესაა რომელიმე სერიოზული პოლიტიკური აქტორის არა მარტო მზაობა, არამედ არტიკულირებული განზრახვა, მეტოქეს მიაყენოს მისი ინტერესების შემლახავი დარტყმა. ასეთ განზრახვასა და, მითუმეტეს, ქმედებას ჯავახეთში ადგილი არ ჰქონია. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ამგვარი სურვილების მატარებელნი და გამოძახველნი მარგინალიზებულნი იყვნენ ან თავის განზრახვებს მალავდნენ. განზრახვის დამალვა კი თავად განზრახვის მიზანშეწონილობასა და დროულობაში დაეჭვებას, ან განმზრახველის სისუსტეს უნდა ნიშნავდეს.

მიუხედავად ამისა, უნდა ვიფიქროთ ნაკლებ ოპტიმისტურ სცენარებზეც, რომლებიც შეიძლება ზემოთნახსენები რისკ-ფაქტორებისა და წუხილების ფონზე განვითარდეს. სახელდობრ, შეგვიძლია განვიხილოთ პესიმისტური და სტატუს-ქვოს შენარჩუნების სცენარები:

- ◆ პესიმისტური სცენარის საფუძველია მთავარი ცვლადების – როგორც რეგიონული, ისე საქართველოს საშინაოპოლიტიკური ვითარების – შესაძლო გაუარესება. სახელდობრ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ცვლილებები შემდეგი მიმართულებით: ერთი მხრივ, საქართველოს, მეორე მხრივ, რუსეთისა და სომხეთის განსხვავებული ხედვები რეგიონულ საკითხებზე დაპირისპირების ფაზაში გადადის; სომხეთის ოფიციალურ წრეებში იმარჯვებს ირედენტისტული განწყობა, რუსეთი კი ცდილობს გამოიყენოს ყველა საშუალება საქართველოზე გავლენის აღსადგენად. ამ შემთხვევაში, ერთ-ერთი ან ორივე ძალის მიერ მოხდება ჯავახეთში მოქმედ ნაციონალისტურ ჯგუფთა რადიკალიზაციის და გააქტიურების წახალისება. რის შედეგადაც საქართველოს ხელისუფლებას გაუჭირდება მათთან კონფლიქტის თავის არიდება.

მეორე მხრივ, ფინანსური, ეკონომიკური და ენერგეტიკული კრიზისის ფონზე საქართველოში ღრმავდება შიდა დაპირისპირება. სახელდობრ, ერთმანეთს უპირისპირდება ორი იდეოლოგიური მიმართულება: დასავლური დემოკრატიის გზას უარყოფს ეთნონაციონალისტური მიმართულება, რომელიც ისევ წამოწევს წინ ლოზუნგს „საქართველო ქართველებისათვის“. მოვლენათა ასეთი განვითარება ჯავახეთში ეთნონაციონალისტური მოძრაობის საპასუხო გაძლიერებას მოახდენს, რაც არსებითად გაზრდის შეიარაღებული დაპირისპირების შანსებს.

რა მასშტაბებსაც არ უნდა მიაღწიოს ასეთმა დაპირისპირებამ, საშუალოვადიან პერსპექტივაში იგი გამოიწვევს ადამიანთა მსხვერპლს, ლტოლვილთა თუ გადაადგილებულ პირთა ნაკადების გაჩენას; სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის გაუარესებას. გამოირიცხება საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო საკომუნიკაციო თუ ენერგეტიკული პროექტების განხორციელება. ყოველივე ეს შესაძლოა დასრულდეს ქართული სახელმწიფოს შემდგომი რღვევით ან მისი სუვერენიტეტის არსებითი შელახვით.

- ◆ სტატუს ქვოს სცენარი გულისხმობს საშინაო და რეგიონულ დონეზე არსებული პოლიტიკის და ტენდენციების შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში, საშუალოვადიან პერსპექტივაში შენარჩუნდება ზემოთ ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორებიც. სომხეთთან ურთიერთობაში კვლავ იქნება ეჭვნარევი კეთილმეზობლობა, რუსეთთან კი გაგრძელდება ურთიერთბრალდებები. სტაბილურობის გარანტიად დარჩება ფსონი კლანთა ბალანსზე. ყოველივე ეს არ შეუწყობს ხელს ქვეყნისა და რეგიონის მდგრად განვითარებას. ცალკეული ეკონომიკური პროექტები შეიძლება განხორციელდეს, მაგრამ სერიოზული რეფორმების გარეშე მათი სიკეთით ხალხი ნაკლებად ისარგებლებს. რეგიონის გაუცხოება დანარჩენი საქართველოსგან კიდევ უფრო გაღრმავდება, რადგან ახალ თაობაში მცირდება რუსული ენის როლი, რომელიც საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს ქართულ და სომხურ თემებს შორის. ეს კიდევ უფრო გაამყარებს მოსახლეობის იზოლაციას ქართული სახელმწიფოსაგან, რაც ყველა ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორის ზოგადი საფუძველია.

იმისათვის, რათა გამოირიცხოს სასიფათო სცენარების პოტენციური და რისკ-ფაქტორთა განეიტრალების პროცესი დაიწყოს, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების აქტიური ნაწილის ძალისხმევაა საჭირო. დახმარება გარედან, საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება რეგიონული სტაბილურობის მიმართ მნიშვნელოვანი დადებითი ფაქტორია, მაგრამ მისი სწორი გამოყენება ისევ საქართველოზეა დამოკიდებული. საქართველოს ხელისუფლების და საზოგადოების ძალისხმევა სამ ძირითად პრინციპს უნდა დაეყრდნოს:

- ◆ საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის განმტკიცება;
- ◆ რეგიონის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება;
- ◆ ადამიანის უფლებების, სამოქალაქო და პოლიტიკური თავისუფლებების დაცვა.

უფრო კონკრეტულად, ეს ძალისხმევა შემდეგი მიმართულებითა და ფორმებითაა განსახორციელებელი:

1. აუცილებელია რეალური ნაბიჯებს გადადგმა მმართველი წრეების მიერ არაერთხელ დეკლარირებული დემოკრატიული არჩევანის განხორციელებისაკენ. საჭიროა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა რეფორმირება, რათა პრაქტიკულად დაიწყოს კანონის უზენაესობის, „კარგი მმართველობის“ ფორმათა დანერგვა. უნდა განხორციელდეს უსაფრთხოებისა და სამართალდამცავი სისტემების ტრანსფორმაცია „ადამიანური უსაფრთხოების“ პრინციპთა მოთხოვნების თანახმად. სხვაგვარად არ შემცირდება კორუფცია, არ მოიმატებს ხელისუფლების ეფექტურობა და ლეგიტიმურობა.
2. ცენტრალური მმართველობის გაუმჯობესების პარალელურად უნდა ხდებოდეს სამხარეო და ადგილობრივი მმართველობის დემოკრატიზაცია. სასურველია სამხარეო დონეზე თვითმმართველობის ელემენტთა დანერგვა რეგიონული საბჭოს სახით. რეგიონული პოლიტიკური პარტიების აკრძალვის პრაქტიკა აზრსაა მოკლებული. ამგვარი აკრძალვის მოხსნა იქნებოდა შესტი ნდობის მშენებლობისაკენ. პარალელურად, საზოგადოებრივი სექტორის განვითარება რეგიონში მაქსიმალურ ხელშეწყობას უნდა იმსახურებდეს.
3. სასურველია, რომ სომხურ თემს ჰქონდეს კულტურული ავტონომია, ანუ კულტურისა და განათლების სფეროში დამოუკიდებელი მოქმედების ფორმალურად გარანტირებული უფლება. შესაძლოა ჯვავანეთში არსებობდეს არატერიტორიული სომხური საბჭო, რომელიც აღნიშნულ სფეროში გარკვეული უფლებამოსილებით იქნება აღჭურვილი. განათლებისა და კულტურის ცენტრალური სამინისტროები პასუხს უნდა აგებდნენ იმაზე, რომ სომხური სკოლებისა თუ უმაღლესი სასწავლებლების პროგრამები არ ეწინააღმდეგებოდნენ ზოგად სასწავლო პროგრამებს.
4. გამომდინარე საქართველოში არსებული რთული და მნიშვნელოვანწილად უნიკალური ეთნოპოლიტიკური სურათიდან, არ უნდა იყოს გამორიცხული ფიქრი როგორც სამხარეო თვითმმართველობაში, ისე ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში ეთნიკური თემებისათვის ქვოტების დაწესებაზე. ამასთან, ქვეყანაში სამოქალაქო შეგნების გაძლიერებამდე და ცენტრალური ხელისუფლების ეფექტურობის ამაღლებამდე ნაადრევადაა მისაჩნვეი საქართველოს მიერთება ეროვნულ უმცირესობათა ჩარჩო კონვენციასა და რეგიონული და უმცირესობათა ენების

ევროპულ ქარტასთან. დღეისათვის, როდესაც ეთნიკური შეგნება პრე-ვალირებს საერთოეროვნულზე, ამ დოკუმენტებმა შეიძლება შეუშალოს ხელი სახელმწიფო ენის გავრცელებას ჯავახეთში და, შესაბამისად, ჯავახეთის სომხური თემის ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში. ნათქვამი არ ნიშნავს სომხური ენის მოქმედების არეალის შეზღუდვის საჭიროებას. პირიქით, დღეს არსებული პრაქტიკა სომხური ენის ხმარებისა ადმინისტრაციულ საქმიანობასა და, განსაკუთრებით, განათლების სფეროში საკანონმდებლო გარანტიებს საჭიროებს. ოღონდ, პარალელურად უნდა გაფართოვდეს ჯავახეთში ქართული ენის მოქმედების არეალი.

5. ქართული ენის სტატუსის დასაცავად საჭიროა როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის ძალისხმევა და საერთაშორისო დახმარების მოზიდვა. სახელმწიფომ ბევრად მეტი სახსრები უნდა გაიღოს ამისათვის. სასურველია შეიქმნას პროფილური სასწავლებლები ახალქალაქში, ახალციხეში და თბილისში, სადაც სომეხი ახალგაზრდები გაძლიერებულად ისწავლიან ქართულ ენას სხვა საგნებთან ერთად. ეს მათ მისცემს მომავალ კარიერაში ქართველ ახალგაზრდებთან თანაბარ პირობებში ჩაყენების საშუალებას.
6. სასურველია სომხური ფაკულტეტის გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამით მოხდება სომხური კულტურის პოპულარიზაციის და ჯავახეთელი ახალგაზრდების თბილისურ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.
7. სასურველია შერეული სომხურ-ქართული სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც მოამზადებს შეთანხმებულ წინადადებებს რუსული ბაზის ლიკვიდაციის ვადებსა და იქ დასაქმებული მოსახლეობისათვის ალტერნატიული საარსებო წყაროების გამონახვის თაობაზე.
8. გადაუღებელია ზრუნვა ჯავახეთში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების განვითარებაზე და საჭაო ქსელის შეკეთება-გაფართოებაზე.
9. სომხურ თემში ქართული სახელმწიფოსადმი ლოიალობის ამაღლებას შესაძლოა ხელი შეუწყოს ქართულ შეიარაღებულ ძალებში სომხური ქვედანაყოფის შექმნამ. ოღონდ სომეხ სამხედროებს უნდა ჰქონდეთ სამხედრო იერარქიის კიბეზე შეუფერხებელი სვლის საშუალება და არაა აუცილებელი, რომ აღნიშნული ქვედანაყოფი ჯავახეთში იყოს მუდმივად დისლოცირებული.
10. აუცილებელია ისტორიის ისეთი სახელმძღვანელოს შექმნა, სადაც დაბალანსდება ამჟამად დაპირისპირებული სომხურ-ქართული წარმოდ-

გენები ჯავახეთის, საქართველოსა და სომხეთის თუ მთელი რეგიონის წარსულზე.

11. მთელს ამ პროცესში სახიფათოა რადიკალური ბრძოლა ტრადიციულ ნათესაობრივ კავშირებთან, გავლენიან კლანებთან. ისინი ნაწილობრივ დაკარგავენ ნეგატიურ პოტენციას, თუ თანდათანობით მოხერხდება კანონის უზენაესობის და ხელისუფლების ოპტიმალური დეცენტრალიზაციის პრინციპთა დამკვიდრება როგორც რეგიონში, ისე მთელ საქართველოში.
12. აღნიშნულ შიდაპოლიტიკურ თუ სოციალურ ქმედებებს უნდა ახლდეს მუდმივი დიალოგი სომხეთის სახელმწიფოსთან როგორც ორმხრივ დონეზე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. საქართველომ მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტები და იყოს პრინციპული მათ განხორციელებაში.

# სამხრეთ საქართველოს მუსულმანური მოსახლეობა: რეპატრაციის პრობლემები

## 1. პრობლემის საერთო ისტორიული ფონი

1944 წლის 15 ნოემბრის ადრიან დილას მესხეთის, საქართველოს სამხრეთ პროვინციის (იგივე სამცხე-ჯავახეთი), გზებზე გამოჩნდა საგანგებოდ შექმნილი სტუდენტების მანქანების უსასრულო რიგი. სოფლის ცენტრებში თავი მოუყარეს ადგილობრივ მოსახლეობას და ყველა მუსულმანს ორი საათი მისცეს ძვირფასი ნივთების ასაღებად, 3 დღის საკვების მარაგის მოსამზადებლად და მანქანაში ჩასასხდომად. 92,307 ადამიანი სამხრეთ საქართველოს ხუთი ადმინისტრაციული რაიონიდან – ადიგენი, ახალციხე, ასპინძა, ახალქალაქი და ბოგდანოვკა (დღევანდელი ნინოწმინდა) – და ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკიდან ცენტრალურ აზიაში გადასახლეს (აჭარიდან დეპორტაცია 25-26 ნოემბერს მოხდა). 457 ადამიანი გზაში გარდაიცვალა. მოგვიანებით, როცა სამხედროებმა მეორე მსოფლიო ომიდან მესხეთში დაბრუნება იწყეს, გადასახლებულთა რიცხვი უმნიშვნელოდ გაიზარდა. მუსულმანების ნაცვლად მესხეთში იძულებით ჩამოსახლეს 30 000-მდე ქრისტიანი ქართველი სხვადასხვა რეგიონებიდან (ზემო იმერეთი, რაჭა).

ეს იყო ე. წ. „არასანდო ხალხების“, (ვისაც სტალინი ნაცისტებისა და მათი მოკავშირეების პოტენციურ თანამშრომლებად განიხილავდა) საბჭოთა კავშირის აზიურ ნაწილში იძულებითი გადასახლების ზოგადი სტალინისეული პოლიტიკის ნაწილი. ადგილობრივ მუსულმანებს ბრალი ედებოდათ ნაციტური გერმანიის მოკავშირე თურქეთთან მჭიდრო კავშირებსა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონსპირაციულ საქმიანობაში. სავარაუდოდ, დეპორტაცია შედიოდა ომის პერიოდის უსაფრთხოების პრევენციულ ზომებში და მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირი-თურქეთის საზღვრის გამყარებას.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა და ყველა იმ ხალხის საქმე, ვინც მესხების ბედი გაინაწილა, დღეს მეტ-ნაკლებად გარკვეულია: ისინი ან საკუთარ სახლში დაბრუნდნენ, ან სხვა გამოსავალი ნახეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მხარეში გაფანტული მუსულმანი მესხების მომავალი პერსპექტივები კი კვლავაც გაურკვეველია.

საბჭოთა კავშირის თავდაცვის კომიტეტის მიერ 1944 წლის 31 ივლისს მიღებული დადგენილების ტექსტში გადასახლებას დაქვემდებარებუ-

ლი ხალხი მოხსენიებულია, როგორც თურქები, ქურთები და ჰემშილები, მათგან პირველი ჯგუფი დიდ უმრავლესობას წარმოადგენდა. მათი ეთნიკური წარმოშობა დღესაც რჩება ისტორიკოსებისა და აქტივისტებისთვის სადავო საკითხად. არსებობს ძლიერი არგუმენტი, რომ თურქებად მიჩნეული ხალხი სინამდვილეში ქართული წარმოშობისა იყო, მაგრამ გამუხულმანდა და გათურქდა მას შემდეგ, რაც XVI საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს მფლობელობაში მყოფი მესხეთი ოტომანთა იმპერიამ მიიერთა. მოსახლეობის 1870 წლის აღწერაში ახალციხის რაიონში 20,855 სუნიტი ქართველია რეგისტრირებული. ადგილობრივი მუსულმანები საკუთარ თავს უწოდებენ იერლი – ადგილობრივს, მაშინ როცა თურქები მათ გურჯუ ოგლუ (ქართველების შთამომავლებად) ან გურჯუ დონმე (ქართველებისგან წამოსულები) უწოდებდნენ. სხვა შეხედულების მიხედვით, მუსულმანი მესხები უპირველესად თურქული ტომების შთამომავლები არიან. თურქულ ისტორიულ და პოლიტიკურ დისკურსში ეს ხალხი მოიხსენიება როგორც აპისკა (ახალციხელი) თურქები. დღესდღეობით, დეპორტირებულთა დიდი ნაწილი თავს თურქად მიიჩნევს, ბევრს საერთოდ არა აქვს გამოკვეთილი ეთნიკური იდენტობა, უმცირესობა კი საკუთარ თავს ქართველად მიიჩნევს (ამ საკითხის შესახებ იხილეთ ქვემოთ).

1801 წელს, აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ, რუსეთის იმპერიამ რამდენჯერმე სცადა სამცხე-ჯავახეთზე საკუთარი ძალაუფლების გავრცელება. 1828 წელს რუსულმა ჯარმა, რომელშიც ქართველი მეომრებიც იყვნენ, მოიგო ბრძოლა ახალციხეში, რაც პროვინციის მთავარ ქალაქს და მის სტრატეგიული მნიშვნელობის საყრდენს წარმოადგენდა, და ის რუსეთის სამეფოს მიუერთა. მაშინ როდესაც ქართული საზოგადოება ამ ფაქტს ისტორიულად ქართული პროვინციის შემოერთებად განიხილავდა, რუსეთი შეეწინააღმდეგა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის საქართველოს კულტურულ გარემოში დაბრუნების სურვილს. ამის ნაცვლად მან ძლიერი ზეწოლა განახორციელა ადგილობრივ მუსულმანურ მოსახლეობაზე, რის შედეგადაც ნაწილი სამხრეთით, თურქეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე გადასახლდა. განდევნილი მოსახლეობის ნაცვლად სასწრაფოდ ჩამოსახლეს ერზურუმიდან 35 000 სომეხი დევნილი. გადასახლების ეს პოლიტიკა აშკარად მიზნად ისახავდა სტრატეგიული მნიშვნელობის სამხრეთის სასაზღვრო რეგიონის იმპერიის ერთგული და სანდო ხალხით დასახლებას. ამ ზომების მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას ისევ მუსულმანები წარმოადგენენ, რომლებიც „არასანდოდ“ ითვლებოდნენ მათი თურქეთთან კავშირების გამო.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდის (1918-21 წწ.) სუსტი სახელმწიფოებრიობის პირობებში მესხი მუსულმანების გარიყულობა

უფრო გამოიკვეთა. რამდენიმე სასაზღვრო კონფლიქტში ახალ საქართველოსა და ნგრევის პირას მისული თურქეთის იმპერიას შორის ადგილობრივ მუსულმანთა დიდი ნაწილი ამ უკანასკნელს მიემხრო. მათ მიერ ქრისტიანი ქართველებისა და სომხების მიმართ განხორციელებული სისასტიკის ფაქტებისა თუ წარმოდგენების შესახებ მოგონებები ადგილობრივი მოსახლეობის კოლექტიური მეხსიერების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს გადასახლებული ხალხის რეპატრიაციისადმი მათ დამოკიდებულებას.

საბჭოთა რუსეთმა გააგრძელა ცარისტული პოლიტიკა, თუმცა მას რამდენიმე ახალი შტრიხი შემატა. მაშინ, როცა რუსეთის იმპერია თავის სამფლობელოებს აღმსარებლობის მიხედვით ყოფდა, საბჭოთა რუსეთმა იდენტობის დადგენა ეთნიკური ხაზით განახორციელა. გადაწყდა, რომ მესხი მუსულმანების უმრავლესობას, ასევე ჰემშილების ნაწილს (რომლებიც გამაჰმადიანებულ სომხებად ითვლებიან), ქურთებსა და ტარაკამას „აზერბაიჯანელების“ სახელი მიეღოთ. ადგილობრივი მუსულმანების რელიგიური იზოლირება ეთნიკურითაც განმტკიცდა, ანუ ის ეთნიკურ ტერმინებში გამოიხატა. „თურქების“ იარლიყი პირველად ამ ხალხს 1944 წლის დადგენილების მიხედვით მიეწერა; ის მიზნად ისახავდა დეპორტაციის გამართლებას, რომელიც ოფიციალური ვერსიით ამ ხალხის თურქეთთან ანტი-საბჭოთა შეთქმულებაში სავარაუდო ჩართულობამ განაპირობა.

### გადასახლებული მესხების ცხოვრება და მათი არსებობის პირობები დღეს

53,163 ადამიანი მესხეთიდან გადასახლეს უზბეკეთში, 28,598 – ყაზახეთში, და 10,546 – ყირგიზეთში. პირველი წლები განსაკუთრებით მძიმე იყო გადასახლებულთათვის. იმ პერიოდში მათი 7,5% გარდაიცვალა. სიკვდილიანობა 11,5-ჯერ აღემატებოდა შობადობას. 50-იან წლებში სიტუაცია გაუმჯობესდა და ახალ ქვეყანაში გადასახლებულებმა მეტ-ნაკლებად მოახერხეს საკუთარი ცხოვრების მოწყობა. ბევრმა სახლი შეიძინა და მძიმე სასოფლო-სამეურნეო შრომის შედეგად ცხოვრების უფრო მაღალ დონესაც მიაღწია ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობასთან შედარებით.

1956 წლის 28 აპრილიდან დაიწყო ახალი ერა გადასახლებულთა ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს N135/142 დადგენილების მიხედვით გადასახლებულებს მოეხსნათ შეზღუდვები, თუმცა მათ არ მიენიჭათ თავდაპირველი დასახლების ადგილებში დაბრუნების უფლება. 1957 წლის 31 ოქტომბრის დადგენილების მიხედვით დაუშვეს საქართველოდან დეპორტირებულების აზერბაიჯანში გადასახლება. 1944 წლის დადგენილე-

ბისგან განსახვავებით, ეს დოკუმენტი გადასახლებულებს მოიხსენიებს ზერბაიჯანელებად და არა თურქებად. მხოლოდ 1974 წლის 9 იანვარს გაუქმდა ყველა საკანონმდებლო აქტი, რომელთა მიხედვით მესხებს არ ჰქონდათ იმ ადგილებში დაბრუნების უფლება, საიდანაც ისინი გადაასახლეს.

აღსანიშნავია, რომ არც ეს დადგენილება განაპირობებდა რეალური დაბრუნების შესაძლებლობას. ჩაწერის ინსტიტუტი ყველა მოქალაქეს უზღუდავად საბჭოთა კავშირის შიგნით თავისუფალ გადაადგილებას. მესხების შემთხვევაში, იმ რეგიონის სასაზღვრო სტატუსი, საიდანაც ისინი გამოასახლეს, დამატებით და ძალიან სერიოზულ დაბრკოლებას ქმნიდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი იქცა სასაზღვრო ზონად საბჭოთა კავშირსა და ნატო-ს ქვეყნებს შორის; არავის ჰქონდა ამ რეგიონში გამგზავრების უფლება ხელისუფლების მიერ გაცემული სპეციალური ნებართვის გარეშე. ასეთ პირობებში, ხალხის მასობრივი განსახლება მხოლოდ მთავრობის ხელშეწყობით იქნებოდა შესაძლებელი. მაშინ, როცა საბჭოთა სახელმწიფო ორგანიზებას უკეთებდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გადასახლებულთაგან ზოგიერთი ხალხის (ჩეჩნების ან ინგუშების) სახლებში დაბრუნებას, ის სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სხვების (მესხების, ყირიმელი თათრებისა და ვოლგელი გერმანელების) რეპატრაციას. 1956 წლიდან ამ ხალხების წარმომადგენლებმა ჩამოაყალიბეს მოძრაობები, რომელთა მიზანს დაბრუნებისათვის ბრძოლა წარმოადგენდა. მათ არაერთხელ მიმართეს მთავრობას, მაგრამ მესხებმა ამით მხოლოდ მათი ნაწილის ზერბაიჯანში ჩასახლებას მიაღწიეს. მაშინ, როცა ხელისუფლება ეწინააღმდეგებოდა რეპატრაციას, ქართველ დისიდენტთა და ინტელექტუალებს გარკვეული ჯგუფი მხარს უჭერდა დეპორტირებულთა მოთხოვნებს და 70-80-იან წლებში აქტიურად ლობირებდა მათ დაბრუნებას. მათი ძალისხმევით შედეგად ასეულობით მესხური ოჯახი დაბრუნდა საქართველოში, თუმცა არც ერთ მათგანს არ მისცეს მშობლიურ ადგილებში წასვლის უფლება: ისინი საქართველოს სხვა მხარეებში დაასახლეს.


საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაციამ და შემდგომ მისმა ნგრევამ არ შეამსუბუქა მუსულმანი მესხების მდგომარეობა; ზოგიერთ მათგანს ისევ მოუწია იძულებით გადასახლება. 1989 წლის 3 ივნისს უზბეკეთში, ფერგანის ხეობაში დაიწყო მწვავე ეთნიკური კონფლიქტი, რამაც ადგილობრივი უზბეკების მიერ მესხური თემის განდევნა გამოიწვია. ამ მოვლენებამდე 109 000 მესხი ცხოვრობდა უზბეკეთში. 3-12 ივნისის განმავლობაში 112 ადამიანი დაიღუპა, 1 032 დაიჭრა, 856 სახლი დაიწვა და განადგურდა. არეულობას ადგილი ჰქონდა ფერგანის 15 რეგიონში. 17000 მესხის ევაკუაცია საბჭოთა ჯარმა განახორციელა. მცირე მასშტაბის შეტაკებები 1990 წლის თებერვალსა და მარტშიც გაგრძელდა. ამ პერიოდ-

ში 2 000 ადამიანი იყო ევაკუირებული, 4 ადამიანი დაიღუპა და 46 სახლი დაიწვა.

მაგრამ მათ კვლავინდებურად არ შეეძლოთ საქართველოში დაბრუნება, სადაც სიტუაცია ამ პერიოდში მკვეთრად გაუარესდა. 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ, როცა დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოსული დემონსტრანტები საბჭოთა ჯარმა დაარბია, წინ წამოიწია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის ლოზუნგებმა და შიდა ეთნიკურმა დაპირისპირებამ. ათასობით ე. წ. „თურქის“ მოულოდნელი ჩამოსახლების ფაქტი განხილული იყო როგორც ეთნიკური დაპირისპირების ახალი წყარო და საბჭოთა ხელისუფლების მიერ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედება. ამ პირობებში საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთმა ლიდერებმა, როგორც იყვნენ აკაკი ბაქრაძე და ზვიად გამსახურდია, რომელნიც ადრე მხარს უჭერდნენ მესხების ჩამოსახლებას, შეცვალეს პოზიცია და აქტიურად დაუპირისპირდნენ დეპორტირებულ მესხების ჩამოსახლებას საქართველოში. საკითხის გადაწყვეტა, ზვიად გამსახურდიას აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდისთვის უნდა გადადებულიყო. ამ პერიოდიდან საზოგადოებაში მესხების დაბრუნების საკითხისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაბატონდა; მხოლოდ ადამიანთა მცირე ნაწილი აგრძელებდა რეპატრიაციის აქტიურ მხარდაჭერას. მეტიც, ანტი-მესხური ფსიქოზის სიტუაციაში მათი ნაწილი, ვინც უკვე დაბრუნდა საქართველოში, ისევ გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან.

რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლებას არ სურდა პასუხისმგებლობა აელო მეორე ეთნიკურ კონფლიქტზე, მან გადაწყვიტა უზბეკეთიდან განიზნული ხალხი დაესახლებინა რუსეთის ფედერაციის არამავშიწიან სასოფლო-სამეურნეო რეგიონში, რომელიც სამუშაო ძალების ნაკლებობას განიცდიდა. ვინც საბჭოთა საჯარისო ნაწილების მიერ არ იყო ევაკუირებული, წავიდა რუსეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანში, საქართველოსა და უკრაინაში. მრავალი მესხი ახალ ადგილსამყოფელს განიხილავდა დროებით გადაწყვეტად პრობლემის უკეთეს გადაწყვეტამდე. რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების მონაცემების მიხედვით, საკუთარი მდგომარეობის დროებითი ხასიათის მიზეზით 60%-მა უარი თქვა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მუშაობაზე. ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსეთში ახალ ჩამოსულებს შორის დაძაბულობამ ძალე იჩინა თავი.

დღეს მრავალმა მესხი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში ცხოვრობს. ნაწილმა თურქეთში გადასვლა მოახერხა. არ არის ცნობილი ზუსტი მონაცემები სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში მესხების რაოდენობის შესახებ, ვინაიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ზოგიერთ ქვეყანაში აღწერა 1989 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. სიტუაციას ართულებს ის, რომ გა-



დასახლებულები და მათი შთამომავლები სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებად არიან რეგისტრირებულნი: როგორც თურქები, აზერბაიჯანელები, უზბეკები, ყაზახები ან თუნდაც „კავკასიელები“. მესხების საერთო რაოდენობა უხეშად შეიძლება 300 000 დასახელდეს. მათი სხვადასხვა ქვეყანაში განაწილების მონაცემები მოცემულია გრაფაში:

## 2. მუსულმანი მესხების იურიდიული სტატუსი

დღესდღეობით მესხური პოპულაციის იურიდიული სტატუსი სხვადასხვა ქვეყანაში და ერთი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონშიც კი ერთმანეთისგან განსხვავდება. ყველაზე ცუდ პირობებში ისინი რუსეთის სამხრეთ ნაწილში, კრასნოდარის მხარეში იმყოფებიან, სადაც გადასახლებული მესხები ამჟამად მოკლებული არიან სამოქალაქო უფლებებს. რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით ყველა საბჭოთა მოქალაქეს, ვინც რუსეთის ტერიტორიაზე 1992 წლიდან ცხოვრობს, შეუძლია რუსეთის მოქალაქეობის მოთხოვნა. მიუხედავად ამისა, მესხებს ეს უფლება ჩამოართვეს. ვინც სრულწლოვანი ხდება, ვერ იღებს პასპორტს, ხოლო ზრდასრულ ადამიანებს პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში მისი აღდგენა არ შეუძლიათ. ზოგიერთმა მათგანმა მოახერხა პასპორტის აღება უზბეკეთში, ყოფილ საცხოვრებელ ადგილზე. სხვები დათანხმდნენ სამხედრო სამსახურის გავლას პასპორტის მიღების სანაცვლოდ, მაგრამ მოტყუებული აღმოჩნდნენ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ არ დააკმაყოფილა სამხედროთა შუამდგომლობა მათთვის პასპორტების გაცემის თაობაზე. პასპორტებისა და საცხოვრებელი ადგილის ნებართვის არქონამ მრავალმხრივ გაართულა მესხების ცხოვრება: მათ არ შეუძლიათ ქორწინების რეგისტრაცია, შესაბამისად ბავშვები მამის ნაცვლად დედის გვარს ატარებენ; ისინი ვერ აფორმებენ საკუთრების (სახლი ან მანქანა) ყიდვა-გაყიდვას და ვერც მანქანის მართვის უფლებას იღებენ;

მათ არა აქვთ სამუშაო კონტრაქტის ორ თვეზე ხანგრძლივი პერიოდით გაფორმების უფლება და ისინი პრობლემებს აწყდებიან უმადლესი განათლების მიღებისას. პენსიონერებს კრასნოდარში პენსიას ვერ იღებენ, ასე რომ, პენსიის ასაღებად უზბეკეთში გამგზავრება უწყევთ. მესხებს შეუძლიათ მხოლოდ ცხოვრების დროებითი ნებართვის აღება, რაც მათ მუშაობისა და სწავლის უფლებას აძლევს, მაგრამ ის გაიცემა არაუმეტეს 6 თვის ვადით. ასეთი ნებართვის აღება ძვირი და რთული პროცედურაა.

გადასახლებული მესხების როგორც სამართლებრივი, ასევე ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად უკეთესია ცენტრალურ აზიასა და ყაზახეთში. უზბეკეთში ისინი მოსახლეობის აქტიურ და შედარებით მდიდარ ნაწილს შეადგენენ. უზბეკეთის მთავრობა ეკონომიკური მიზნებითაც არ არის დაინტერესებული მესხების რეპატრაციით. არსებობს ბიუროკრატიული და ფინანსური ბარიერები უზბეკეთის მოქალაქეობის გასაუქმებლად. მოქალაქეობიდან გამოსვლა კი აუცილებელი პირობაა სხვა ქვეყნის (მაგალითად, საქართველოს) მოქალაქეობის მისაღებად.

გადასახლებული მესხების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი, დაახლოებით 100 000 ადამიანი, აზერბაიჯანში ცხოვრობს. ისინი ძირითადად სოფლად სახლობენ. 70 000-მდე პირს მიღებული აქვს აზერბაიჯანის მოქალაქეობა, მათ შორის 40 000 რეგისტრირებულია როგორც ეთნიკური 'აზერბაიჯანელი, ხოლო 30,000 როგორც "თურქი". ბევრ მათგანს დღემდე საბჭოთა პასპორტი აქვს. უზბეკეთის მსგავსად, მათთვის რთული პრობლემაა აზერბაიჯანული მოქალაქეობიდან გამოსვლა. ზოგადად აზერბაიჯანი მესხური მოსახლეობის შენარჩუნებისა და ასიმილაციის პოლიტიკას ახორციელებს.

10 000-მდე მესხს, რომლებიც ფერგანას მოვლენების შემდეგ უკრაინის სამხრეთ ნაწილში გადასახლდა, უკრაინის მოქალაქეობა აქვს.

მოქალაქეობის არქონა ყოველთვის სახელმწიფო პოლიტიკის შედეგი როდია. ზოგ შემთხვევაში ის ეკონომიკური მიზნებით ან მოქალაქეობის ქონის სურვილის არ არსებობით აიხსნება. სოფლის მცხოვრებლებს არ სჭირდებათ პასპორტი, რომლის მიღება ხარჯებთან არის დაკავშირებული. ზოგიერთი ახალგაზრდა კი არ იღებს მოქალაქეობას ჯარში სამსახურის თავიდან აცილების მიზნით.

1992 წელს თურქეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვით მუსულმანი მესხების 500 ოჯახს ქალაქ ივდირში გადასახლების უფლება ეძლეოდა. ამ კანონის მეექვსე მუხლის მიხედვით, ის მესხები, რომელთა მიღებასაც თურქეთი გადაწყვეტდა, ორმაგ მოქალაქეობას მიიღებდა იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელ ქვეყანას აირჩევდა საცხოვრებლად. 1993-94 წლების განმავლობაში თურქეთმა მხოლოდ 179 ოჯახი ანუ 750 ადამიანი მიიღო. შემდგომ წლებში ქვეყანამ შეცვალა თავისი პოლიტიკა

მესხების მიმართ და შეწყვიტა მათი იმიგრაცია. 1997 წლამდე დაახლოებით 12000 იმიგრირებულმა ადამიანმა მიიღო „ეროვნული ლტოლვილის“ სტატუსი განსახლების N 2510 კანონის მიხედვით, რომელიც ეხება „თურქული წარმოშობისა და თურქული კულტურის წარმომადგენელ ადამიანებს“. ამ კატეგორიაში მოხვედრილ ხალხს თურქეთში მიგრაციის, იქ დასახლებისა და საბოლოოდ მოქალაქეობის მიღების უფლება ენიჭება. ეს სტატუსი მათთვის სამუშაოს, განათლებისა და ჯანდაცვას ხელმისაწვდომს ხდის. ნებართვა უნდა განახლდეს ორ წელში ერთხელ. ნებართვის მფლობელებს თეორიულად შეუძლიათ თურქეთის მოქალაქეობის მიღება ორი წლის შემდეგ, მაგრამ, სინამდვილეში, ეს პროცესი უფრო მეტ დროს მოითხოვს. დღესდღეობით, თურქეთის საქართველოს საელჩოს მონაცემების მიხედვით ქვეყანაში 25,229 მესხი ცხოვრობს.

643 დეპორტირებული მესხი და მათი ოჯახების წევრები ცხოვრობენ საქართველოში, მათგან 400 სრულწლოვანია. 389-ს ანუ 97,2%-ს აქვს საქართველოს მოქალაქეობა და მხოლოდ 11-ს არ გააჩნია მოქალაქის სტატუსი.

1993 წლის დასასრულიდან რეპატრიანტებს ენიჭებოდათ ლტოლვილის სტატუსი, რომელიც გულისხმობდა თვიურ ფულად დახმარებას 14 ლარის ოდენობით და სახელმწიფო ტრანსპორტით უფასო გადაადგილებას. 1998 წელს ლტოლვილთა ახალი კანონის მიღების შედეგად მესხებს ჩამოერთვათ ეს სტატუსი და შესაბამისი შეღავათებიც. ამ კანონის მიხედვით ლტოლვილად განისაზღვრა პირი, რომელსაც არ აქვს საქართველოს მოქალაქეობა და რომლისათვისაც საქართველო სამშობლოს არ წარმოადგენს.

საქართველოს ევროსაბჭოში გაერთიანებამ ბიძგი მისცა მესხების საკითხის გადასაწყვეტად ახალი და მყარი იურიდიული საფუძველის შექმნაზე მუშაობას. ევროსაბჭოს 1999 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება საქართველოს მიღების თაობაზე დაუკავშირდა საქართველოს მხრიდან გარკვეული ვალდებულებების აღებას. ერთ-ერთი ასეთი პირობის მიხედვით, საქართველომ „მიღებიდან 2 წლის განმავლობაში, უნდა მიიღოს საბჭოთა რეჟიმის დროს დეპორტირებული მესხების რეპატრიაციისა და ინტეგრაციის სამართლებრივი საფუძველი საქართველოს მოქალაქეობის უფლების მოპოვების ჩათვლით; ამ სამართლებრივი საფუძველის თაობაზე მან უნდა გაიაროს კონსულტაციები ევროსაბჭოში; ევროსაბჭოში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში უნდა დაიწყოს რეპატრიაციისა და ინტეგრაციის პროცესი და მესხების რეპატრიაციის პროცესი უნდა დაასრულოს 12 წლის განმავლობაში“.

საქართველოში მომზადდა და საპარლამენტო კომიტეტის წინაშე წარდგა კანონპროექტის ორი ვარიანტი; ერთი რეპარტიაციის სამსახურის უფროსმა გურამ მამულიამ შეიმუშავა, ხოლო მეორე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. 2001 წლის დასაწყისში სამოქალაქო ინ-

ტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტსა და უსაფრთხოების ეროვნულ საბჭოში მოსმენის შემდეგ „საქართველოდან 1940-იან წლებში საბჭოთა რეჟიმის მიერ გადასახლებული ხალხის რეპატრაციის“ თაობაზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი კანონპროექტი საბაზისო დოკუმენტად იქნა მიიღებული. 2001 წლის მარტში საქართველოს დელეგაცია ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა სტრასბურგში ევროსაბჭოს ექსპერტებთან კანონპროექტის განსახილველად. ლტოლვილთა გაერთიანებული ერების უმაღლესი კომისარიატის ოფისმა, რომელმაც დააფინანსა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მუშაობა ამ პროექტზე, ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო კონსულტაციებში. გარკვეული შესწორებების შეტანის შემდეგ პროექტი გადაეცა იუსტიციის სამინისტროს საბოლოო დამუშავებისა და პარლამენტში წარდგენის მიზნით.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მომზადებული პროექტი მოქალაქეობის მოპოვების ორსაფეხურიან პროცედურას აწესებს. დეპორტირებულმა ან მისმა შთამომავალმა უნდა მიმართოს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლობას იმ ქვეყნაში, რომელშიც ის ამჟამად ცხოვრობს, წარადგინოს გადასახლების დამადასტურებელი დოკუმენტები და მიიღოს რეპატრიანტის სტატუსის მოპოვების ნებართვა. ამის შემდეგ ის ჩამოვა საქართველოში, ხოლო ერთი წლის შემდეგ შეეძლება მოქალაქის სტატუსი მოითხოვოს. სავარაუდოდ, ამ პერიოდის განმავლობაში რეპატრიანტმა უნდა გადაწყვიტოს, მოერგო თუ არა ადგილობრივ პირობებს და არის თუ არა მზად, მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. ამასთანავე, პროექტის ავტორები თვლიან, რომ საქართველოს მთავრობამ ხელი უნდა მოაწეროს შეთანხმებას ყველა იმ ქვეყნის მთავრობასთან, სადაც დეპორტირებული მოსახლეობა ამჟამად ცხოვრობს. კანონი არ ითვალისწინებს დეპორტირებულთა სამართლებრივ რეაბილიტაციას, ვინაიდან დეპორტაცია განახორციელა სხვა სახელმწიფომ – საბჭოთა კავშირმა, და შესაბამისად საქართველო ვერ აიღებს თავის თავზე ამ პასუხისმგებლობას.

ამ საკითხთან არის დაკავშირებული მესხების ინტერესთა დამცველი ზოგიერთი ჯგუფის კრიტიკა. ეს ჯგუფები კატეგორიულად ითხოვენ დეპორტირებულების რეაბილიტაციასა და მათთვის საქართველოს მოქალაქეობის უპირობო მინიჭებას. ეს ასახულია საერთაშორისო ექსპერტების კომენტარებშიც, რომლებიც მოითხოვენ, რომ დეპორტირებულ მესხებს არ მიენიჭოს იმაზე ნაკლები სტატუსი, ვიდრე 1997 წელს მიღებული რეპრესირებული ადამიანების სოციალური დაცვისა და მათი პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარების შესახებ კანონით არის გათვალისწინებული.

ექსპერტების კრიტიკა ასევე ეხება ტექნიკურ მხარეს, რომელიც სერიოზულ გართულებებს გამოიწვევს კანონის შესრულებისას. ადვილი წარმო-

სადგენია, რომ დეპორტირებულების ან მათი შთამომავლებისთვის იოლი არ იქნება დეპორტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება, ან შეიძლება სულაც ვერ შეძლონ ეს. მეორე დიდი პრობლემა ეხება იმ შემთხვევას, როდესაც საქართველოს წარმომადგენლობა იმ ქვეყანაში, სადაც დეპორტირებული ცხოვრობს, დაადასტურებს დეპორტირებულის მოთხოვნის სამართლიანობას, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება უარს ეტყვის რეპატრიანტის სტატუსზე, ან უარს ეტყვის მოქალაქეობაზე ერთი წლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, რეპატრიანტი, რომელიც ყიდის საკუთრებას, წყვეტს სოციალურ კავშირებს, ჩამოდის საქართველოში და უარს იღებს, სამართლებრივ ვაკუუმში და უძძიმეს ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩნდება. ამგვარად, საჭიროა დეპორტირებულს საქართველოში ჩამოსვლამდე მოქალაქეობის მიღების მტკიცე გარანტიები ჰქონდეს. ამის გარდა, კანონპროექტი ითვალისწინებს იმას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში რეპატრიანტი მოქალაქეობის გარეშე პირის მდგომარეობაში აღმოჩნდება, რამაც მას შეიძლება მრავალი პრობლემა შეუქმნას.

არსებულ კანონ-პროექტში კიდევ არის საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. მთავარი მაინც ისაა, რომ ბოლო ხანებში საკითხი ადგილიდან არ იძვრის. ევროსაბჭოში შესვლისას საქართველოს მიერ დაკისრებული ვალდებულებების მიხედვით, კანონის მიღება 2002 წლის აპრილისთვის იყო დაგეგმილი. მიუხედავად ამისა, 2002 წლის დასაწყისში ეს კანონი ჯერ ისევ იუსტიციის სამინისტროშია და არ არის დადგენილი მისი მიღების მყარი ვადები. ამის მიზეზებია საკითხის უკიდურესი სირთულე, ქართულ საზოგადოებაში რეპატრიაციის არაპოპულარობა და აგრეთვე საქართველოს პარლამენტში მწვავე დაპირისპირება, რომელმაც საპარლამენტო უმრავლესობაში განხეთქილება გამოიწვია. ეს ნიშნავს იმას, რომ მუსულმანი მესხების ბედი გაურკვეველი რჩება და, როგორც ჩანს, მისი გადაწყვეტა ჯერ შორსაა.

### **3. მთავარი მოქმედი პირები, მათი პოზიცია და დამოკიდებულებები**

მუსულმანი მესხები და მათი ორგანიზაციები.

მუსულმანი მესხები სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში არიან გაფანტული, შესაბამისად მათ პრობლემებიც განსხვავებულია. არ არსებობს ერთი რომელიმე ორგანიზაცია ან მოძრაობა, რომელიც შეიძლება მათი უმრავლესობის წარმომადგენლად ჩაითვალოს. არსებითი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი

საკითხების მიმართ მესხურ ორგანიზაციებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ და დროთა განმავლობაში ეს განსხვავება კიდევ უფრო იზრდება.

მთავარი სადავო საკითხებია დეპორტირებულთა სამშობლოს, აქედან გამომდინარე, რეპატრიაციის ადგილის ზუსტი განსაზღვრება, ასევე რეპატრიატთა ეთნიკური იდენტობის დადგენა. რეპატრიაციის ადგილის მიხედვით, მესხების წარმომადგენელ ჯგუფებს სამი განსხვავებული აზრი გააჩნიათ: სასურველი საცხოვრებელი ადგილი შეიძლება იყოს ა) თურქეთი, ბ) საქართველოს ნებისმიერი ნაწილი, გ) მხოლოდ მესხეთი (სამცხე-ჯავახეთი). ცხადია, არის მეოთხე ვარიანტიც: დარჩენენ იქ, სადაც ახლა არიან. რაც შეეხება ეთნიკურ იდენტობას, როგორც ითქვა, გადასახლებულთა დიდი ნაწილი თავს თურქად მიიჩნევს, მცირე რაოდენობა თავს გათურქებულ ქართველად თვლის, ყველაზე დიდი ნაწილი კი ვერ მიუთითებს ვერც ერთ ეთნიკურ იდენტობაზე. ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს მესხებში ეთნიკური იდენტობის არასტაბილურ ან სიტუაციურ ხასიათს: მათი იდენტიფიკაციის საფუძველია მუსულმანობა და მესხეთის რეგიონიდან წარმომავლობა, ეთნიკური კუთვნილება კი გარემოებებისა და პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით შეიძლება შეიცვალოს. 60-იანი წლებში დეპორტირებული მესხების ორგანიზაციების ზოგიერთ დოკუმენტში ისინი თავს ქართველებად განიხილავენ, მოგვიანებით კი „თურქული ორიენტაცია“ იწევს წინ.

დეპორტირებულმა მესხებმა რეპატრიაციის მოთხოვნის გარშემო გაერთიანება დაიწყეს მას შემდეგ, რაც 1956 წლის დადგენილებით მათი ზოგიერთი შეზღუდვა გაუქმდა. რეპატრიაციისა და რეაბილიტაციის მოძრაობამ ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბების მიმართულებით პირველი ნაბიჯები 1964 წლის თებერვალში გადადგა, როცა დაარსდა გათავისუფლების დროებითი ორგანიზაციული კომიტეტი (ვოკო). 1990 წელს მის საფუძველზე შეიქმნა ვატანი (თურქულად „მამული“), რომელიც 1991 წელს დარეგისტრირდა. ვატანი მიზნად ისახავს 1944 წლის დეპორტაციის უსამართლო ქმედებად აღიარებას და მესხეთში უპირობო რეპატრიაციას. მისი პროგრამა ეფუძნება დაშვებას, რომ მესხებს აქვთ აშკარად გამოხატული თურქული კულტურული იდენტობა. ის ქართული კანონმდებლობისგან მოითხოვს მათი კულტურული მემკვიდრეობის აღიარებას და დაცვას, მესხებისთვის განსაკუთრებული კულტურული უფლებების მინიჭებას, როგორცაა, მაგალითად, განათლების ნაწილის მშობლიურ ენაზე მიღება. ვატანი ამას განიხილავს როგორც უფრო კულტურული, ვიდრე პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნას. ვატანის მთავარი ოფისი მოსკოვში მდებარეობს. მას აქვს ფილიალები კრასნოდარში, რუსეთის ფედერაციის სხვა რეგიონებში და ჰერბაიჯანში. ვატანი რუსეთის ხელისუფლების მიერ გადასახლებულ მესხთა წარმომადგენლად აღიარებული ერთადერთი ასოცია-

ციაა. თუმცა, ვატანს უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავს, ვიდრე ნებისმიერ სხვა მესხურ ორგანიზაციას, იგი რეპატრიანტთა უმრავლესობას მაინც არ წარმოადგენს. ბევრმა მესხმა არაფერი იცის მისი არსებობის შესახებ. ვატანი ძირითადად დაკავებულია რეპატრიაციის მიღწევით და არაფექტურია იმ პრობლემების მოგვარებისას, რასაც დეპორტირებული მესხები დღევანდელ საცხოვრებელ ადგილებში აწყდებიან.

ყაბარდო-ბალყარეთში დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია ხსნა რეგისტრირებულია 1992 წელს. ის ეფუძნება იმ დაშვებას, რომ დეპორტირებული მესხები არიან გათურქებული ქართველები. ხსნას ჰყავს წარმომადგენლები კრასნოდარის მხარეში (რუსეთის ფედერაცია). ის რეპატრიაციას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ითხოვს და არა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში. მას მცირერიცხოვანი მიმდევრები ჰყავს.

საქართველოში ფუნქციონირებს დეპორტირებული მესხების რამდენიმე ორგანიზაცია: ლატიფმა ბარათაშვილის ფონდი – მესხეთი; მუსულმანი ქართველების ხალილ გოზალიშვილის სახელობის ასოციაცია „გურჯისტანი“; ახალგაზრდა დეპორტირებული მესხების საერთაშორისო გაერთიანება „მესხეთი“. ეს ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ მესხები ეთნიკურად ქართველები არიან. ისინი ცდილობენ საქართველოში მესხების საკითხის წამოწეას და საქართველოში მცხოვრები მესხური საზოგადოებისათვის დახმარების გაწევას.

უმიდი (თურქულად იმედი) შეიქმნა 1994 წელს. ის ფუნქციონირებს მხოლოდ რუსეთში, კრიმსკის ოლქში. ეს ორგანიზაცია დეპორტირებულ მოსახლეობას განიხილავს ეთნიკურ თურქებად და მიზნად ისახავს თურქეთში მათ ემიგრაციას.

რამდენიმე ორგანიზაცია მოქმედებს ცენტრალურ აზიაში. უზბეკეთში მესხები გაერთიანებული არიან ტამკენტის თურქი მესხების კულტურულ ცენტრში. ყირგიზეთში მუშაობს ორი ორგანიზაცია: ყირგიზეთში მცხოვრები თურქების ასოციაცია და დსთ-ს ქვეყნების ახალციხელი თურქების საერთაშორისო ფედერაცია. ორივე მხარს უჭერს თურქეთში განსახლებას.

თურქეთში მოქმედებს ცამეტი მესხური ასოციაცია. მათ უმეტესობას ხელმძღვანელობენ თურქი მოქალაქეები, ისინი და მათი შთამომავლები, ვინც საქართველო 1944 წლამდე დატოვა და, შესაბამისად, დეპორტაცია არ განუცდია. ამ ასოციაციათა უმეტესობა მოქმედებს ბურსაში, კარგად არის ორგანიზებული და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ახალჩამოსულებს. ახალგაზრდა მესხების ორგანიზაცია აერთიანებს მათ, ვინც სახელმწიფო სტიპენდიის საფუძველზე (თურქეთი ყოველწლიურად უნივერსიტეტებში ლეზულობს 100 მესხს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან) სწავლობს თურქეთში. ორგანიზაცია სამ თვეში ერთხელ სტამბულში გამოსცემს ჟურნალს აპისკა („ახალციხე“).

რივითი მესხების მისწრაფებები, ისევე როგორც მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის რეალურ მსურველთა რიცხვი, უცნობია. თუმცა ბევრი მათგანი ამბობს, რომ დაბრუნება სურს, ეს შეიძლება უფრო დაბრუნების შესაძლებლობის სურვილს გულისხმობდეს, ვიდრე საკუთარი სახლ-კარის დატოვებისა და ახალი ცხოვრების დაწყების რეალურ მზაობას. რეპატრიაციისადმი დამოკიდებულება იცვლება საცხოვრებელი ადგილის, ცხოვრების პირობების, ეკონომიკური სტატუსისა და ასაკის მიხედვით. უფრო მდიდრები და ისინი, ვინც დისკრიმინაციასა და ზეწოლას არ განიცდის, ბუნებრივია, ნაკლებ ესწრაფვიან საქართველოში ჩამოსვლას. უფროსი თაობა, ვინც თავის თავზე გამოსცადა დეპორტაცია, ჯერ კიდევ ინარჩუნებს დაბრუნების ძლიერ სურვილს. ბევრი მათგანი მიუთითებს საკუთარ ქართულ წარმოშობაზე, ხოლო ზოგიერთს ჯერ კიდევ შეუძლია ქართულად ლაპარაკი. ახალგაზრდები კი სამშობლოდ იმ ქვეყანას თვლიან, სადაც დაიბადნენ და სხვაგან გადასვლის ძირითად მოტივად ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ასახელებენ.

ფერგანის მოვლენების განმეორების შიში რეპატრიაციის მთავარი სტიმულია. თუმცა, მესხები რეპატრიაციასთან დაკავშირებულ რისკსაც აცნობიერებენ. მათი უმრავლესობისთვის ცხოვრების თავიდან დაწყება ქვეყანაში, რომელიც მწვავე ეკონომიკურ სირთულეებს განიცდის და თავად აქვს ეკონომიკურად მოტივირებული ემიგრაციის მაღალი მაჩვენებელი, რომლის ენასაც არ ისინი არ ფლობენ და რომლის კვაზი-ოფიციალურ რელიგიის მიმდევარი არ არიან, მიმზიდველ პერსპექტივას არ უნდა წარმოადგენდეს.

### საქართველოს სახელმწიფო.

საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა, რომ მუსულმანი მესხების იძულებითი დეპორტაცია გაუმართლებელი სისასტიკის აქტს წარმოადგენდა. თუმცა ის, როგორც წესი, იმასაც აღნიშნავს, რომ საქართველოს ან ქართულ საზოგადოებას არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს საბჭოთა კავშირის მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის. საქართველოს არასდროს ჰქონია სერიოზული გავლენა მოსკოვში კომუნისტური პარტიის ლიდერების მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე. ეს განსაკუთრებით ეხება სტალინის მმართველობას, მაგრამ შედარებით შესუსტებული პოსტ-სტალინური რეჟიმის პერიოდშიც საქართველო მხოლოდ ზემოდან მომავალ ინსტრუქციებს ასრულებდა. მეტიც, როცა საბჭოთა რეჟიმი საჯაროდ იღებდა რაიმე ლიბერალური ხასიათის განცხადებას, მაგალითად, მესხებისთვის შეზღუდვების თაობაზე, მას სწორად თან ახლდა საიდუმლო

ინსტრუქცია, რომელიც გამოქვეყნებულ ოფიციალურ პოლიტიკას ეწინააღმდეგებოდა. მაგალითად, საბჭოთა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს 1972 წლის 26 ოქტომბრის ოქმის მიხედვით, რეკომენდირებულია გადასახლებული მოსახლეობის ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებში დარჩენის აქტიური მხარდაჭერა, მაშინ როცა გამოსულმა კანონმა გააუქმა მათი დაბრუნებაზე არსებული სამართლებრივი შეზღუდვები.

თუმცა, ისიც ფაქტია, რომ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება არ მიესალმებოდა რეპატრიაციას. მუსულმანი მესხები პირველად საქართველოში 1969 წელს გამოჩნდნენ, მაგრამ ხელისუფლებამ აიძულა ისინი წასულიყვნენ. 1982-89 წლების განმავლობაში 1972 მესხი გადმოვიდა საქართველოში, მაგრამ ბევრმა დატოვა ქვეყანა დაუცველობის, ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ გულგრილი ან სულაც მტრული დამოკიდებულების, ახლობლებისგან იზოლაციისა და ეკონომიკური სირთულეების გამო.

ზვიად გამსახურდიას, თავისუფალი საქართველოს პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, მმართველობის დროს რეპატრიაციის მხარდამჭერი არანაირი ზომები არ მიუღიათ.

1993 წლიდან მთავრობამ დაიწყო გარკვეული ნაბიჯების გადადგმა რეპატრიაციის პროცესის გააქტიურებისათვის. ჩამოვიდა დსთ-ს ქვეყნებში მცხოვრები ახალგაზრდა მესხების მცირე რაოდენობა. მთავრობამ გამოიყენა მათ საერთო საცხოვრებელი, საადაპტაციო ცენტრი და მისცა ქართულის სწავლის შესაძლებლობა. მესხები სწავლობდნენ ენასა და ისტორიას საადაპტაციო ცენტრსა და უნივერსიტეტის მოსამზადებელ კურსებზე. კურსების დასრულების შემდეგ, ისინი სწავლას აგრძელებდნენ უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში. ეს სქემა დღემდე მოქმედებს. ამჟამად მესხები სწავლობენ არამარტო თბილისში, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალშიც.

1994 წელს დაარსდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს რეპატრიაციის სამსახური. მისი მიზანი იყო რეპატრიანტების დახმარება და შემდგომი რეპატრიაციის კოორდინაცია. სამსახურის ხელმძღვანელად დაინიშნა გურამ მამულია, მესხთა რეპატრიაციის აქტიური მომხრე. 1999 წელს შეიქმნა სამხრეთ საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობის რეპატრიაციისა და რეაბილიტაციის სახელმწიფო კომისია.

ამ მცირე პროგრესის მიუხედავად, საქართველოს მთავრობა, როგორც ზემოთ ითქვა, ფუნს ითრევს რეპატრიაციის საკითხის გადაწყვეტის ყოვლისმომცველი კონცეფციის შემუშავებისაგან. ძირითად პრობლემას შეადგენს საქართველოში გაბატონებული უკიდურესად უარყო-

ფიტი დამოკიდებულება რეპატრიაციის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვალდებულებები, ლიბერალური ღირებულებებისადმი გაცხადებული ერთგულება ან ამ ერთგულების დემონსტრირების სურვილი, ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების ზეწოლა საშუალებას არ აძლევს საქართველოს ხელისუფლებას, აშკარად უარი თქვას დეპორტირებულთა დაბრუნების უფლებაზე. არც ერთი პარტია ან პოლიტიკოსი, რომელიც თავის პოპულარობაზე ზრუნავს, დაბრუნების პერსპექტივას აქტიურად მხარს არ უჭერს. პირიქით, პოლიტიკური ქულების დაგროვება სწორედ რეპატრიაციის საჯარო უარყოფით ხდება. ეს განსაკუთრებით მართებულია სამცხე-ჯავახეთის პოლიტიკოსების მიმართ, რომლებმაც თავისავე აქტიური პოზიცია რეპატრიაციის წინააღმდეგ აუცილებლობად იქცა.

მართებული არ იქნება, რეპატრიაციისადმი ქართველ პოლიტიკოსთა პასიური ან აქტიური წინააღმდეგობა მხოლოდ პოპულისტურ აზროვნებას მიეწეროს. არსებობს მთელი რიგი სერიოზული მიზეზებისა, რის გამოც რეპატრიაციის პროცესს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. რეპატრიაციის საწინააღმდეგო ძირითადი არგუმენტები განხილული იქნება მომდევნო ნაწილში.

## საზოგადოებრივი აზრი

საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება რეპატრიაციის იდეის მიმართ უადრესად უარყოფითია. ეს დამოკიდებულება კვლევებში პუბლიკაციებში, სატელევიზიო დისკუსიებში, სხვადასხვა შეხვედრასა და საზოგადოებრივი აზრის კვლევაში. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ამ იდეას უკიდურესად უარყოფითად ეკიდებიან. აქ დიდად არ განსხვავდება ქართველებისა და სომხების შეხედულებები, თუმცა სომხები ქართველებზე უფრო ნეგატიურად არიან განწყობილნი.

მოსახლეობის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ 1999 წლის აპრილში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ თბილისში გამოკვლეული მოსახლეობის 46,4%-ის აზრით, რეპატრიაცია არ უნდა განხორციელდეს, 44% მხარს უჭერს მხოლოდ იმათ დაბრუნებას, ვინც საკუთარ თავს ქართველად მიიჩნევს და მხოლოდ 6,6% ფიქრობს, რომ ყველა დეპორტირებულს აქვს დაბრუნების უფლება. გეოპოლიტიკური და რეგიონალური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული 2000 წლის კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 56,4% ქართული ენის ცოდნასა და ქართულ თვითიდენტობას რეპატრიაციის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს. განსაკუთრებით მიუღებელი დამოკიდებულება აქვს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას.

მუსულმან მესხებს აქ მტრულად ხვდებიან, ადგილობრივი მოსახლეობა და ხელისუფლება არ აძლევს მათ ჩამოსვლის ნებას.

რეპატრიაციისადმი დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი: დიდი ნაწილი რადიკალურად ეწინააღმდეგება რეპატრიაციის იდეას და უარყოფს კიდევაც დეპორტირებულთა დაბრუნების უფლების სამართლიანობას. უფრო შუალედურ პოზიციასზე მდგომი ხალხი უშვებს, რომ რეპატრიაციის იდეა მორალურად გამართლებულია, მაგრამ საქართველოში არსებული სირთულეების გამო მასობრივი რეპატრიაცია შეუძლებელია, მით უმეტეს – ადრინდელ საცხოვრებელ ადგილებში. მათი აზრით, თუ რეპატრიაცია მოხდა, ის უნდა მოხდეს თანდათან და მთავრობის მკაცრი კონტროლის ქვეშ. მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა უჭერს მხარს რეპატრიაციას უპირობოდ. არსებული ოფიციალური კანონპროექტი შეიძლება განვიხილოთ როგორც მეორე დამოკიდებულების ლიბერალური ვერსია; მოსაზრება, რომელსაც რეპატრიაციის სამსახური უჭერს მხარს, მესამე დამოკიდებულებას ეფუძნება.

რეპატრიაციის მოწინააღმდეგეებიცა და მომხრეებიც აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი აზრი რეპატრიაციის წინააღმდეგია. ამიტომაც, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმს მოითხოვენ; მათ წინასწარ გამარჯვებისა სჯერათ. მომხრეები ყურადღებას ზოგადად ადამიანის უფლებებზე და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებზე ამხსნილებენ. უკანასკნელ წლებში ეს პრობლემა ოპონენტების მიერ განისაზღვრა როგორც „ევროსაბჭოს და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგობა“. ადგილი ჰქონდა განცხადებებს, რომ, თუ ევროსაბჭო დაჟინებით მოითხოვს რეპატრიაციას, საქართველომ უნდა დატოვოს ეს ორგანიზაცია. საგულისხმოა სიტუაციის ასეთი ცვლილება; 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში შესვლა ძალზე პოპულარული იყო და მას ყველა პოლიტიკური ძალა მიესალმა.

დიდ როლს თამაშობს დეპორტირებულთა ეთნიკური იდენტობა. უნდა აღინიშნოს, რომ რეპატრიაციის მოწინააღმდეგენი პოტენციურ რეპატრიანტებს მხოლოდ „თურქებად“ მოიხსენიებენ, მაშინ როცა, რეპატრიაციის მომხრეები ხაზს უსვამენ მათ ქართულ წარმოშობას. ასევე არსებობს შედარებით მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, რომ დეპორტირებულთა ეთნიკური კუთვნილება არ წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს: მათ უსამართლოდ მოექცნენ, ამიტომ სათანადო სურვილის შემთხვევაში მათ უნდა შეეძლოთ დაბრუნება.

ძირითადი შიში და საზრუნავი, რომელიც საფუძვლად უდევს რეპატრიაციისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ეთნიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ სფეროებს ეხება:

- ◆ **რეგიონის გათურქებისა და გამოყოფის შესაძლებლობის საშიშროება.** ხალხი შიშობს, რომ რეპატრიაციის შემდეგ დრამატულად შეიცვლება დემოგრაფიული ბალანსი; რეგიონი, ძირითადად, თურქული და მუსულმანური გახდება. მოწინააღმდეგენი აზვიადებენ დეპორტირებულთა რიცხვს (ხანდახან 1 მილიონსაც ასახელებენ) და ხაზს უსვამენ მუსულმანების ქრისტიან ქართველებთან შედარებით გაცილებით მაღალ შობადობას. ისინი შიშობენ, რომ „თურქები“ რაოდენობრივად გადააჭარბებენ პროვინციის დანარჩენ მოსახლეობას, მოითხოვენ ავტონომიას და, საბოლოო ჯამში, თურქეთთან გაერთიანებას. მუსულმანი მესხების ორგანიზაციების მიერ გაკეთებული ამგვარი მოთხოვნები ვრცელდება მედიასა და ადგილობრივ მოსახლეობაში. ამ საშიშროებას აძლიერებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითები, სადაც ეთნიკური ავტონომია გამოყენებულ იქნა სეპარატისტული მიზნების მისაღწევად.
- ◆ **ეთნიკური კონფლიქტის შიში.** ხალხი შიშობს, რომ მაჰმადიანი მესხების დაბრუნება გამოიწვევს დამაბულობას. ზოგი არ მალავს, რომ ხელში იარაღს აიღებს, თუ რეპატრიაცია განხორციელდა. მუსულმანების მიერ ქრისტიანი ქართველებისა და სომხების მიმართ განხორციელებული სისასტიკისა და მასიური ჟლეტის ისტორიები 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდში და შემდეგაც ფართოდ განიხილება და ვრცელდება მედიისა და პოლიტიკოსების მიერ. თურქებსა და სომხებს შორის კონფლიქტის ფაქტები და სომეხთა მიერ სომხეთის აღქმა თურქეთის ისტორიულ მსხვერპლად საშიშროების დამატებით ფაქტორს წარმოადგენს.
- ◆ **სხვა ისტორიულ უსამართლობებთან შედარება.** მესხურ პრობლემაზე მსჯელობისას ფართოდ გამოიყენება არგუმენტი, რომ ქვეყანას არ შეუძლია რეპატრიანტების ჩამოსვლის ორგანიზება, ვინაიდან ჯერ აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან 300 000 იძულებით გადაადგილებულ პირზე უნდა იზრუნოს. ხშირად ისმევა კითხვა, რატომ მოითხოვს დაჟინებით საერთაშორისო საზოგადოებრიობა მაჰმადიანი მესხების დაბრუნებას მაშინ, როცა არავითარი პროგრესი არ არის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში ლტოლვილების დაბრუნების საქმეში. სომხური თემის წარმომადგენლები, მეორე მხრივ, მიუთითებენ თურქების მიერ მათი ანატოლიელი თანამემამულეების დეპორტაციაზე. ისინი ამბობენ, რომ თურქებმა ჯერ პასუხი უნდა აგონ ადრე ჩადენილ დანაშაულზე, და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სამცხე-ჯავახეთში დაბრუნების უფლება მოითხოვონ.
- ◆ **საკუთრების საკითხი.** მესხეთის ის მაცხოვრებლები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა მხრიდან ძალით დაასახლეს 1944 წელს დე-

პორტირებული მესხების ადგილზე, ფიქრობენ, რომ რეპატრიანტები საკუთარი მიწისა და საკუთრების უკან დაბრუნებას მოითხოვენ. უკანასკნელი პერიოდში განხორციელებული მიწის პრივატიზაცია დავისა და დაპირისპირების მიზეზი გახდა განურჩევლად ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური მიკუთვნებულობისა; არის საფრთხე, რომ მესხების გამოჩენა უფრო გაამწვავებს ამ პრობლემას.

- ◆ **ეკონომიკური სირთულეები.** საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ ერთი ყბადაღებული არგუმენტია რეპატრიანტების დიდი რაოდენობით ჩამოსახლების წინააღმდეგ. მსოფლიო ბანკის უკანასკნელი პერიოდის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. ეკონომიკის სუსტი განვითარების, ფინანსთა არაეფექტურად განკარგვის და კორუფციის წყალობით საქართველო რეგულარულად ვერ ასრულებს ისედაც საგრძნობლად შემცირებულ სოციალურ ვალდებულებებს. ზემოთ ხსენებული ლტოლვილთა ჯგუფი ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთად რჩება. რეპატრიაცია დამატებითი ტვირთი იქნება სახელმწიფოსთვის, რომელსაც თავი ვერ გაურთმევია არსებული სიძნელეებისათვის.

ყოველივე ამის მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხრეებში, არის რეპატრიანტთა მიმართ დადებითი განწყობის შემთხვევებიცა და ასევე ადრე ჩამოსული რეპატრიანტების წარმატებული ადაპტაციის მაგალითებიც. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის სტუდენტები კარგად არიან საზოგადოებაში ინტეგრირებული. კმაყოფილია თანასოფლელებთან ურთიერთობით ახალციხის რაიონის სოფელ მულურეთში მცხოვრები ბერიძეების ოჯახი. ნასაკირალის (დასავლეთ საქართველო) მესხური თემი თავს საკუთარ სახლში გრძნობს და მეზობლებთან ახლო ურთიერთობები აქვს. გეოპოლიტიკური და რეგიონალური კვლევის ცენტრის გამოკითხვამ უჩვენა, რომ ადგილობრივ მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც კონტაქტი აქვს რეპატრიანტებთან, დადებითად აფასებენ რეპატრიაციის საკითხს. ადგილობრივი რესპონდენტების უმეტესი ნაწილი აღნიშნავს, რომ მესხებთან დაახლოების შემდეგ მათ მიმართ დამოკიდებულება გაუმჯობესდა.

### საერთაშორისო ორგანიზაციები

1996 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ჩაებნენ პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის მცდელობებში. 1996 წელს გაეროს

ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ და ეუთო-მ ჩაატარა კონფერენცია დსთ-ს ქვეყნებში ლტოლვილთა, გადაადგილებულთა და სხვა ფორმის იძულებითი გადაადგილების საკითხთან დაკავშირებით და გამოკვეთა პრობლემის გადაწყვეტის შემდეგი პრინციპები:

- ◆ ნებაყოფლობითი და მშვიდობიანი დაბრუნების აუცილებლობა; ისტორიულ სამშობლოში ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- ◆ ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ სრულყოფილი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება;
- ◆ ადგილობრივ მოსახლეობაში ინტეგრაციული პროცესების მიმართ აღიარებისა და მიმღებლობის დონის ამაღლება;
- ◆ გადასახლების ადგილებში სტატუს კვო-ს შენარჩუნება და ხალხის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1998 წლის სექტემბერში, ეუთო-ს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესმა კომისარიატმა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატთან და ღია საზოგადოების ინსტიტუტის იძულებითი მიგრაციის პროექტის მონაწილეებთან ერთად მოაწყო შეხვედრა ჰააგაში. მასში ასევე მონაწილეობდნენ რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობების და მესხური ორგანიზაცია *ვატანის* წარმომადგენლები. შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა დეპორტირებული მესხების სრული პოლიტიკური რეაბილიტაციის მნიშვნელობას და ადამიანთა უფლებების დაცვას, 1996 წლის დსთ-ს კონფერენციის პრინციპების აღიარებას, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის აუცილებლობას, დეპორტირებულთა სამართლებრივი სტატუსის მოწესრიგებას, მოქალაქეობის არქონის შემთხვევების შემცირებას, ამჟამინდელ და მომავალ საცხოვრებელ ადგილებში ეთნიკური მიმღებლობის პროგრამების შემუშავებას, გადაწყვეტილების მისაღებად მესხებისთვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებას.

ამის შემდეგ 1999 წლის მარტში შეხვედრა მოეწყო ვენაში. მონაწილეებს შემოემატნენ უკრაინის, თურქეთის, აშშ-ისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლები. შეხვედრას არ მიუღია მოქმედების კონკრეტული გეგმა. თავმჯდომარის განცხადების თანახმად, შეხვედრაზე ხაზი გაესვა დაინტერესებული მხარეებისთვის მისაღები გადაწყვეტილების მოსამბნად ერთობლივი ძალისხმევის მნიშვნელობას და დაინტერესებულ მხარეებს აზრის გამოთქმის საშუალება მიეცა.

ევროსაბჭო, ეუთო და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი თამამად შეიძლება ჩაითვალოს რეპატრიაციის საკითხში ყველაზე აქტიუ-

რად ჩართულ ორგანიზაციებად. ევროსაბჭო რეგულარულ კონსულტაციებს მართავს რეპატრიაციის კანონპროექტზე. ეუთო-ს ეთნიკურ უმცირესობათა უმაღლესი კომისარიატი ამჟამად ატარებს სამცხე-ჯავახეთში არსებული სიტუაციის მონიტორინგს და ამზადებს რეგიონის განვითარებისათვის დონორების კონფერენციას. გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა დააფინანსა რეპატრიანტი მესხების კვლევა და ასევე მონაწილეობა მიიღო კანონ-პროექტის შემუშავებაში.

ფონდმა *ღია საზოგადოება – საქართველო* დააფინანსა მთელი რიგი პროექტებისა: 1999 წელს მოსახლეობის კვლევის ცენტრმა მიიღო დაფინანსება დეპორტირებული მოსახლეობის პრობლემების კვლევისთვის, 2000 წელს ჰუმანური საზოგადოების კავშირმა შეისწავლა დეპორტირებული მესხების რეინტეგრაციის ეთნო-სოციალური კონტექსტი. ორი პროექტი განხორციელდა ახალგაზრდა მესხთა საერთაშორისო კავშირის მიერ.

შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტომ დააფინანსა მარათ ბარათაშვილის (ქართველ რეპატრიანტთა კავშირი) წიგნი *საქართველოში მესხი რეპატრიანტების იურიდიული მდგომარეობა*. ორი პროექტი დაფინანსდა აშშ-ის საელჩოს მიერ; პირველი პროექტი (1999)წ. მიმართული იყო რეპატრიანტების ინტეგრაციაზე და შესრულდა საქართველოს რეპატრიანტთა კავშირის მიერ, მეორე პროექტის (2001წ.) საშუალებით ასოციაცია *მაშულიშვილმა* გამოცა გაზეთი „ჩემი საშობლო – საქართველო“ (5 ნომერი).

დღესდღეობით, თბილისში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს რეპატრიაციის მიმართ მეტ-ნაკლებად მსგავსი დამოკიდებულება გააჩნიათ. ისინი ელოდებიან რეპატრიაციის შესახებ კანონს და მხოლოდ მისი მიღების შემდეგ დადგება საკითხი მათი პროცესში აქტიური ჩაბმისა. ასეთ მიდგომას, რაოდენ ლოგიკურიც არ უნდა ჩანდეს ეს, თავისი ხარვეზები გააჩნია, რადგან რეპატრიაციისათვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება საერთაშორისო დანხარების გარეშე ამ ეტაპზე შეუძლებელია.

#### 4. დასკვნები და რეკომენდაციები

რეპატრიაციის საკითხი საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის მორალურ იმპერატივს წარმოადგენს. ის ზედმიწევნით უნდა იყოს დაგეგმილი, რათა მათ, ვინც ორჯერ განიცადა დეპორტაციის საშინელება, თავიდან აეარიდოთ ახალი კონფლიქტი და ცხოვრების პირობების გაუარესება. ამავე დროს რეპატრიაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ისინი მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვ-

რობენ და არანაირ სოციალურ შეღავათებზე ხელი არ მოიწვდებათ. საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა რეპატრიაციის პროცესის დაგეგმვის და განხორციელების სახელმძღვანელო პრინციპს უნდა წარმოადგენდეს.

რეპატრიაციის კარგი კანონის მიღება გადაუდებელი და მნიშვნელოვანი საკითხია. არსებობს რამდენიმე პირობა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს „კარგმა“ კანონმა: მან უნდა განსაზღვროს ის მექანიზმები, რომლებიც განაპირობებენ რეპატრიანტთა წარმატებით ინტეგრაციას საზოგადოებაში და შეამცირებენ კონფლიქტის შესაძლებლობას; ამავე დროს იგი უნდა იყოს განხორციელებადი, ანუ რეალისტური; კანონმა რეპატრიანტი უნდა აარიდოს საფრთხეს – არ აღმოჩნდნენ სამართლებრივ ვაკუუმში. რეპატრიაცია არ უნდა იქცეს გარდამავალ ეტაპად, პასპორტის აღების საშუალებად შემდგომი ემიგრაციისათვის. მან ნათლად უნდა განმარტოს ისეთი საკითხები, როგორცაა საკუთრების დაბრუნების შესაძლებლობები, რეპატრიანტის სტატუსთან (თუ ასეთი სტატუსი იქნება გათვალისწინებული) დაკავშირებული უფლებები და ვალდებულებები, ასევე კანონმა უნდა დაიცვას მათი უფლებები, ვინც ვერ შეასრულებს მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელი პირობებს კანონით განსაზღვრული დროის განმავლობაში; მან უნდა ნათლად ჩამოაყალიბოს დეპორტირებული ჯგუფისადმი კუთვნილების დამადასტურებელი დოკუმენტების ისეთი ნუსხა, რომელიც რეპატრიანტებს არ შეუქმნის გადაულახავ ბიუროკრატიულ ბარიერებს; მან უნდა განაპირობოს რეპატრიაციის პროცესის გამჭვირვალობა.

კანონის გარდა, მთავრობას დასჭირდება პოლიტიკის დაგეგმვა რეპატრიაციის პროცესის წარმატებით განსახორციელებლად. ეს პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს, ერთი მხრივ, დეპორტირებული მოსახლეობისა და, მეორე მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობების, ინტერესებისა და საფრთხეების შესწავლას.

რეპატრიაციის პროცესი უნდა დაეფუძნოს 1996 წლის დსთ-ს კონფერენციის სახელმძღვანელო პრინციპებს, ჰააგის შეხვედრის დასკვნებსა და სხვა ექსპერტთა რეკომენდაციებს, რომლებიც შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- ◆ **ნებაყოფლობითი და მშვიდობიანი დაბრუნება, მესხების სტატუსის რეგულირება მათ ამჟამინდელ საცხოვრებელ ადგილებში.** როგორც უკვე აღინიშნა, მესხების სამართლებრივი სტატუსი და პირობები, ასევე ინტეგრაციის დონე ცვალებადობს მათი ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. რეპატრიაცია შეიძლება ნებაყოფლობითად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ის არ ხორციელდება საც-

ხოვრებელ ადგილას არსებული პირობებისაგან თავის დასაღწევად. ამიტომ, ძალისხმევა უნდა წარიმართოს მესხების იურიდიული სტატუსისა და ცხოვრების პირობების რეგულირებისა და გაუმჯობესებისაკენ. ეს კი მოითხოვს სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობას და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ბერკეტების გამოყენებას.

- ◆ **ქვეყანაში არსებული სიტუაციის შესახებ საიმედო ინფორმაციის მოპოვება.** მრავალი, განსაკუთრებით, ასაკოვანი მესხისთვის დაბრუნების სურვილი დაფუძნებულია სამშობლოს მითიურ წარმოდგენაზე, რომელიც ძნელად თუ შეესაბამება რეალობას. საქართველოს მთავრობამ მათ საცხოვრებელ ადგილებში უნდა მიაწოდოს ინფორმაცია ქვეყნის ამჟამინდელი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. ის უნდა მოიცავდეს როგორც დეტალურ მონაცემებს როგორც შესაძლო დახმარების შესახებ (საცხოვრებელით უზრუნველყოფისა და ფულადი ანაზღაურების პროგრამები, მიწის ნაკვეთების ხელმისაწვდომობა, დასაქმებისა და განათლების მიღების შესაძლებლობები და ა.შ.), ასევე ინფორმაციას იმ ვალდებულებების შესახებ, რომლებიც რეპატრიანტს ეკისრება (როგორცაა, მაგალითად, სამხედრო სამსახური). რეპატრიანტისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია მოქალაქეობის მიღების მოთხოვნებისა და პროცედურების შესახებ.
- ◆ **დახმარება ინტეგრაციაში.** მესხების კოლექტიურ მესხიერებაში მრავლადაა ჩაგვრისა და სისასტიკის მოგონებები. მესხების მანიპულირება ხდებოდა ბევრი ქვეყნისა და ხელისუფლების მიერ. ამით შეიძლება აიხსნას ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაუცხოება და მჭიდრო შიდათემური კავშირები, რაზეც მრავალი დამკვირვებელი მიუთითებს. ამიტომ, რეპატრიანტთა ახალ ადგილზე ინტეგრაცია მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას. კონტაქტი და ენის ცოდნა არის ინტეგრაციის ორი ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი. რეპატრიანტი მესხები აღიარებენ ამ ფაქტორების მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობის გვერდით ცხოვრების სურვილის გამოხატვით. იმ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომლებშიც დღესდღეისობით ცხოვრობენ მესხები, საქართველო საკმაოდ პატარაა; ამიტომ აქ კომპაქტური დასახლება არ წარმოადგენს ნათესაური და სოციალური კავშირების შენარჩუნების აუცილებელ პირობას. მხარდასაჭერას იმსახურებს მუსულმანი მესხებისთვის კულტურული ცენტრების შექმნის იდეა. ქართული ენის სწავლის, ისევე როგორც ქართული კულტურის გაცნობის და ქართველებთან კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა სასურველია მოხდეს რეპატრიაციის პროცესის დაწყებამდე.

ჩამოსვლის შემდეგ რეპატრიანტებს უნდა ჰქონდეთ ქართული ენის სწავლის გაგრძელების საშუალება საადაპტაციო ცენტრებში, სადაც ისინი ასევე უნდა გაეცნონ ქვეყნის კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს, საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებს, დაეუფლონ კომუნიკაციის უნარებს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალს ამის წარმატებული გამოცდილება აქვს და შეიძლება გამოდგეს ინტეგრაციის რეგიონალური ცენტრის ბაზად. რეპატრიაციის ორგანიზატორებისთვის სასარგებლო იქნება ინტეგრაციის ცენტრების მუშაობის საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა.

- ◆ **ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ინტეგრაციული პროცესების მიმდებლობის გაზრდა.** ადგილობრივ მოსახლეობასა და რეპატრიანტებს შორის კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან კონტაქტმა შეიძლება თანამშრომლობის ნაცვლად კონფლიქტი განაპირობოს. აუცილებელია შეიცვალოს რეპატრიანტთა, როგორც არსებული რესურსების მოწილეთა ხატი; დახმარება უნდა მიიღოს ადგილობრივმა მოსახლეობამ რეპატრიანტთა ბარდაბარ. მათ უნდა იგრძნონ ჩამოსახლებულთა გვერდით ცხოვრების სიკეთეები.

რეპატრიაციის პროცესი უნდა იყოს ეტაპობრივი, რათა მოსახლეობას ჰქონდეს მისი შედეგების შეფასების დრო და საშუალება. ხალხი ინფორმირებული უნდა იყოს რეპატრიაციის გეგმებზე, ისევე როგორც მისი განხორციელების საფეხურებზე. სატელევიზიო მაუწყებლობის, ფილმების, საგაზეთო სტატიების, წიგნებისა და გამოფენების საშუალებით უნდა გაშუქდეს მესხეთისა და მისი მოსახლეობის დღევანდელი და ისტორია, აზერბაიჯანში, თურქეთსა და ირანში კომპაქტურად დასახლებული ქართველების ისტორია და დღევანდელი დღე. ასევე სასურველია ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიტყოს დეპორტირებულთა მიერ 1944 წელს გადატანილი ამბები.

- ◆ **სტატუს კვო-ს დაურღვევლობა გადასახლების ადგილებში და ადამიანთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.** ადრეული გაფრთხილების სისტემა მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მესხეთში რეპატრიანტთა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის მონიტორინგისთვის. მესხეთის ამჟამინდელი მოსახლეობა წარმოადგენს მრავალფეროვან და სენსიტიურ ჯგუფს. ის შეიცავს ისეთ ჯგუფებს, როგორიცაა ადგილობრივი ქრისტიანი მესხები, XIX საუკუნეში რუსეთის მიერ გადასახლებული სომხები და საქართველოს სხვადასხვა ნაწილიდან დეპორტირებული მოსახლეობის ნაცვლად იძულებით ჩამოსახლებული

ქართველები. თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი მოგონებები და რეპატრიანთა მიმართ უნდობლობის მიზეზები. უკანასკნელ პერიოდში ამ ჯგუფებს დაემატა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირები (რომლებიც სამცხე-ჯავახეთშიც, და არა მარტო იქ არიან დასახლებულნი). რეპატრიანთა შორის პოტენციური სეპარატისტული ტენდენციების გამორიცხვა არ შეიძლება.

მესხების დაბრუნების საკითხი საკმაოდ რთულია. ეს სირთულე ხშირად საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურების საბაბად გამოიყენება; დღეს მისი განუსაზღვრელი დროით გადავადების ტენდენცია შემფოთების მთავარ წყაროს წარმოადგენს. მაგრამ მარტივი გადაწყვეტილების მოძებნა, რომელიც არ გაითვალისწინებს ყველა რისკსა და საფრთხეს, სრულიად უშედეგო იქნება. საქართველოს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის რეპატრიაციის საკითხი წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, მაგრამ ეს ის პრობლემაა, რომელსაც საქართველო გვერდს ვერ აუვლის.

# სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ჯავახეთში: მოსახლეობის წუხილები

(სოციოლოგიური კვლევის ანგარიში)

## შესავალი

კვლევის მიზნები და ხასიათი

2001 წლის ივლისში მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავ-  
კასიურმა ინსტიტუტმა ახალქალაქში (სამცხე-ჯავახეთის მხარე) პროექ-  
ტის „სამოქალაქო ინტეგრაცია და სტაბილობის კონსოლიდაცია სამოქა-  
ლაქო საზოგადოების განვითარების მეშვეობით: ჯავახეთის რეგიონი საქარ-  
თველოში“ ფარგლებში ჩაატარა თვისობრივი სოციოლოგიური კვლევა ფო-  
კუს-ჯგუფების მეთოდით. კვლევა ძირითად მიზნად ისახავდა რეგიონში სო-  
ციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის, მოსახლეობის გან-  
წყობების და წუხილების შესწავლას.

ახალქალაქის და მიმდებარე სოფლების მოსახლეობის შერჩევა კვლე-  
ვის ობიექტად რამდენიმე მიზეზით იყო გაპირობებული. ახალქალაქის რა-  
იონი, ნინოწმინდის რაიონთან ერთად, შეადგენს ჯავახეთის ისტორიულ  
რეგიონს, რომელიც თავის მხრივ სამცხე-ჯავახეთის მხარის ნაწილია. ამ  
ორი რაიონიდან ახალქალაქი უფრო დიდია და მისი მოსახლეობის სოცი-  
ალურ-პოლიტიკური აქტივობის დონე ტრადიციულად უფრო მაღალია:  
ამით იყო გაპირობებული მისი, და არა ნინოწმინდის, არჩევა. ჯავახეთის  
თავისებურება ისაა, რომ აქ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა (დაახ-  
ლოებით 95%) ეთნიკურად სომეხია და არ ფლობს სახელმწიფო, ქართულ  
ენას. გაუვალ გზებთან და მკაცრ კლიმატთან ერთად ესეც განაპირობებს  
ჯავახეთის ერთგვარ იზოლირებულობას საქართველოს სხვა პროვინციები-  
საგან. ქართულ პრესაში ჯავახეთს, ძირითადად, ნეგატიურ კონტექსტში,  
პოტენციური ეთნიკური დაძაბულობისა და სომხური ნაციონალისტური  
ჯგუფების აქტივობის კუთხით მოიხსენიებენ. დაახლოებით ასეთი იმიჯი  
აქვს მხარეს ზოგიერთ დასავლურ პუბლიკაციაშიც. მეორე უკიდურესობას  
წარმოადგენს თვალსაზრისი, რომელიც უფრო ხშირად ადგილობრივი და  
ცენტრალური სამთავრობო წრეებიდან მოდის; ამ თვალსაზრისის მიხედ-

ვით, ჯავახეთის მოსახლეობას იგივე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აწუხებს, რაც საქართველოს ნებისმიერ სხვა ნაწილს, ზოლო ეთნიკური პრობლემების წამოწვევა მხოლოდ ერთი მუჭა მარგინალიზებული პროვინციების საქმეა.

ბოლო ხანებში სამცხე-ჯავახეთი სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან. ეს გაპირობებულია რეგიონის ზემოაღნიშნული თავისებურებით, მისი მდებარეობით რამდენიმე სახელმწიფოს (რუსეთი, სომხეთი, თურქეთი) ინტერესების გადაკვეთაზე და ორ მნიშვნელოვან მოვლენაზე, რომლის პერსპექტივაც დღეს აქტიურად განიხილება და ამ რეგიონს უშუალოდ შეეხება: ეს არის ახალქალაქში რუსეთის სამხედრო ბაზის შესაძლო დახურვა და 1944 წელს დეპორტირებული მაჰმადიანი მესხების (გავრცელებული ტერმინით, „თურქი მესხების“) შესაძლო რეპატრაცია.

ბუნებრივია, ამ მოვლენების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია სანდო ინფორმაციის ქონა რეგიონის მაცხოვრებელთა განწყობაზე ძირითადი პრობლემების მიმართ. ამგვარი ინფორმაციის მოსაპოვებლად ავირჩიეთ თვისობრივი კვლევის მეთოდი. ასეთი მეთოდი ვერ იძლევა მოპოვებული მასალის რეპრეზენტატულობის გარანტიას, მისი მეშვეობით შეუძლებელია იმის ცალსახად დადგენა, თუ მოსახლეობის ზუსტად რა ნაწილი იზიარებს ამა თუ იმ პოზიციას. სამაგიეროდ, მან შეიძლება უფრო ნიუანსირებული და შინაარსობრივად მდიდარი სურათი დაგვიხატოს და საკმაოდ ადეკვატური წარმოდგენა შეგვიქმნას იმ პოზიციების, განწყობების სპექტრზე, რაც შესასწავლ საზოგადოებრივ ჯგუფში არსებობს.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა ექვსი ფოკუს-ჯგუფური დისკუსია, რომლებშიც მონაწილეობდა სულ 48 რესპონდენტი. 2 ჯგუფი აერთიანებდა ახალგაზრდებს, 1 – სოფლის მოსახლეობას, 1 – ეთნიკურ ქართველებს, 2 კი შერეული იყო. ახალგაზრდების ჯგუფში უმრავლესობა სომხეთის სასწავლებლებში ნასწავლი სტუდენტი იყო. რესპონდენტების საერთო რიცხვიდან 26 ქალია, 22 – მამაკაცი; ასაკობრივი გადანაწილება საერთო შერჩევაში 18-დან 75 წლამდე იყო. სამუშაო ენად გამოიყენებოდა რუსული, ვინაიდან ის რაიონში მოსახლეობის ძირითადი საკომუნიკაციო ენაა. ქართულ ჯგუფშიც რესპონდენტთა მცირე ნაწილი უკეთესად ფლობდა და საუბრისას უპირატესობას რუსულ ენას ანიჭებდა. ყველა ჯგუფში, ქართულის გარდა, იყო 1-2 რესპონდენტი, რომელიც ცუდად ფლობდა რუსულს და სომხურად საუბარი ერჩივნა (ძირითადად, ასაკოვანი რესპონდენტები და სოფლის მაცხოვრებლები). ჯგუფური დისკუსიების მუშაობა დაფიქსირებულია ვიდეოჩანაწერის სახით.

## ზოგადი შთაბეჭდილებები

რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა დისკუსიის პერიოდში გამოირჩეოდა აქტივობით და თითქმის ყველა საკითხით გამოხატავდა დაინტერესებას. ქართველების ჯგუფის გარდა, თითქმის ყველა ჯგუფში იყო 1-2 პასიური წევრი, რომელიც მოდერატორის პირდაპირი მიმართვის გარეშე საუბარში არ ერთვებოდა. შეხვედრის დასაწყისშივე ღია კითხვაზე, დაესახელებინათ რეგიონში არსებული პრობლემები, რესპონდენტები, როგორც წესი, ეკონომიკური და სოციალური საკითხების განხილვას იწყებდნენ. შერეული ჯგუფიდან ერთ-ერთში აღინიშნა კიდევ, რომ არ ღირს პოლიტიკაზე ლაპარაკი, ჯობია, ისეთ პრობლემებს მოუხაროთ, როგორცაა სამუშაო ადგილების შექმნა, განათლება, წარმოების აღდგენა და ა. შ. (ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ). სხვადასხვა ჯგუფში ჩამოთვლილი პრობლემების სია თითქმის იდენტურია. თუმცა, კონკრეტული სოციალური პროფილის მქონე ჯგუფებში აქცენტი კეთდებოდა საკუთარი ჯგუფის პრობლემებზე. მაგალითად, ახალგაზრდები სიტუაციას განიხილავენ ახალგაზრდული პრობლემების ჭრილში, სოფლის მოსახლეობა – სოფლის პრობლემების ფონზე და ა. შ. ასაკოვან რესპონდენტებს აწუხებთ საბჭოთა პერიოდში შემნახველ საღაროებში შეტანილი დანაშოვების ბედი, რასაც ახალგაზრდები ნაკლებად ახსენებენ.

ქალებისა და კაცების აქტივობა დაახლოებით თანაბარი იყო, თუმცა ზოგ ჯგუფში მამაკაცები მეტად აქტიურობდნენ და შეხვედრის საერთო დროიდან მეტი დაიკავეს.

რესპონდენტებს, როგორც წესი, არ ეშინოდათ მოვლენების მიმართ კრიტიკული პოზიცია დაეკავებინათ. პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ტენდენცია საკითხების გამძაფრებისკენ იყო. ამ ზოგად ფონზე ახალგაზრდები ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მეტ აგრესიას და აზრის გამოთქმისას მეტ სითამამეს ავლენდნენ, ვიდრე უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები.

ყოველი დისკუსიის დასაწყისში, როცა მოდერატორი აღნიშნავდა, თუ ვინ ატარებს კვლევას და რა მიზნით, რესპონდენტები მოითხოვდნენ მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ვინ გაეცნობა შედეგებს და ამის საფუძველზე რა დახმარებას გაუწევდნენ მათ. გარდა ამისა, ინტერესდებოდნენ შესაძლო დახმარების ტრაექტორიით, მოვიდოდა ის საქართველოს მთავრობის გავლით, თუ პირდაპირ რეგიონში. მათი აზრით, თუ მთავრობა ჩაერევა ამ საქმეში, არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, ნებისმიერ ინვესტიციას რომელიდაც ეტაპზე ჩინოვნიკები მიითვისებენ.

ყველა ჯგუფში, გარდა ქართველი რესპონდენტების ჯგუფისა, რესპონდენტები სხვადასხვა პრობლემას აგრეთვე ეთნიკური დისკრიმინაციის ჭრილშიც უყურებდნენ.

## კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი შედეგები

კვლევამ დაადასტურა ის ზოგადი მოსაზრება, რომ ჯავახეთის მოსახლეობას უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემები აწუხებს. ამ ნიშნით, მისი წუხილები ტიპოლოგიურად იგივეა, რაც საქართველოს სხვა რეგიონებისათვისაა დამახასიათებელი. ამ წუხილებში შედის ეკონომიკის მოშლა და მის ფონზე უმუშევრობის განსაკუთრებით მაღალი დონე, სახელმწიფოს უუნარობა შეასრულოს მისი სოციალური ფუნქციები, ფართოდ გავრცელებული კორუფცია, ელექტროენერჯის ქრონიკური დეფიციტი, ჯანდაცვისა და განათლების სფეროების დაქვეითება. მოსახლეობა უაღრესად სკეპტიკურად უყურებს სიანხლებს, რაც ბოლო წლების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ტრანსფორმაციებმა მოიტანა: პრივატიზაციას ეკონომიკის სფეროში და დემოკრატიულ ინსტიტუტებს პოლიტიკურ მმართველობაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან არც ერთი და არც მეორე არ ასოცირდება რაიმე გაუმჯობესებასთან ადამიანების ცხოვრებაში. პრივატიზაცია მათთვის სხვა არაფერია, თუ არა საერთო-სახალხო საკუთრების დატაცება ცალკეულ პიროვნებათა მიერ, რამაც წარმოების საბოლოო განიავება გამოიწვია და არა მისი აღორძინება; არჩევნები დანახულია არა როგორც ხალხის შანსი, საკუთარი ინტერესების დამცველები მიაკლინოს ხელისუფლებაში, არამედ როგორც ამომრჩევლების მოტყუება პიროვნული თუ ჯგუფური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ხელისუფლებისადმი და სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულება – ცენტრალურსა თუ ადგილობრივ დონეზე – უაღრესად ნეგატიური, ხანდახან კი აგდებულია. სამწუხაროდ, ყველა ამ ნიშნით ჯავახელთა პოზიცია ძნელია თვისობრივად განასხვავო საქართველოს სხვა კუთხეების მაცხოვრებელთა დამოკიდებულებისაგან.

არსებობს ზოგი პრობლემა, რომელიც სპეციფიკურია ჯავახეთისთვის მაგრამ უფრო ეკონომიკურ-გეოგრაფიული თავისებურებების გამო. ჯავახეთი, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების გამო, არასოდეს ყოფილა ეკონომიკურად განვითარებული რეგიონი და მისი მაცხოვრებლებისათვის საბჭოთა პერიოდშიც იყო დამახასიათებელი ეკონომიკურად მოტივირებული სეზონური ან მუდმივი მიგრაციები, ძირითადად – რუსეთში. ბოლო ათწლეულის ეკონომიკური დაქვეითების ფონზე ეს ტენდენცია გაიზარდა – მაგრამ ასეთი მიგრაციების მკვეთრი ამაღლება მთელი საქართველოს ტენ-

დენციაა. ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარი ამ რეგიონისთვის უფრო აქტუალურს ხდის გათბობის პრობლემებს.

მაგრამ კვლევამ გამოავლინა საკმაოდ შემამფოთებელი ტენდენციები, რომლებიც სპეციფიკურია რეგიონისთვის და მის ეთნიკურ სპეციფიკას უკავშირდება. მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც ჩანს, დარწმუნებულია ან ეჭვობს, რომ მათი ეკონომიკური სიღუბნური და სოციალური დაუცველობა მხოლოდ ქვეყნისთვის და სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის დამახასიათებელი პრობლემებით კი არ არის განპირობებული, არამედ ხელისუფლების მხრიდან უმცირესობის მიმართ შეგნებული დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგია: ხელისუფლება, არაერთი რესპონდენტის აზრით, განზრახ აყენებს სომხურ თემს გაუსაძლის მდგომარეობაში, რათა ის იძულებული გახადოს, ქვეყანა დატოვოს. ხელისუფლებას მიეწერება ეთნიკური წმენდის განსაკუთრებით დახვეწილი მეთოდებით ჩატარების სურვილი. როგორც აღინიშნა, თვისობრივი გამოკვლევების ტექნიკა საშუალებას არ გვაძლევს, ზუსტად გავზომოთ, რამდენად ფართოდაა გავრცელებული ეს შეხედულება, მაგრამ აშკარაა, რომ ამ მოსაზრების გავლენა საკმაოდ გავრცელებულია.

საქართველოს ხელისუფლებისაგან და საზოგადოებისაგან ახალქალაქის სომხური თემის გაუცხოების გამოხატულებაა მათი ცალსახა ოპოზიცია ახალქალაქში რუსეთის ბაზის გასვლის საკითხისადმი. თუმცა, ზედაპირზე ძირითადი მიზეზი ეკონომიკურია, ემოციურად უფრო ღრმა მიზეზი პოლიტიკურია, და ეს პოლიტიკური მიზეზი, თურქეთის შიშის გარდა, მოიცავს სერიოზულ უნდობლობას ქართული სახელმწიფოსადმი. როგორც ჩანს, ჯავახეთის სომხურ თემში მეტად ღრმად არის გამჯდარი მოსაზრება, რომ მათი უსაფრთხოების ბაზისური ინტერესების უპირატესი დამცველი რუსეთია, და ქართულ პოლიტიკას მოუწევს ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას.

მეტად მგრძობიარეა სომხური მოსახლეობა სახელმწიფო ენის პრობლემისადმი. ერთი მხრივ, უმრავლესობა ზოგადად აღიარებს ქართულის ცოდნის საჭიროებას, მეორე მხრივ კი, მეტად მწვავედ აღიქვამს მოცემულ ეტაპზე ქართულის ცოდნის ნებისმიერ კატეგორიულ მოთხოვნას; მას ეთნიკური დისკრიმინაციის ხერხად მიიჩნევს. გამოკვლევა აჩვენებს, რომ სახელმწიფოს გამიზნული და მოქნილი პოლიტიკა სჭირდება საიმისოდ, რომ რეგიონში ქართულის მოქმედების არეალი გააფართოვოს; უხეშმა ზეწოლამ შეიძლება უკუშედეგი გამოიწვიოს, მაგრამ წვრილი მიდგომის შემთხვევაში ენის სწავლების პროგრამებს რეგიონში დადებითად შეხვდებიან, რადგან ისინი რეგიონის მცხოვრებთა ობიექტურ საჭიროებას შეესაბამება.

მეტად მნიშვნელოვან ჯგუფად ჩანს კვლევაში ახალგაზრდობა. ის უკვე ახალ პირობებშია გაზრდილი და არ ერიდება სათქმელის გაცილებით უფრო

მწვავედ გამოთქმას, ვიდრე საბჭოურ პირობებში სოციალიზებული უფროსი თაობა. შესაბამისად, ახალგაზრდობის მაგალითზე უფრო ნათლად ჩანს მისი გაუცხოება სახელმწიფოსაგან, ხანდახან კი გარკვეული აგრესია მის მიმართ.

შესაძლოა, ზოგიერთი საკითხის განსაკუთრებით მწვავე დაყენება და მათი „ეთნიზაცია“ რესპონდენტების მიერ ავსნათ მათი მცდელობით, ყურადღება მიიქციონ, თავიანთი მნიშვნელობა აამაღლონ. ამ თვალსაზრისით, ნაკლებია იმის საფრთხე, რომ სიტუაცია იფეთქებს რაიმე შინაგანი იმპულსის ზემოქმედებით. მაგრამ, მეორე მხრივ, თუკი შეცვლილ პოლიტიკურ სიტუაციაში გამოჩნდა მდგომარეობის გამწვავებით დაინტერესებული პოლიტიკური აქტორები, ნამდვილად არსებობს მზა განწყობები საიმი-სოდ, რომ მათ გარშემო პოლიტიკური მობილიზაციის მცდელობა მოხდეს.

მოსახლეობის განწყობის კიდევ ერთი თავისებურებაა გაზვიადებული მოლოდინები სახელმწიფოს მიმართ. ამ მხრივ არც ისე დიდია განსხვავება ახალგაზრდებსა და კომუნისტური „ძიძა სახელმწიფოს“ პირობებში სოციალიზებულ უფროსებს შორის. სკეპტიკური თუ აგდებული დამოკიდებულება არსებული ხელისუფლებისადმი ერწყმის იმის რწმენას, რომ თითქმის ყველა პრობლემის მოგვარებაზე პასუხისმგებლობა ექსკლუზიურად მთავრობას ენიჭება. საზოგადოებას ამკარად არა აქვს გაცნობიერებული საკუთარი პოტენციალი. ამასთანვეა დაკავშირებული პასიური დამოკიდებულება მომავლისადმი: იმედიანობის დონე დაბალია, ხოლო მოდერატორის მიერ „დაძალებული“ სურვილების სია არსებითად სახელმწიფოსადმი დაკვეთებით შემოისაზღვრება.

ამ ანგარიშის დარჩენილ ნაწილში უფრო დეტალურად ჩამოვყალიბებთ რესპონდენტთა მიერ წამოჭრილ პრობლემებს თემების მიხედვით.

## **ეკონომიკური მდგომარეობა**

### **ზოგადი სიტუაცია**

ზოგადად ეკონომიკური სიტუაციის შეფასებაში ჯგუფების პროზიციები ძირითადად ერთგვაროვანი იყო.

რესპონდენტები ექვსივე ჯგუფში პრობლემების ჩამონათვალს ეკონომიკური სიტუაციის აღწერით იწყებდნენ. ეკონომიკური და სოციალური სიტუაცია შეფასდა როგორც უკიდურესად მძიმე. მათ მიერ განხილული პრობლემური საკითხების ჩამონათვალი ასე შეიძლება შევაჯამოთ: მკაცრი ბუნებრივი კლიმატი, უმუშევრობა, განადგურებული საწარმოები, გაპარტახებული და გაძარცვული ფაბრიკა-ქარხნები და მე-

ურნეობები, წლობით დაგვიანებული და გაყინული მიზერული პენსიები და ხელფასები, დიდი გადასახადები და ა. შ. ყველა ჯგუფში ხაზგასმით აღინიშნა ახლავაზრობის პრობლემები და მიგრაციის მაღალი დონე, რომელიც ზემოთ აღნიშნული პირობებითაა გამოწვეული. ასევე ხაზგასმით ითქმოდა, რომ უმუშევრობა უმთავრესი და ყველაზე სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემაა. ამ საკითხის გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სხვა დანარჩენი სიძნელეების დაძლევა. ამიტომაც რესპონდენტების დიდი უმრავლესობა ერთგვარი რჩევის სახით საქართველოს მთავრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ფონდებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს სთავაზობს რევიონში პრობლემების მოგვარება დაიწყო ეკონომიკური სფეროდან; კერძოდ, სამუშაო ადგილების შექმნიდან, რაც თავისთავად გულისხმობს წარმოების აღდგენასა და განახლებას. ამისათვის, რესპონდენტების აზრით, რაიონში საკმარისი ადამიანური და ბუნებრივი რესურსია, საჭიროა ხელისუფლების მხრიდან კეთილი ნების გამოჩენა და ინვესტიციების მოზიდვა.

*„ყველაზე მთავარი პრობლემა მთელ საქართველოში და კვავახეთშიც არის სამუშაო ადგილები. თუ ვინმეს ჩვენი დახმარება უნდა, არ გვიანდ ფული, აამუშაონ ქარხანა და ფაბრიკა, იყოს პატარა ხელფასები, მაგრამ მთავარია იყოს სამუშაო და გარანტირებული ხელფასი. მთავარია ადამიანმა, დილით რომ ადგება, იცოდეს, რომ დღეს სამუშაო აქვს, სამსახურში წავა და თვის ბოლოს თავის კუთვნილ ხელფასს აიღებს.“*  
(ჯგ. V, N I, მამრ., 65 წ.).

აღინიშნა, რომ რაიონში მოქმედებდა მრავალი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმო და ყველაფერი გაპარტახდა. ამაში ძირითადად ადანაშაულებენ ხელისუფლებას, რომელმაც არაფერი არ გააკეთა მათ შესანარჩუნებლად და, პირიქით, ხელიც კი შეუწყო ამ პროცესებს უკანონო პრივატიზაციისა და სხვა კანონდარღვევათა ხელშეწყობის გზით.

## უმუშევრობა

როგორც ზევით აღინიშნა, რესპონდენტების შეფასებით, უმუშევრობა რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ის განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება ახლავაზრობის საკითხთან მიმართებაში: ამ აზრით, ის არა მარტო ეკონომიკური სიღუბჭირის, არამედ სოციალური არასრულფასოვნების ფაქტორიცაა. უმუშევარი ადამიანი ვერ ახდენს თვითრეალიზაციას და კარგავს კვალიფიკაციას. ახლავაზრობებს უმუშევრობა უბიძგებს ასოციალურ ქმედებებს, როგორცაა სწორი ჩხუბები, აზარტული თამაშობები, ნარკოტიკების მოხმარება, ქურდობა და სხვა.

ქართველების ჯგუფის გარდა, ყველა ჯგუფში რესპონდენტების მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოთქვა აზრი, რომ ასეთი სიტუაცია სომხების მიმართ საქართველოს მთავრობის გამიზნული პოლიტიკის შედეგია, ანუ ხელისუფლება ქმნის ისეთ პირობებს, რომ სომხები აიძულონ რეგიონიდან წავიდნენ. ამ მოსაზრებას ყველაზე გამოკვეთილად ახალგაზდა რესპონდენტები გამოთქვამდნენ, მაგრამ ასეთივე აზრის მატარებელია ასაკოვანი რესპონდენტებიც ნაწილიც.

*„ეს თეთრი გენოციდია, ისეთ პირობებს გვიქმნიან, რომ აქედან წავიდეთ“ (ჯგ. III N2, მღერ, 27 წ.)*

### მიგრაციული პროცესები

მიგრაცია რესპონდენტების მიერ, ძირითადად, უმუშევრობასა და ეკონომიკურ პრობლემებთან მიმართებაში განიხილება. ასაკოვანი რესპონდენტები უფრო მეტ აქცენტს მიგრაციის ეკონომიკურ საფუძვლებზე აკეთებენ, ახალგაზრდები ამ მიზეზებთან ერთად ძალზე მნიშვნელოვნად თვლიან იმას, რომ ახალგაზრდა თაობას არა აქვს განვითარების, კულტურული ცხოვრების საშუალება და ინფორმაციის დეფიციტს განიცდის. ხალხი, ძირითადად, რუსეთში და სომხეთში მიდის: რუსეთში სამუშაოდ, ხოლო სომხეთში – უფრო უმაღლესი განათლების მისაღებად. აღინიშნა, რომ მიგრაციის დონე საგრძობლად გაიზარდა ბოლო ათწლეულში. რეგიონის სომხური მოსახლეობა ყოველთვის დადიოდა სეზონურად რუსეთში სამუშაოდ (მეტწილად – ხელოსნებად), მაგრამ ახლა ეს ტენდენცია უფრო მასიური გახდა, რადგან რაიონში პრაქტიკულად აღარ არის სამუშაო. ბოლო წელს მკვეთრად გაიზარდა მუდმივი ან ხანგრძლივი მიგრაცია, რაც დაკავშირებულია რუსეთთან სავიზო რეჟიმის შემოღებასთან.

უმრავლესობის აზრით, რეგიონიდან გასულია მოსახლეობის მესამედი, მაგრამ მუდმივად და დროებით ემიგრირებულთა რიცხვის დასახელება არავის შეეძლო.

ახალგაზრდების აზრით, მათი თაობის დიდი ნაწილი მზად არის ნებისმიერი საბაბით გავიდეს რეგიონიდან, და მერე უკან დაბრუნებაზე აღარ იფიქროს. ზოგი რესპონდენტის აზრით, ასეთია ახალგაზრდების 50-60%.

*„წასასვლელი ფული და საერთოდ სადმე წასასვლელი რომ ჰქონდეთ, ახალგაზრდობა სულ წავიდოდა რაიონიდან უბრალოდ ამის საშუალება ყველას არა აქვს“ (ჯგ. II, N5, მამრ. 21 წ.)*

რესპონდენტთა დიდი ნაწილი ეთანხმება ასეთ შეფასებას, მაგრამ გამოითქვა სხვა აზრიც, რომ წასვლის მნიშვნელოვანი მოტივაცია უმაღლესი

განათლების მიღებაა, ხოლო სწავლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების დიდი ნაწილი მზად არის სამშობლოში დაბრუნდეს.

აქცენტი კეთდება იმ სიფათზე, რომ რაიონი მალე შეიძლება დაცარიელდეს სომხებისაგან, და ამანვე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ, რომელიც არაფერს აკეთებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ან შესაძლოა, განგებ ქმნის ასეთ გაუსაძლის პირობებს სომხებისათვის.

*„10 წასულიდან სამი აღარ ბრუნდება, მიჰყავთ ოჯახი, ნათესავები. მალე მოსახლეობა აღარ დარჩება. ის, რაც უნდოდათ ძალით, იარაღით გაეკეთებინათ, ახლა თავისით კეთდება. 300 წელიც რომ ვიცოცხლო, აქედან არსად წამსვლელი არ ვარ“ (ჯგ. V, N1, მამრ. 65 წ.)“*

ექვსივე ჯგუფში წამოყენებული მიგრაციის მიზეზები შეიძლება ასე შევაჯამოთ:

- ◆ უმუშევრობა;
- ◆ ეკონომიკური სიღუბჭირე;
- ◆ სავიზო რეჟიმი რუსეთთან;
- ◆ სახელმწიფო ენის არცოდნა;
- ◆ მთავრობის უწყურადღებობა ან გამიზნული ანტისომხური პოლიტიკა;
- ◆ ინფორმაციული და კულტურული ვაკუუმი.

### სავიზო რეჟიმი რუსეთთან

სავიზო რეჟიმის შემოღება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად არის შეფასებული ყველა ჯგუფში, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ერთი ნაწილის აზრით, სავიზო სისტემამ გაზარდა ხანგრძლივი და მუდმივი მიგრაცია: ვინა იმდენად ძვირი ღირს, რომ ვინც ადრე ხანმოკლე ვადით მიდიოდა, ახლა ან დიდი ხნით მიდის, ან საერთოდ აღარ ბრუნდება.

*„[რუსეთის ვიზა] 100-150 დოლარია, წელიწადში ორჯერ გადიან და ორჯერ ვიზის აღება ძვირი ჯდება, ამიტომ ურჩევენიათ ერთხელ გავიდნენ და ხანგრძლივად, ან საერთოდ აღარ დაბრუნდნენ“.*

სავიზო რეჟიმის უარყოფითი ეკონომიკური ეფექტი იმაშიც გამოიხატება, რომ ძვირდება რუსეთიდან შემოტანილი საქონლის ღირებულება:

*„ვიზების შემოღებამ დაარტყა ბაზარს, რადგან ვიზების სიძვირის გამო იზრდება საქონლის ღირებულება“.* (ჯგ. II, N7, მდედრ. 18 წ.).

პოლიტიკური თვალსაზრისით, რესპონდენტები უპირატესობას ანიჭებენ მეგობრულ ურთიერთობას რუსეთთან, ამიტომ ისინი თითქმის ერთსულვნად ითხოვდნენ რუსეთთან სავიზო რეჟიმის მოხსნას. კვლავ გაიჟღერა (ძირითადად, ახალგაზრდების ჯგუფში) საქართველოს ხელისუფლების დადანიშნულების პოზიცია. საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა ჩეჩნებს და ამით რუსეთის [სამართლიანი] რისხვა და მისი საპასუხო სანქცია – სავიზო რეჟიმი გამოიწვია. მაგრამ ამით დაისაჯა მოსახლეობა და არა მთავრობის წარმომადგენლები. გამოითქვა ის ეჭვიც, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეთნიკური დისკრიმინაციის მოტივი ამოძრავებდა: საქართველოს მთავრობამ სავიზო რეჟიმის შემოღებას შეუწყო ხელი, რათა კიდევ უფრო გაერთულებინა სომხების ცხოვრება საქართველოში და მათთვის წასვლა აეძულებინა.

### ხელფასებისა და პენსიების საკითხი

ხელფასებისა და პენსიების საკითხი ყველა ჯგუფში პირველი რიგის პრობლემად ჩაითვალა, მაგრამ უფროსი ასაკის რესპონდენტებმა მეტი ემოციური ჩართულობა გამოიჩინეს. რესპონდენტები კონკრეტულად აღნიშნავენ, რომელ წელში რამდენი თვის დავალინება აქვს მთავრობას მათ მიმართ. გამოითქვა აზრი, რომ წლობით გაყინული კუთვნილი ხელფასების იმედი ალბათ აღარც უნდა ჰქონდეთ.

ყველა რესპონდენტის განსაკუთრებულ აღშოფოთებას იწვევდა პენსიის ოდენობა – 14 ლარი, რომლითაც პრინციპულად შეუძლებელია ადამიანის არსებობა. ასევე აღშოფოთებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ სახელმწიფო სტუქტურები მოითხოვენ გადასახადების გადახდას, როცა თვითონ სახელმწიფო პენსიის მიზერულ ოდენობას აწესებს და იმასაც დროზე ვერ იძლევა. უფროსი ასაკის წარმომადგენლები იხსენებდნენ საბჭოთა პერიოდს და მას უპირატესობას ანიჭებდნენ დღევანდელობასთან შედარებით, რადგან ადრე ხელფასებისა და პენსიების საკითხი მოგვარებული იყო.

*„პენსიაზე ვარ და მაქვს 14 ლარი, რომელიც ყოველ წელს რამდენიმე თვისა არა მაქვს აღებული. 1998 წელს 6 თვის არ ამიღია, 1999 წელს – ასევე 6 თვისა, 2000 წელს – 3 თვისა, წელს როგორ იქნება, არ ვიცი.“ (ჯგ. V, N8, მღედრ., 61 წ.).*

*„1997 წლიდან დაწყებული, ჯამში 30 თვის ხელფასი არ ამიღია. არც მათავისუფლებენ სამსახურიდან, არც ხელფასს მაძლევენ. არ მათავისუფლებენ, რადგან განათავისუფლების შემთხვევაში ხელფასის დავალიანება უნდა მომცენ.“ (ჯგ. III, N8, მამრ. 28 წ.).*

## დანაზოგები შემნახველ სალაროებში

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში აქტიურად განიხილეს საბჭოთა პერიოდში სალაროებში შენახული დანაზოგის საკითხი, რომელიც 90-იანი წლების დასაწყისის ინფლაციამ გააუფასურა (ძირითადად, შერეულ და სოფლის მაცხოვრებლების ჯგუფში, ახალგაზრდების ჯგუფში ეს საკითხი აქტიური განხილვის საგანი არ გამხდარა). რესპონდენტების უმრავლესობა ლაპარაკობდა საკუთარ ან მათი მშობლების შენატანებზე.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფო დადგენილებით მფლობელს ანგარიშზე არსებული თანხის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს უბრუნებენ (1000 საბჭოთა მანეთში იძლევიან 10 ლარს), ამის აღებასაც ბანკის თანამშრომელს თანხის ნაწილი ქრთამად უნდა დაუტოვონ.

*„1000 მანეთში 10 ლარს გაძლევენ; როცა შეგეჭონდა, მაშინ 1000 მანეთი 1000 დოლარზე მეტი იყო.“ (ჯგ. I, N6, მამრ. 41 წ.).*

უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამოც, რომ ამ თანხების მიღება მხოლოდ ახალციხის ბანკშია შესაძლებელი, რაც ახალქალაქის რაიონის მოსახლეებს კიდევ უფრო ურთულებს ფულის მიღების პროცედურას.

*„იმდენ ხანს გატარებენ, დღეს მოდი, ხვალ მოდი, იმდენ ფულს დაგახარჯინებენ გზაში, ვიდრე არ გათქმევიანებენ, აღარ მინდა ეგ 10 ლარიო“ (ჯგ. I, N3, მამრ., 37 წ.).*

რესპონდენტებმა გამოთქვეს ის ეჭვიც, რომ სახელმწიფო მოხელეებმა მსხვილი მაქინაციების მეშვეობით მოსახლეობის დანაზოგი თანხები მიითვისეს.

## ელექტროენერჯია

ყველა ჯგუფში ელექტროენერჯიის მოუგვარებელ პრობლემაზე თითქმის ერთი და იმავე სიტყვებით საუბრობდნენ:

*„XXI საუკუნეა და ჩვენ ლამფის შუქზე ვართ. 10 წელია ვერ მოგვარდა ელექტროობის საკითხი“ (ჯგ. I, N3, მამრ. 37 წ.).*

ელექტროენერჯიის დეფიციტი განიხილებოდა საყოფაცხოვრებო პირობებთან, ასევე წარმოებისა და ინფორმაციის პრობლემებთან მიმართებაში. ის ინფორმაციის ვერმიღების საკითხს ყველაზე მეტად დაუკავშირეს ახალგაზრდებმა და ქართველების ჯგუფმა (რომელიც ასევე, ძირითადად, ახალგაზრდებით იყო წარმოდგენილი).

ელექტროენერჯიის დეფიციტის აღქმას განსაკუთრებით ამწვავებს ის მოსაზრება, რომ რეალურად ელექტროენერჯია არსებობს, მაგრამ მოსახ-

ლეობას არ მიეწოდება. რესპონდენტები ინფორმირებული არიან, რომ გასულ წელს სომხეთის მთავრობასთან დაიდო ხელშეკრულება ელექტროენერჯის მოწოდების შესახებ. ახალი ხაზებიც გამოიყვანეს. ახალ წელს ერთი კვირა იყო ელექტროობა და მერე გამოირთო, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობამ გადაიხადა დახარჯული ელექტროენერჯის საფასური.

რესპონდენტთა ერთი ნაწილის აზრით, სომხეთიდან ენერჯის მიღება არ აწეობთ ადგილობრივ მცირე ჰესების მფლობელებს, რადგან სომხეთიდან შემოსული ელექტროენერჯია უფრო იაფი ღირს და ისინი მას კონკურენციას ვერ გაუწევენ.

გამოითქვა მოსაზრებაც (ერთ-ერთ შერეულ ჯგუფში), რომ საქართველოს ელექტროენერჯია იყიდება თურქეთში მოსახლეობის ინტერესების უგულვლყოფის ხარჯზე, რადგან ამაში დიდ მოგებას ნახულობენ. ამ აზრს მთელი ჯგუფი დაეთანხმა.

რესპონდენტების უმრავლესობა საერთო შერჩევაში ბრალს სამხარეო ადმინისტრაციას სდებს. რეგიონის ხელმძღვანელობა ნებას არ აძლევს ახალქალაქის რაიონს, პირდაპირ დადოს ხელშეკრულება სომხეთთან ახალციხის გავლის გარეშე. დენი შემოდის ახალციხის გავლით და დახარჯული ელექტროენერჯის საფასურიც ჯერ ახალციხეში მიდის და არა პირდაპირ სომხეთში. გამოითქვა ეჭვი, რომ გადახდილი ფული ახალციხიდან სომხეთამდე ვეღარ აღწევს.

*„ადგილობრივი ჰესების ფაქტორიც არის, მაგრამ მთავარი პრობლემა გუბერნიაა. თუ ახალციხე არ ჩაერევა, უფრო ადვილად მოგვარდება ელექტრობის საკითხი. გადახდილი ფული მიდის ახალციხემდე და მერე ქრება“ (ჯგ. I, N8, მამრ., 39 წ.).*

*„ახალციხეში დგას გამომრთველი, რომელსაც ახალციხელები თავიანთი სურვილის მიხედვით რთავენ და ახალქალაქის რაიონის მოსახლეობის პრობლემები არ აინტერესებთ. არ არის სწორი, რომ სომხეთიდან მოსულ დენს ახალციხეს ვთხოვდეთ“ (ჯგ. V, N7, მამრ., 33 წ.).*

## გათბობა

ჯავახეთში მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი იცის. გათბობის საკითხი აქ ყოველთვის მწვავედ იდგა, მაგრამ ბოლო წლებში განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ამ საკითხზეც ყველა ჯგუფში შეაჩერეს ყურადღება.

გათბობის საშუალებები (შეშა, ნახშირი, გაზი) მიუწვდომელია ფინანსური ან ტექნიკური მიზეზებით. ნახშირი არ შემოდის, სახელმწიფო ამაზე არ ზრუნავს, ხოლო კერძო ბიზნესი ამას საკუთარ თავზე რაღაც მიზეზების გამო ვერ იღებს. შეშა ბოლო წელს განსაკუთრებით გაძვირდა, რესპონდენ-

ტების სიტყვებით, ტყის ჭრის აკრძალვის გამო. გავრცელებული ხმების თანახმად, ბორჯომის ხეობაში ტყე გერმანელებს და თურქებს მიჰყიდეს და მოსახლეობას მისი მოჭრის უფლება აღარ აქვს.

*„ბაკურიანიდან შემოგვეკონდა შეშა. ახლა ამბობენ, რომ ტყე გაიყიდა და ჩვენ უფლება არა გვაქვს შეშა გამოვიტანოთ. თურქეთს და გერმანიას გააქვს, სულ გაზიდავენ. შარშან 100 დოლარი ღირდა შეშა, ახლა 350 ღირს.“* (ჯგ. VI, N7, მამრ. 32 წ.).

მათი აზრით, კარგი იქნებოდა, მთავრობას შეღავათიან ფასებში შემოეტანა ნახშირი ან რამე საწვავი, ამისათვის შეიძლება ახალციხის სარკინიგზო ხაზის გამოყენება.

### ეკოლოგია

ამ საკითხის განხილვისას საპირისპირო ხასიათის შემოთთებაც გამოითქვა. რესპონდენტების დიდმა ნაწილმა, თუმცა არა ყველა ჯგუფმა, დასვა ტყის ჩეხვა და განადგურება, როგორც ეკოლოგიური პრობლემა. ყველაზე აქტიურად ეს საკითხი ქართველების ჯგუფში განიხილეს. მაგრამ ტყის მასიური ჩეხვის მიზეზი მხოლოდ სათბობის უქონლობა არ არის, ამის მიზეზად რესპონდენტებმა კორუმპირებული ადგილობრივი მოხელეების მიერ ხე-ტყით ვაჭრობაც დაასახელეს.

### ჯანდაცვა

ყველა ჯგუფმა განიხილა მძიმე პირობები ჯანდაცვის სფეროში. აღინიშნა, რომ ფასიან სამედიცინო მომსახურებაზე გადასვლის ფონზე ძნელად მისაწვდომი გახდა ადამიანებისთვის მკურნალობა ფინანსური რესურსების სიმწირის გამო. მაგრამ კიდევ უფრო პრობლემურია სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების დონე. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურება ფასიანი გახდა, მათ არა აქვთ არანაირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრულიად არ იცვება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, არ არის გათბობა და შუქი. რაიონში არ ფუნქციონირებს სასწრაფო დახმარება. არც ტელეფონი მუშაობს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში გამოიძახო რუსეთის სამხედრო ბაზაზე არსებული ერთადერთი სამედიცინო დახმარება. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ღმერთის იმედად თუ იქნება ადამიანი ამ პირობებში.

*„ქალი სამშობიაროდ რომ მიდის, თან სალიარკა უნდა წაიღოს. სამშობიაროში თავკები ღარბიან.“* (ჯგ. I, N4, მდედრ., 62 წ.).

„იოლიც კი არა აქვთ, ყველაფერი შენ უნდა მიიტანო, ყველაფერი ფასიანია. თავგები და კატები დარბიან. ექიმი რომ დაგჭირდეს, ვერ იპოვი, თავის ადგილზე არავინ ზის“. (ჯგ. 2, N4, მდედრ., 39 წ.).

რესპონდენტთა აზრით, სამედიცინო მომსახურება უფასო უნდა იყოს ან არსებობდეს საგრძნობი შეღავათები მატერიალურად შეჭირვებული ოჯახების, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის.

## წარმოება და სოფლის მეურნეობა

ყველა ჯგუფში განსაკუთრებული გულისტკივილით ილაპარაკეს განადგურებულ წარმოებაზე, როგორც ლამის ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემის საფუძველზე. ყველა ჯგუფში რესპონდენტები ჩამოთვლიდნენ, თუ ადრე რა სახის საწარმოები ფუნქციონირებდა რაიონში, რამდენი ადამიანი იყო დასაქმებული, რა მაღალი ხარისხის პროდუქციას აწარმოებდნენ და ა. შ. აკრიტიკებდნენ უსამართლო და გაუაზრებელ პრივატიზაციას, რომელმაც წარმოება გაანადგურა და ხალხი უმუშევრად დატოვა. ამავე დროს ამბობდნენ, რომ მიუხედავად წარმოების სრული განადგურებისა, რაიონს აქვს ადამიანური და ბუნებრივი რესურსები წარმოების აღსადგენად, თუ საწყისი ინტერესი და ინვესტიციები გამოჩნდა. მათი აზრით, მთავარია დახმარება საწარმოების ამუშავების ეტაპზე, შემდეგ ისინი დამოუკიდებლად იარსებებენ და მომგებიანი გახდებიან.

ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის პრობლემები უფრო მეტად იყო აქცენტირებული სოფლის მაცხოვრებელთა ჯგუფში. მაგრამ სხვა ჯგუფების რესპონდენტებმაც გამოავლინეს ამ პრობლემების ცოდნა და მათ დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს. აქაც გაიხსენეს განადგურებული წარმოებები: დიდ სოფლებსა და ქალაქებში ათეულობით მომგებიანი რძის პროდუქტების ქარხანა მუშაობდა (ასახელებდნენ კონკრეტულ ობიექტებს).

სოფლის მეურნეობის სფეროში განხილული პრობლემები ასეთი სახით შეიძლება შევაჯამოთ:

- ◆ მკაცრი კლიმატური პირობები: ზაფხულში გვალვები, ხანგრძლივი ზამთარი;
- ◆ მოშლილი სარწყავი სისტემებისა და სარწყავი წყლის პრობლემა;
- ◆ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიმწირე;
- ◆ მოწეული პროდუქციის გასაღების სირთულე.

რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრებები სოფლის მეურნეობის აღდგენის თაობაზე. ახალგაზრდების ჯგუფში აღინიშნა, რომ ხელშეწყობა სჭირ-

დება ფერმერული მეურნეობის განვითარებას, ამისათვის კრედიტები უნდა გასცენ ფერმერებზე. ასევე საჭიროა სასოფლო პროდუქციის გასაღების სისტემის აწყობა, რომ გლენს შემოსავალი ჰქონდეს გაყიდული საქონლიდან და თითქმის მთლიანად გზაში არ ხარჯავდეს მას.

## ახალგაზრდების პრობლემები

ყველა ჯგუფში ახალგაზრდების საკითხი მოდერატორის შეკითხვის გარეშე დასახელდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა. მაგრამ თვითონ ახალგაზრდების ჯგუფმა ამას განსაკუთრებით დიდი დრო და ყურადღება დაუთმო. აღნიშნეს, რომ ახალგაზრდებს არანაირი პირობები არა აქვთ განვითარებისათვის და, რაც მთავარია, არა აქვთ სამუშაო. შეუძლებელია ნორმალური განათლების მიღება არც სკოლაში და არც უმაღლეს სასწავლებლებში. არ არის ადგილები კულტურული ღონისძიებებისა და გართობისათვის: დისკოტეკა, კინო, ახალგაზრდული რადიო, გაზეთი, ტელევიზია, სპორტული კომპლექსები და ა. შ. სრულიად მიუწვდომელია ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. დიდი იშვიათობაა კომპიუტერი, ბევრს ის თვალითაც არ უნახავს. მოწვენილობას ემატება ქალაქის სიბინძურე და დანგრეული ფასადები:

*„XXI საუკუნეა და კომპიუტერი არ უნახავთ თვალით ზოგიერთებს“ (ჯგ. II, N5, მამრ., 21 წ.).*

*„ველურებივით არიან აქაურები, პირობები არ არის, წასასვლელი არსად არა აქვთ. საშინელი მოწვენილობა“ (ჯგ. II, N3, მდედრ., 18 წ.).*

რესპონდენტების აზრით, ასეთი პირობები იწვევს ახალგაზრდობის დიდ მიგრაციას, ძირითადად – სომხეთსა და რუსეთში, რადგან იქ მეტი შესაძლებლობებია და ცხოვრება უფრო საინტერესოა. წასულების უმრავლესობას აღარ სურს უკან დაბრუნება.

განსაკუთრებული შემოფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ დაუსაქმებლობა იწვევს დანაშაულებისა და ნარკოტიკის მოხმარების ზრდას. ნარკოტიკის მოხმარებელთა რიცხვი, ერთი ნაწილის შეფასებით, საკმაოდ გაიზარდა, მაგრამ უფრო დიდი ნაწილი რესპონდენტებისა თვლის, რომ ის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოს სხვა ნებისმიერ რაიონში.

*„ჩემი აზრით, საკმაოდ დიდია ნარკოტიკის მოხმარებელთა რიცხვი, [ახალგაზრდებს] 60% იქნება. ჩემს ახალგაზრდობაში, საერთოდ საბჭოთა პერიოდში სხვანაირად იყო. ახლა ბავშვები ღამის პირველ საათზე ქუჩაში ღარბიან, სივარეტს ეწვეიან და ჩხუბობენ.“ (ჯგ. I, N2, მამრ. 73 წ.).*

„ნარკომანები ბევრნი არ არიან, მაგრამ არის ამის საშიშროება, თუ ასე გავგრძელდა“ (ჯგ. VI, N.5 მამრ. 27 წ.).

მათი აზრით, მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამწყვეტია სამუშაო ადგილების შექმნა და ახალგაზრდების დასაქმება. საჭიროა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ფონდების მატერიალური მხარდაჭერა, რომ გაიხსნას კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული დაწესებულებები.

## ინფორმაციის მისაწვდომობა

### საინფორმაციო საშუალებები

ინფორმაციული ვაკუუმის საკითხი ყველა ჯგუფში იქნა აღნიშნული, მაგრამ უფრო ღრმად და ღრობის მეტი მონაკვეთის დათმობით განხილულ იქნა ახალგაზრდების ჯგუფში.

ერთმნიშვნელოვნად აღინიშნა, რომ მიუწვდომელია მასობრივი ინფორმაციის ყველა სახე და დიდი ვაკუუმია უფლებებისა და კანონების ცოდნის თვალსაზრისით.

ფაქტიურად, არ არსებობს ადგილობრივი გაზეთი, თუ ის თვეში ერთხელ მაინც ქვეყნდება, არ შეიცავს ოპერატიულ და ღირებულ ინფორმაციას, აქ არის მხოლოდ ხალხური მედიცინის რეცეპტები, ანეკდოტები და ისტორიული მოთხრობები.

არ არსებობს ადგილობრივი ტელევიზია და რადიო. რუსული ბაზის წყალობით მისაწვდომია რუსული საინფორმაციო არხები, რაც მოსახლეობისათვის ძირითადი საინფორმაციო წყაროა. დღის გარკვეულ მონაკვეთში რთავენ სომხეთის ტელევიზიას. საქართველოს ტელევიზიის გადაცემებიდან მხოლოდ ცენტრალური არხის „ვესტნიკის“ ნახვის საშუალება აქვთ, ისიც თუ ელექტროენერჯის მიწოდება არ შეწყდა. სხვა არხები პრაქტიკულად მიუწვდომელია. რესპონდენტთა ნაწილი (ძირითადად, ქართული ჯგუფი) გულისტკივილს გამოთქვამს, რომ არა აქვთ სხვა ქართული ტელეარხების, განსაკუთრებით „რუსთავი 2“-ის, ნახვის საშუალება. საინფორმაციო საშუალებების სიმწირე არ აძლევს საშუალებას მოსახლეობას, არა თუ ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა არხის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, არამედ საერთოდ იყოს ქვეყანაში მიმდინარე მივლენების საქმის კურსში. დაგვიანებით ან საერთოდ არ მოდის პრესა ცენტრიდან, მაგრამ თუ მოდის, მოსახლეობას არა აქვს მისი სისტემატური შეძენის ფინანსური საშუალება. ამავე დროს, ყოველთვის დგას ქართული ენის არცოდნის საკითხი, ადგილობრივი მოსახლეობა რუსულენოვანია, მათ შორის ქართველების ნაწილიც.

*„ქართული არხებიდან მოდის მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფო კი მოგესხენებათ რაც არის. იმასაც მხოლოდ მაშინ ვუყურებთ, როცა შუქია. ვუყურებთ „ვესტნიკს“, რომლის მაყურებელმა უნდა იფიქრო, რომ ქვეყანა ყვავის. „ვესტნიკს“ საბჭოთა დროის თემატიკა და ინტონაცია აქვს. რა ხდება თბილისში, არ ვიცით.“ (ჯგ. III, N8, მამრ. 28 წ.).*

საუბარი აღარაა ისეთი საინფორმაციო არხის გამოყენებაზე, როგორცაა ინტერნეტი და ელექტრონული ფოსტა. უმრავლესობას არც გაუგია მათი არსებობის შესახებ.

## ინფორმაციის დეფიციტი საკანონმდებლო სფეროში

ყველა ჯგუფში გაამახვილეს ყურადღება იმაზე, რომ ხალხმა არ იცის საკუთარი უფლებები და ელემენტარული კანონები. არავენ ზრუნავს იმაზე, რომ მოსახლეობამ მიიღოს ინფორმაცია კანონებზე; მეორეც, თუ ახალი საკანონმდებლო აქტები ფიზიკურად მისაწვდომია, ძირითადად – ქართულ ენაზე, რაც უმრავლესობისთვის გაუგებარია. არსებული სიტუაციით სარგებლობენ ჩინოვნიკები და სახელმწიფო მოხელეები და ბოროტად იყენებენ მოსახლეობის მიერ კანონების არცოდნას. სომხურენოვანი და რუსულენოვანი მოსახლეობა ამაშიც ეთნიკური დისკრიმინაციის ელემენტს ხედავს.

*„ადამიანი თავის უფლებებს ვერ იცავს, რადგან არ იცის ეს უფლებები“ (ჯგ. VI, N4, მდედრ., 25 წ.).*

ასევე უკმაყოფილება გამოითქვა იმასთან დაკავშირებით, რომ კანონების მიღების დროს მოსახლეობას აზრს არ ეკითხებიან და ხშირად მიღებული კანონები არ ითვალისწინებს მოსახლეობის, უბრალო ხალხის ინტერესებს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა ახალგაზრდებს, მომავალ თაობას ასწავლონ კანონები და მათი უფლებები. ეს უნდა ხდებოდეს სკოლის ასაკიდან დაწყებული და ამაზე პასუხისმგებლობა უნდა აიღოს განათლების სისტემამ. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალაქში აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს იურიდიული კონსულტაცია.

## განათლება

### სკოლის პრობლემები

თუ შევაჯამებთ რესპონდენტების მოსაზრებებს სკოლის პრობლემებთან დაკავშირებით, შეიძლება საკითხები ჰირობითად დავაჯგუფოთ **მშობლების, პედაგოგებისა და მოსწავლეების** პრობლემებად.

თითქმის ყველა ჯგუფმა ცალკე საკითხად გამოყო, გათბობის არქონა, როგორც სასწავლო პროცესის შემაფერხებელი მიზეზი. ხანგრძლივი მკაცრი ზამთრის პერიოდში სწავლის პროცესი ძირითადად ჩაშლილია.

**მშობლების პრობლემები.** მშობლებს ძვირი უჯდებათ მოსწავლეების მომარაგება საჭირო სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით. უმუშევრობისა და მცირე, დაგვიანებული ხელფასების ფონზე სასკოლო დანახარჯები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება.

*„წიგნები ძვირი ღირს, 70 ლარი მიჯდება ორი ბავშვის სახელმძღვანელო, სადა აქვს ხალხს ამის საშუალება.“ (ჯგ. VI, N1, მდელრ. 30 წ.).*

**პედაგოგთა** ძირითად პრობლემად დასახელდა ე. წ. „გაყინული“ ხელფასები. გასული რამდენიმე წლის მანძილზე თითქმის ყოველ წელს რამდენიმე თვე აქვს სახელმწიფოს პედაგოგების დავალიანება. თავად ხელფასი იმდენად მცირეა, რომ მასწავლებელს საკუთარი თავისთვის არ ეყოფა, არამც თუ ოჯახის შესანახად. არ არის ნორმალური პირობები სწავლის პროცესის ჩასატარებლად, არა აქვთ ახალი მეთოდოლოგია, საჭირო ხელსაწყოები და პრეპარატები და ა. შ.

*„მასწავლებლების გასული წლების ხელფასები გაყინულია. ახლა ტრანსფერტი მივიღეთ და 1998 წლის ხელფასების დავალიანებას უხდიან ახალქალაქის მასწავლებლებს.“ (ჯგ. I, N8, მამრ., 39 წ.).*

**მოსწავლეების** პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები არ იღებენ სრულყოფილ ცოდნას. გათბობის პრობლემებისა და ხელფასის გაუცემლობასთან დაკავშირებით მასწავლებლების პერიოდული გაფიცვების გამო სასწავლო პროცესი პრაქტიკულად ჩაშლილია. ასევე აღინიშნა, რომ მოსწავლეებისათვის სკოლისაგან თავისუფალ დროს არ არის წრეები, საზაფხულო პიონერთა ბანაკები, სპორტული დარბაზები. რაც იყო, მოიშალა და გაიძარცვა.

**სომხეთის ისტორიის სახელმძღვანელო და მისი სწავლების საკითხი**

რამდენიმე ჯგუფში დაისვა სომხეთის ისტორიის სწავლების საკითხი. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ჯავახეთის სკოლებში უნდა ისწავლებოდეს სომხეთის ისტორია, ისევე როგორც საქართველოს ისტორია. დღეს კი სკოლებში სომხეთის ისტორია ფაქულტატურია და არ არის შეტანილი ძირითად პროგრამაში. ამას, რესპონდენტების აზრით, სომხური მოსახლეობა აღიქვამს ეთნიკური უმცირესობის უფლებების დარღვევად.

*„ეთნიკური უმცირესობების უფლებების დარღვევაა ის, რომ არ ისწავლება სომხეთის ისტორია“ (ჯგ. III, N6, მამრ., 28 წ.).*

არსებობს სახელმძღვანელო პრობლემატ. რესპონდენტთა ინფორმაციით, განათლების სამინისტრო ნებას არ იძლევა, სომხეთის ისტორია საქართველოს სკოლებში სომხეთში გამოცემული სახელმძღვანელოთი ისწავლებოდეს, მაგრამ ალტერნატივასაც არ სთავაზობს.

*„საქართველოს განათლების სამინისტრო ნებას არ აძლევს სომხურ სკოლებს, სომხეთის ისტორია ერევანში გამოცემული სახელმძღვანელოთი ასწავლონ. საქართველოში უნდა დაიბეჭდოსო, მაგრამ ჯერ არ ჩანს მაგათი გამოცემული წიგნი. არც თვითონ ბეჭდავენ, არც სხვისი გამოყენების ნებას არ აძლევენ. არ უნდათ, რომ იცოდნენ თავიანთი ქვეყნის ისტორია სომხებმა.“ (ჯგ. III, N8, მამრ., 28 წ.).*

### უმაღლესი განათლება

რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში მაცხოვრებელი სომხებისათვის უმაღლესი განათლების მიღებაც პრობლემურია. ახალგაზრდების დიდი ნაწილი სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლესი განათლების მისაღებად ერევანში (სომხეთი) მიდის, უფრო მცირე ნაწილი კი – რუსეთის სხვადასხვა ქალაქში. უმაღლესი განათლების ქვეყნის გარეთ მიღების ძირითად მოტივად უმრავლესობა თვლის ქართული ენის არცოდნას და, ამავე მიზეზით, სამუშაო ადგილის შოვნის უპერსპექტივობას უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

### სახელმწიფო ენის საკითხი და ეთნიკური პრობლემები

სახელმწიფო, ანუ ქართული ენის საკითხს რესპონდენტები, განსაკუთრებით ახალგაზრდები, მეტად ხანგრძლივად, აქტიურად და ემოციურად განიხილავდნენ. აღინიშნა რომ ეს მათთვის მეტად მტკივნეული პრობლემაა. ქართველების ჯგუფში დიდი ვნებათაღელვა ამის გამო არ ყოფილა, მაგრამ მათი ძირითადი მოსაზრებები ეხმიანება დანარჩენი მონაწილეებისას.

ყველა ჯგუფში (კვლავ ქართველების გარდა) აღინიშნა, რომ ქართული ენის არცოდნას სახელმწიფო იყენებს სომხების დისკრიმინაციისათვის. რესპონდენტები აცხადებენ, რომ ამის გამო ირღვევა სომეხი მოსახლეობის უფლებები და გამოითქვა შიში, რომ მომავალში მდგომარეობა გაუარესდება. მცირე ნაწილმა (უფრო ახალგაზრდებმა, ვინც ისწავლა ან ახლა სწავ-

ლობს ერევანში) გამოთქვა აზრი, რომ ეს სახელმწიფოს გამიზნული პოლიტიკაა, აიძულოს სომხები საქართველოდან წავიდნენ.

საუბრობენ კანონზე (რომელიც არავის უნახავს და არ წაუკითხავს), რომლის მიხედვითაც, ყველა სომეხს, ვინც კარგად არ იცის ქართული, სამსახურიდან გაათავისუფლებენ. დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ, თუ ასეთი მოთხოვნა ჯერ კანონის სახით არ არის გაფორმებული, ზემოდან ნამდვილად არსებობს ამის თაობაზე რაღაც მითითება.

ძალადობად აფასებენ სახელმწიფოს მხრიდან სახელმწიფო ენის ცოდნის კატეგორიულ მოთხოვნას. მათი აზრით, ასეთმა კატეგორიულმა მოთხოვნამ შეიძლება გამოიწვიოს სოციალური პროტესტი, აფეთქება და დაბაულობა ერთაშორის ურთიერთობაში, ავტონომიის მოთხოვნაც კი.

გამოიკვეთა ორი აზრი იმაზე, თუ რამდენად უნდა მოსახლეობას, ისწავლოს ქართული. ერთი ნაწილი თვლის, რომ მოსახლეობა ძალიან დაინტერესებულია ქართული ენის ცოდნით, მეორე თვლის, რომ ეს მხოლოდ იმას ეხება, ვინც თბილისში მიდის სამუშაოდ. ვინც რუსეთზეა ორიენტირებული, იმას არ სჭირდება ქართული და რუსულისა და ინგლისურის შესწავლას ანიჭებს უპირატესობას (ამ თემის განხილვისას იგრძნობოდა ერთგვარი დაბაულობა).

ახალგაზრდების ერთ ნაწილში ღიად გამოვლინდა აგრესია, რომ სულ არ სჭირდებათ ქართული ენა, რადგან სასწავლებლად მაინც სომხეთში ან რუსეთში მოუწევთ წასვლა, საქართველოში კი სამუშაოს მაინც ვერ იშოვიან. თავიანთი პოზიცია ახალგაზრდებმა იმით ახსნეს, რომ საქართველოს მოსახლეობის რაღაც ნაწილში ანტიისომხურ განწყობას ვგრძნობენ.

*„მთელ საქართველოში არა, მაგრამ დიდ ნაწილში შეინიშნება ანტი-სომხური განწყობა და ამიტომ პროტესტის ნიშნად აღარ მინდა ქართულის სწავლა“ (ჯგ. II, N5, მამრ., 21 წ.).*

ქართული ენის ცოდნის მოთხოვნა და ამ ენის არცოდნა, რესპონდენტების აზრით, მიგრაციის მთავარი მიზეზია უმუშევრობის შემდეგ. უმაღლესი განათლების მისაღებად რომ ერევანში ან რუსეთში მიდიან, ამის მიზეზი ქართულის უცოდინარობაა; ეს უკანასკნელი სკოლაში მხოლოდ წერა-კითხვის დონეზე ისწავლება; ასეთი ქართულით თბილისის უნივერსიტეტებში ვერ მოხვდები.

*„არ ვიცი ქართული და ამიტომ არ წავედი სასწავლებლად თბილისში, ცუდად გვასწავლიდნენ სკოლაში“ (ჯგ. II, N1, მამრ., 18 წ.).*

*„უმრავლესობა ერევანში სწავლობს ქართულის არცოდნის გამო. ენის არცოდნა ბარიერია საქართველოში განათლების მისაღებად“ (ჯგ. III, N5, მდედრ. 23 წ.).*

ქართული ენის არცოდნას, პირველ რიგში, ხსნიან შესაბამისი ენობრივი გარემოს არარსებობით. ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობას (95%) შეადგენენ ეთნიკური სომხები, დანარჩენი ძირითადად ქართველი და რუსია. საკონტაქტო ენებია რუსული და სომხური. სომხური იცის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, ქართველების ჩათვლით. სომხური მოსახლეობის რაღაც ნაწილმა (სოფლებში) არ იცის რუსული. მოსახლეობამ (ქართველების გარდა) არ იცის ან ძალიან ცუდად იცის ქართული, ქართველების ნაწილიც ხშირად უპირატესობას რუსულ ენას ანიჭებს.

ასევე მნიშვნელოვან ფაქტორად იქნა დასახელებული პედაგოგების დაბალი კვალიფიკაცია, ცუდი მეთოდოლოგია და არასწორად შედგენილი სახელმძღვანელოები.

*„წერა-კითხვა ვიცი, მაგრამ ლაპარაკი არ შემიძლია. ვიღაცა უნდა მელაპარაკებოდეს ქართულად. არც სკოლაში მასწავლეს წესიერად. მე-8 კლასში ქართულს კახელი მწვემსი მასწავლიდა, თვითონაც წესიერად არ იცოდა, მაგრამ სხვა მასწავლებელი არ გვეყავა“ (ჯგ.V, N1, მამრ., 65 წ.).*

რესპონდენტების უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს, მაგრამ არასწორად მიაჩნიათ დღესვე მისი ცოდნის მოთხოვნა. ასაკოვანი რესპონდენტების აზრით, მათი თაობა ვეღარ ისწავლის ქართულს, ახალგაზრდები ისწავლიან, მაგრამ საამისოდ დრო უნდა მისცენ. მთელი მოსახლეობის ქართულად ალაპარაკება ერთ ათეულ წელში არარეალურია. ამას ერთი თაობა მაინც დასსჭირდება. მანამდე კი საქმიანი ურთიერთობებისათვის და საქმის წარმოებისათვის პარალელურად რუსული და სომხური ენებიც უნდა გამოიყენებოდეს.

*„სჭირთა 20 წლიანი სახელმწიფო პროგრამა ქართული ენის დასამკვიდრებლად. მას სჭირდება ერთი თაობა და არა ორ-სამთვიანი კურსები“ (ჯგ.III, N6, მამრ., 28 წ.).*

აღინიშნა, რომ არ არსებობს ამ საკითხისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, სახელმწიფო არაფერს აკეთებს სახელმწიფო ენაზე სწავლების წასახალისებლად. ენობრივი უცირვრობების სკოლები სახელმძღვანელოებს იღებენ უფასოდ ეთნიკური სამშობლოდან, ქართული სკოლების სახელმძღვანელოები კი იმდენად ძვირია და მიუწვდომელი, რომ ეკონომიკური მოსაზრებებითაც კი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი უპირატესობას პირველს მიანიჭებს.

## დისკრიმინაცია რელიგიური და ეთნიკური ნიშნით

როგორც ეთნიკური, ასევე აღმსარებლობის თვალსაზრისით რეგიონის მოსახლეობა საკმაოდ მრავალფეროვანია. ძირითად ნაწილს შეადგენენ მართლმადიდებლები (ძირითადად ქართველები) და გრიგორიანელები (სომხები), მათ მოსდევს კათოლიკე ქრისტიანები (სომხები და ქართველები). მცირე რაოდენობით არიან დუხობორები (რუსები), მუსულმანები (ქართველები), ორმოცდაათიანელები, იელოველები და ა. შ.

მიუხედავად აღმსარებლობის მრავალფეროვანებისა, რესპონდენტები თვლიან, რომ რელიგიური ნიშნით კონფლიქტებზე და დისკრიმინაციაზე ლაპარაკი არ არის მართებული. თუმცა აღინიშნა, რომ პერიოდულად არის პრობლემები ეკლესიებს შორის, სახელდობრ, იყო კონფლიქტი კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის ეკლესიის კუთვნილებასთან დაკავშირებით. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ორიოდე სოფლის დონეზე და დიდ დაპირისპირებაში არ გადაზრდილა. რელიგია არსად აღნიშნულა, როგორც დისკრიმინაციის ან კონფლიქტის არსებითი მიზეზი. სერიოზული კონფლიქტის შესაძლო საფუძვლად დასახელდა მხოლოდ მუსულმანი მესხების („თურქი მესხების“) მასობრივი ჩამოსახლება (იხ. ქვეთავი რეპატრიაციის შესახებ). რეგიონში მოსახლე მაჰმადიანი ქართველები (აჭარლებიც) გაისხენეს, აღინიშნა ერთგვარი დისტანცია და იზოლაცია მათთან ურთიერთობებში, მაგრამ არა რელიგიური თვალსაზრისით.

სამაგიეროდ, ყველა ჯგუფში, ქართველების ჯგუფის გარდა, აქტიურად და ემოციურად განიხილეს ეთნიკური დისკრიმინაციის საკითხი. რესპონდენტების აზრით, მთავრობა მთელი ქვეყნის მოსახლეობისადმი იჩენს უგულისყურობას, მაგრამ მათ, სომხებს, როგორც არაქართველებს, კიდევ უფრო მეტად ჩაგრავენ და უფრო ცუდად ექცევიან. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა მოუგვარებელ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას რესპონდენტები ეთნიკური ჩაგვრის კუთხითაც უყურებენ.

*„პრობლემები, რაც მთელ საქართველოს აქვს, ჯავახეთში უფრო მწვავედ და ეთნიკურ ფორმას იღებს.“ (ჯგ. III, N8, მამრ., 28 წ.).*

ასეთ პოზიციას უფრო აშკარად და აგრესიულად გამოხატავს ახალგაზრდობის დიდი ნაწილი. ამასთან ხაზს უსვამენ, რომ ეთნიკური ჩაგვრა მოდის სახელმწიფო სტრუქტურებისა და ჩინოვნიკების მხრიდან და არა ქართული მოსახლეობიდან. მაგრამ არის საშიშროება, რომ დაძაბულობა ქართულ-სომხურ ურთიერთობებზეც აისახოს. ეთნიკური დისკრიმინაციის ნიმუშებად რესპონდენტები მიიჩნებდნენ შემდეგს:

- ◆ სკოლებში არ ისწავლება სომხეთის ისტორია;

- ◆ ქართული ენის არცოდნის გამო ათავისუფლებენ ან არ იღებენ სამსახურში;
- ◆ ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურები ახალქალაქის რაიონის წარმომადგენლებს აიძულებენ მარტივი ბიუროკრატიული პრობლემების გადასაწყვეტად ახალციხეში ჩავიდნენ;
- ◆ საგზაო პოლიცია უფრო მეტად ჩაგრაავს სომხებს, ვიდრე ქართველებს;
- ◆ დოკუმენტაცია და საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზეა და ა.შ.

რესპონდენტების თქმით, ხშირად სამუშაო ადგილს კარგავენ უფრო კარგი სპეციალისტები და ინარჩუნებენ უფრო დაბალი კვალიფიკაციის მქონენი მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები არიან. მათი აზრით, არსებობს კანონი, თუ მითითება, რომლის დანიშნულებაცაა სომხების მოშორება ქართული ენის არცოდნის საბაბით.

*„ჩვენი უფლებები ილახება. ქართული ენის არცოდნის გამო ათავისუფლებენ სამსახურიდან ან არ იღებენ სამსახურში. განცხადების დაწერას ქართულად ვთხოვენ, თუ არა და არ ვიღებენ.“ (ჯგ. III, N6, მამრ., 28 წ.).*

ახსენეს ისეთი შემთხვევებიც, როცა სამსახურიდან ამ ნიშნით განთავისუფლებულებმა სარჩელი შეიტანეს და სასამართლოს საფუძველზე აღიდგინეს თავი სამუშაო ადგილზე.

## **სახელმწიფო, ხელისუფლება და რეგიონი**

საერთო ზოგადი ტენდენციები ამ საკითხების განხილვისას ასეთია:

- ◆ უნდობლობა ხელისუფლებისადმი;
- ◆ რუსეთზე ორიენტაცია;
- ◆ საბჭოთა პერიოდის მონატრება.

**დამოკიდებულება სახელმწიფოსა და საქართველოს მთავრობისადმი**

დამოკიდებულება საქართველოს ახლანდელი მთავრობისადმი ყველა ჯგუფში ძირითადად კრიტიკული და უარყოფითია. მუშაობის დროს რამდენჯერმე გაიხსენეს ზვიად გამსახურდიას დროინდელი პერიოდიც, როგორც ეთნიკური უმცირესობებისათვის დიდი საფრთხის მატარებელი და

თეორიულად ისევ ხელავენ მსგავსი სიტუაციის გამეორების სამიმროებას (იხ. აგრეთვე თავი: რუსეთის სამხედრო ბაზა). ხელისუფლებას ბრალად ედება წარმოების განადგურება, უკანონოდ განხორციელებული პრივატიზაცია, ეკონომიკური გაჭირვება და სოციალური სფეროს მოშლა. უარყოფით შეფასებებში და გამონათქვამებში უფრო აქტიური და აგრესიული იყო ახალგაზრდული ნაწილი.

ერთი ნაწილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლისა, წარმოებების აღდგენა და სოციალური საკითხების მოგვარება მაინც სახელმწიფოს საქმეა.

რესპონდენტები უნდობლობას უცხადებენ მთავრობის მიერ დეკლარირებულ დემოკრატას, რადგან სინამდვილეში ყველა გადაწყვეტილება ხალხის ზურგს უკან მიიღება. კორუმპირებული მთავრობის წევრები ხალხზე არ ფიქრობენ, ყველა თავის ჯიბეზე ზრუნავს. ხალხი მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ, ოქროს მთებს ჰპირდებიან და მერე არაფერს აკეთებენ.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, რესპონდენტების ნაწილი მთავრობის რეგიონისადმი უყურადღებობის უკან ეთნიკურ პრობლემას ხელავს: ხელისუფლება შეგნებულად უწყობს ხელს სიტუაციის გაურესებას რეგიონში, რათა სომხები საქართველოდან წავიდნენ.

ისინი ხშირად აღარებენ დღევანდელ ცხოვრებასა და ხელისუფლებას საბჭოთა პერიოდს და უფრო ხშირად დასკვნას საბჭოთა პერიოდის სასარგებლოდ აკეთებენ. აღინიშნა, რომ საბჭოთა წარსულში არ იყო გარჩევა ეთნიკური ნიშნის მიხედვით, არ იყო დაპირისპირება სომხებსა და ქართველებს შორის, უკეთესი იყო ცხოვრების დონე (გარანტირებული პენსიები, ხელფასები და სამსახური), მოსახლეობა სოციალურად დაცული იყო და ა. შ. ნოსტალგია საბჭოთა პერიოდისადმი იგრძნობა არა მარტო უფროს თაობაში, არამედ ახალგაზრდებშიც, რომელთაც ბავშვობაში მოუწიათ საბჭოთა კავშირში ცხოვრება.

*„არ ვიცოდით, რომ კომუნისტებში [ძალიან კარგად] ვცხოვრობდით“  
(ჯგ. I, N3, მამრ., 37 წ.).*

*„ჩვენ ცუდ დროს მოგვიწია ცხოვრება, ჩვენმა მშობლებმა საბჭოთა პერიოდში იცხოვრეს, ჩვენ ცვალილებებისა და ნგრევის დრო გვევლო. ახალგაზრდობა პესიმისტურად უყურებს მომავალს. (ჯგ. II, N2, მამრ., 29 წ.).*

## ცენტრი და რეგიონი

ძირითადი შეფასებები ცენტრისა და რეგიონის უარითერთმომართების შესახებ ერთგვაროვანია: ცენტრი არ ზრუნავს რეგიონთან ნორმალურ ურ-

თიერთობებზე, არა აქვს ჩამოყალიბებული კონკრეტული გეგმები და პოლიტიკა და, უფრო მეტიც, ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების მიმართ აგრესიულ პოლიტიკასაც კი ატარებს. სწორედ ამის შედეგია ის კონფლიქტური სიტუაცია, რაც არის სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში. ასევე ცენტრის არასწორი პოლიტიკის შედეგია აჭარის დაუმორჩილებლობა ცენტრისადმი.

*„სახელმწიფოს არა აქვს პოლიტიკა რეგიონებისათვის, ეთნიკური უმცირესობებისათვის. ეს მრავალეროვნული ქვეყანაა და არ ფიქრობენ სხვაზე. არ ფიქრობენ, რატომ მოხდა აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტები. უკვე ეთნიკური ქართველები თხოულობენ ავტონომიას – აჭარლები, მეგრელები – და, რა გასაკვირია, სხვებმაც რომ მოითხოვონ ასეთ პირობებში. თვითონ ქართველები ცდილობენ გამოეყონ ცენტრალურ ხელისუფლებას. ბოლოს მარტო თბილისი დარჩება. ხვალ ასლან აბაშიძე აჭარის პრეზიდენტად გამოაცხადებს თავს, პატარა სამთავროებად დაიშლება საქართველო. აფხაზეთი და ოსეთი, ფაქტიურად, აღარაა საქართველო.“ (ჯგ. III, N6, მამრ., 28 წ.).*

*„გაუზრებელია ეკონომიკა, ენის საკითხი და პოლიტიკა. საერთოდ არ არის გააზრებული რეგიონებთან ურთიერთობის პოლიტიკა.“ (ჯგ. III, N8, მამრ., 29 წ.).*

## არჩევნები

რესპონდენტებმა საარჩევნო პროცესისადმი სრული ნიჰილიზმი და უნდობლობა გამოამჟღავნეს. ყველა ჯგუფში ეს პროცესი შეფასდა არა როგორც ხალხის წარმომადგენლების არჩევა, არამედ ცალკეული პირების მიერ თავიანთი პირადი კეთილდღეობის მოწყობის საშუალება. მოიყვანეს მაგალითები, თუ როგორ ხდებოდა არჩევნების შედეგების გაყალბება და მასმედიაში ინფორმაციის მიჩქმალვა. მაგ., საპრეზიდენტო არჩევნების დროს ახალქალაქში გამოვიდნენ საპროტესტო შინაარსის პლაკატებითა და მოთხოვნებით, მაგრამ მეორე დღეს ეს ცენტრალურ ტელევიზიაში არავის არ უჩვენებია. პირიქით, თქვეს, რომ ყველაფერმა შესანიშნავად ჩაიარა.

რესპონდენტების დიდი ნაწილი აცხადებს, რომ არ იყო ბოლო არჩევნებზე და არც მომავალში წავა, რადგან არა აქვთ იმედი, რომ რეალურად რამე შეიცვლება. კანდიდატები, სკამებს გაინადლებენ თუ არა, აღარ ახსოვთ არჩევნების წინ მიცემული დანაპირები.

ნეგატიურად უყურებენ როგორც არჩეულ პარლამენტარებს, ისე ცენტრიდან დანიშნულ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც;

თვლიან, რომ ეს ერთი მთლიანობაა და არსებითი განსხვავება მათ შორის არ არის. არც ადგილობრივი ხელისუფლება იცავს ხალხის ინტერესებს, რადგან სკამს უფროსილდება, რომელიც ცენტრიდან მისცეს.

*„ისეთ ხალხს ნიშნავენ თანამდებობაზე, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობას ჩაგრავენ, მის უფლებებს ლახავს. საბჭოთა დროს წახვიდოდი და იჩივლებდი ზევით. ეშინოდათ ამისი. ახლა სად უჩივლებ, ვინ დაგიცავს, არავინ ყურადრებას არ გაქცევს.“ (ჯგ. IV, N7, მამრ., 61 წ.).*

კითხვაზე, რამდენად შეიცვლება სიტუაცია, თუ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები არჩევნების ვზით მოვლენ, უმრავლესობა პესიმიტურად აფასებს, რომ არაფერი შეიცვლება.

*„არჩევნების წინ ოქროს მთებს შეგვიპირდნენ და მერე არავის აღარ ვახსოვართ. ვინდ არჩევითი იყოს, ვინდ დანიშნითი, აზრი არა აქვს, არაფერი არ შეიცვლება.“ (ჯგ., VII, N6, მამრ., 33 წ.).*

თუმცა, საბოლოო ჯამში უმრავლესობა თვლის, რომ სამომავლოდ მაინც უკეთესი იქნება, თუ არჩევითი იქნება ყველა ის სახელისუფლო ადგილი (საკრებულო, გამგებელი, რწმუნებული და ა. შ.), რაც დღეს დანიშნითია, რადგან მაშინ მეტი პასუხისმგებლობა ექნებათ ხალხის და არა ზემოთ მდგომი „შეფების“ წინაშე.

### ადმინისტრაციული დაყოფის და მართვის პრობლემები

რესპონდენტები თვლიან, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის საკითხში არასწორი და დისკრიმინაციულია.

რესპონდენტების აზრით (ქართულ ჯგუფს ამ საკითხზე აქცენტი არ გაუკეთებია), არასწორია სამცხეს და ჯავახეთის ერთ ადმინისტრაციულ მხარედ გაერთიანება და განსაკუთრებით ხელოვნურია ბორჯომის ამ ერთეულში შემოყვანა. მათი აზრით, ეს გაკეთდა იმისათვის, რომ რომელიმე რეგიონში არ ჩამოყალიბებულიყო სომხების უმრავლესობა და, შესაბამისად, შემცირებულიყო მათი პროპორცია სამმართველო ორგანოებში.

რესპონდენტების მცირე ნაწილის აზრით, საკრებულოებში სოფლების გაერთიანება ისეთი პრინციპით ხდება, რომ შემცირდეს ხელისუფლებაში სომეხთა თემის წარმომადგენელთა რიცხვი. რამდენიმე სომხური სოფელი ერთ საკრებულოშია გაერთიანებული, ხოლო ქართულ სოფლებს დამოუკიდებელი საკრებულოები აქვთ.

დისკრიმინაციის გამოვლინებად მიაჩნიათ რესპონდენტებს ისიც, რომ თუმცა, ახალქალაქის რაიონი უფრო დიდია, სამხარეო ადმინისტრაციული ცენტრი ახალციხეშია. სისტემა ისეა აწყობილი, რომ ჯავახეთის მაცხოვრებელს ყველა ბიუროკრატიულ წვრილმანზე (მაგ., პასპორტის, დაბადებისა თუ მართვის მოწმობის ასაღებად) ახალციხეში უხდება ჩასვლა. ამას თავის სასარგებლოდ იყენებენ ჩინოვნიკები, რათა სომეხ მოქალაქეებს განსაკუთრებით ბევრი ფული გამოსძალონ. ეს ძალზედ ართულებს ყოველდღიურ ცხოვრებას და, ამავე დროს, აუარესებს ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების დამოკიდებულებას ხელისუფლებისადმი.

## პრივატიზაცია და საკუთრების ფორმები

რესპონდენტებმა ეკონომიკური სიტუაციის აღწერისას მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს პრივატიზაციის საკითხს. დიდი უმრავლესობა თვლის, რომ სახელმწიფოს არ უნდა დაეშვა საწარმოების კერძო მფლობელობაში გადასვლა, ანუ საერთო-სახალხო საკუთრების მითვისება ცალკეული პირების მიერ. ასეთ აზრს განსაკუთრებით უფროსი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები იზიარებენ. შესაბამისად, პასუხისმგებელი სამუშაო ადგილების შექმნაზე სახელმწიფოა. უმრავლესობას ურჩევნია, საბიუჯეტო ორგანიზაციებში იმუშაოს, სადაც სახელმწიფო ყველა ორგანიზაციული საკითხის მოგვარებას უზრუნველყოფს.

არის განსხვავებული აზრიც, რომ, ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებიდან გამომდინარე, პრივატიზაციის პროცესი აუცილებელია, მაგრამ არა ისეთი უსამართლო და უკანონო ფორმით, როგორც საქართველოში მოხდა. საწარმოების ახალმა მეპატრონეებმა საწარმოო პროცესის აღდგენა კი არ სცადეს, არამედ გაყიდეს და გაანიავეს ხელში კაპიტებად ჩაგდებული ტექნიკა და შენობები. უმრავლესობის აზრით, პრივატიზაციის კანონში ჩადებული უნდა იყოს ვალდებულება ახალი მესაკუთრის მხრიდან, უზრუნველყოს აღებული ობიექტის ფუნქციონირება.

ამავე დროს, ყველა ჯგუფში იყო საუბარი კერძო ბიზნესსა და მეწარმის საქმიანობაზე. რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ საჭიროა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან. სინამდვილეში კი, სახელმწიფო არათუ ეხმარება, ხელს უშლის კიდევ მცირე ბიზნესის განვითარებას არასწორი კანონებითა და კორუმპირებული ჩინოვნიკების არმით.

## კორუფცია

### კორუფცია სახელმწიფო დაწესებულებებში

რესპონდენტების ერთსულოვანი შეფასებით, კორუმპირებულია ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ყველა დონეზე. თუ რაიმე საკითხის მოსაგვარებლად მოქალაქე მოხელეს ქრთამს არ გადაუხდის, იმდენ ხანს ატარებენ, იმდენ გზის ფულს და დროს დაახარჯინებენ (ახალქალაქიდან ახალციხეში სიარულში), რომ უფრო მეტი დაუჯდებათ, ამიტომ მოქალაქე იმთავითვე მზად არის ზედმეტი მისცეს. რესპონდენტების შეფასებით, იჩაგრება ყველა რიგითი მოქალაქე, მაგრამ სომხები მეტად, ვინაიდან მათთვის არაოფიციალური გადასახადი უფრო დიდია, ვიდრე ქართველებისათვის.

*„ჩემს დისშვილს საზღვარგარეთის პასპორტი უნდა აეღო და ოთხი დღე იბარებდნენ ზედმედ, იმიტომ რომ უფროსი თბილისში იყო წასული და მის ნაცვლად ვერავინ ვერ გააკეთებდა მის საქმეს. გოგონა კი ერევანში მიდიოდა გამოცდების ჩასაბარებლად და აკვიანდებოდა პასპორტის გამო. მშობლები იძულებული გახდნენ ზედმეტი მიეცათ“* (ჯგ. I, N6, მამრ., 41 წ.).

კორუფციის მიზეზებად ასახელებენ ჩინოვნიკთა მცირე ხელფასს, მოსახლეობის გაუნათლებლობას სამართლის სფეროში, თვითონ მოსახლეობის მენტალიტეტს და ეთნიკურ მომენტს. მათი აზრით, როცა ხელფასი 40 ლარი ან უფრო ნაკლებია და ადამიანს ოჯახი აქვს შესანახი, ის ბუნებრივად კორუფციის გზას დაადგება.

*„ყველგან ფულს გთხოვენ. იმათ ზევითა აქვთ ასატანი, მთელი სისტემაა კორუმპირებული“.* (ჯგ. VI, N7, მამრ., 32 წ.).

### პოლიცია

აღინიშნა საგზაო პოლიციის უსამართლო მიდგომა მოსახლეობისა და განსაკუთრებით ეთნიკური სომხებისადმი. მანქანას ახალქალაქის ნომრებით ყოველ ნაბიჯზე აჩერებენ და ფულს სთხოვენ, მიზეზით თუ უმიზეზოდ.

*„გაჩერებენ, ხედავენ რომ სომეხი ხარ, და ფულს გთხოვენ. ან რაზე მიზეზს მოგიძებნიან, ან უბრალოდ იმიტომ, რომ სომეხი ხარ, რატომ ქართული არ იციო“* (ჯგ. II, N5, მამრ., 21 წ.).

მოსახლეობა თავისი ქცევით თვითონაც ახალისებს ამ უკანონობას პოლიციის მხრიდან. მძღოლები ხანდახან მანამდე აჩერებენ მანქანას და უწვდიან 2-3 ლარს, ვიდრე პოლიცია ანიშნებს.

*„ხშირად მოსახლეობას თვითონ აწყობს კანონის დარღვევა, ანუ ქრთამის მიცემა. თუ რაღაც წესრიგში არა აქვს და ჯარიმა გადასახდელი 20 ლარი, მისცემს 3 ლარს და ყველა კმაყოფილია“ (ჯგ. VI, N5, მამრ., 27 წ.).*

მოსახლეობას სხვა სახის პრობლემებიც აქვს პოლიციასთან. მოიყვანეს შემთხვევა, როცა მოსახლეობამ ელექტროენერჯის უქონლობასთან დაკავშირებით საპროტესტო აქცია მოაწყო გამგეობის შენობასთან. მათ არავინ არ დაელაპარაკა გამგეობიდან, პოლიციელებმა კი ძალის გამოყენებით დაშალეს და ცემეს კიდევც.

### კორუფცია სომხეთის საზღვარსა და საბაჟოზე

რეგიონის მოსახლეობას მჭიდრო კავშირი აქვს სომხეთთან. არსებობს ნათესაური და სვაჭრო ურთიერთობები. ახალგაზრდების უმრავლესობა სასწავლებლად მიდის ერევანში, ბევრი რუსეთში სამუშაოდ სომხეთის გავლით მიდის. ამიტომ მათთვის ძალზედ აქტუალურია სასაზღვრო რეჟიმი და საბაჟო სამსახურის მიერ დადგენილი წესები და ფასები. არსებული ოფიციალური და არაოფიციალური წესებისა და ფასების პირობებში საზღვრის გადაკვეთა საკმაოდ ძვირი და რთულია.

როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სომხეთის მხარეზე მხოლოდ ერთი გამშვები პუნქტია, სადაც ხდება საბაჟო კონტროლის გავლა და საზღვრის გადაკვეთის ნებართვის მიღება, ქართულ მხარეზე კი შექმნილია ასეთი 6-7 პუნქტი, სადაც განდევინებენ ფულს და დროს გაკარგვინებენ. მათი სიტყვებით, ყველა არსებული სტრუქტურა, ვისაც არ ეზარება, გააჭიმავს თოკს, დაირქმევს რაიმე სახელს (მაგ. „სანიტარული შემოწმება“) და მისი გადალახვისათვის ითხოვს ფულს.

ამის გამო ძვირდება სომხეთიდან შემოტანილი საქონელი. წელს თითქმის სამჯერ გაძვირდა ხილი, რადგან გაიზარდა როგორც საბაჟო გადასახადი, ისე ზემოხსენებული თოკების ოდენობა. მათი აზრით, ქვეყნისთვისაც და მოსახლეობისათვისაც უფრო სასარგებლოა, რომ სომხეთთან საზღვარზე გადასვლა არსებითად გაადვილდეს.

*„ერთი ტომარა კარტოფილი რომ წაუღო ნათესავს, ხუთჯერ ძვირი დაეიჯდება. ყველა ნაბიჯზე ფულს განდევინებენ. ვისაც არ ეზარება, გაჭიმავს თოკს და რომ გაატაროს, ფული უნდა მისცე.“ (ჯგ. I, N8, მამრ. 39 წ.).*

*„რამდენიმე ადგილზე უნდა გაიარო შემოწმება და გადაიხადო ფული. ველარ გაიგებ, რომელია ოფიციალური და რომელი ვილაცის მოგო-*

ნილი. იყოს ერთი წერტილი, სადაც გაივლი საბაჟო შემოწმებას და დაამთავრებ.“ (ჯგ. IV, N4, მამრ., 64 წ.).

## ცალკეული პოლიტიკური საკითხები

### რუსეთის სამხედრო ბაზა

რუსეთის ბაზის გატანის საკითხთან დაკავშირებით ერთსულოვნება იყო ყველა ასაკობრივ, სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფში. თუმცა, ქართველ და სომეხ რესპონდენტებს სხვადასხვა ემოციური დამოკიდებულება და რამდენადმე განსხვავებული არგუმენტები ჰქონდათ. რესპონდენტების ძირითადი ნაწილი წინააღმდეგია ბაზის გატანის და ამ პროცესის დაწყების შემთხვევაში სოციალურ არეულობას და სერიოზულ საპროტესტო გამოსვლებს წინასწარმეტყველებს.

ბაზის მნიშვნელობის დასაბუთება ძირითადად ორი – ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის – არგუმენტით ხდება. მოდერატორის კითხვაზე პირველ რიგში ეკონომიკური შინაარსის არგუმენტაცია მოდის და შემდეგ პოლიტიკური, თუმცა, ემოციური რეაქციების ხარისხის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ რესპონდენტებისათვის მეორე ტიპის არგუმენტები უფრო ღირებულია.

რესპონდენტების ინფორმაციით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 1500 ადამიანი) დასაქმებულია ბაზაზე და ეკონომიკურადაა დამოკიდებული იქაურ ხელფასზე, რომელიც დროულად გაიცემა და არსებული სიდუხჭირის ფონზე მაღალია. ასევე დადებით ფაქტორად აღინიშნა, რომ ბაზის წყალობით რუსეთიდან შემოდის სამრეწველო საქონელი და საკვები პროდუქტები (მაგ. ფქვილი). ადგილობრივი გლეხებისათვის მნიშვნელოვანია, რომ ბაზის თანამშრომლების სახით ჰყავთ სასოფლო მეურნეობის პროდუქციის მომხმარებელი.

ამავე დროს, რუსეთის ბაზას აღიქვამენ უსაფრთხოების გარანტად. საფრთხის ძირითად წყაროდ ამ დროის მოიაზრება თურქეთი. სომხური მოსახლეობისათვის თურქეთი აღიქმება მტრულ სახელმწიფოდ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე (მე-20 საუკუნის დასწყისში მოხდა სომხების მასიური ჟლეტა და დევნა თურქეთიდან და მაშინ მხსნელად მოეკლინათ რუსეთი). საქართველოს ჯარს არავინ თვლის სანდო დამცველად სომხების ისტორიული მტრის – თურქეთისაგან. უფრო მეტიც, რესპონდენტები შიშობენ რომ, თუ ბაზა გავა, შესაძლოა, შემოვიდეს ნატოს ჯარი თურქების სახით, ეს კი მათთვის განსაკუთრებით მიუღებელია.

*„ბაზა რომ გავიდეს, თურქები მოვლენ. თურქები ჩვენი მტრები არიან, ამიტომ ჩვენ ამას არ დაუშვებთ. მათ სომხების გენოციდი მოაწყვეს, ჩვენ არ მივცემთ ბაზის გაყვანის ნებას, როცა ეს დააპირეს, მთელი ხალხი ფეხზე დადგა. იგივე განმეორდება.“ (ჯგ. VI, N4, მამრ., 64 წ.).*

ამავე დროს, მნიშვნელოვანი ნაწილი (ქართული ჯგუფის გარდა) ბაზას განიხილავს როგორც საკუთარი სახელმწიფოს – საქართველოს – შესაძლო აგრესიისაგან დამცველს. რესპონდენტებმა გაიხსენეს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც აგრესიულად იყო განწყობილი ეთნიკური უმცირესობების მიმართ და ეყრდნობოდა ლოზუნგს „საქართველო ქართველებისათვის.“ შიშობენ, რომ ასეთი სიტუაცია შეიძლება ისევ განმეორდეს და მაშინ მფარველად რუსულ ბაზას ხედავენ:

*„საქართველოს ხელისუფლებისგან დასაცავად გვინდა ბაზა, კიდევ ერთი გამსახურდია რომ მოვიდეს, ვინ დაგვიცავს“ (ჯგ. II, N6, მამრ., 28 წ.).*

ქართველი რესპონდენტები მსგავს არგუმენტებს არ იზიარებენ, მაგრამ მათაც ურჩევნიათ, რომ რუსეთის ჯარი დარჩეს, რადგან ამას შეჩვეულები არიან და გაურკვევლობა აშინებთ. ისინიც ვერ ხედავენ სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული გეგმის არსებობას, თუ როგორ გადაიჭრება ბაზის გაყვანის შემთხვევაში შექმნილი პრობლემები. თუმცა, ქართულ ჯგუფში განსხვავებული აზრიც იყო გამოთქმული:

*„ეკონომიკურად შეიძლება გამართლებულია სხვა ქვეყნის ჯარი, მაგრამ პოლიტიკურად არ არის გამართლებული არც ერთი ქვეყნის ჯარი, არც რუსული, არც თურქული. საკუთარი ჯარი უნდა გვყავდეს“ (ჯგ. VI, N6, მამრ., 33 წ.).*

## საქართველოს ჯარი

რუსეთის ბაზის გაყვანის საკითხთან მიმართებაში განხილულ იქნა საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო შესაძლებლობები. რესპონდენტების ერთსულოვანი აზრია, რომ საქართველოს საზღვარი თურქეთის მხრიდან სრულიად დაუცველია, რომ საქართველოს არმია არ ჰყავს და რეგიონში მყოფი მშვიერი ჯარისკაცების იმედი ვერავის ექნება. რესპონდენტების ინფორმაციით, 2-3 სამი ჯარისკაცია გამწესებული საზღვრის დასაცავად და ისინიც მოსახლეობის გამოსაკვებია. ჯარისკაცები საკვების საფასურად ადგილობრივი გლეხებისთვის საოჯახო-სასოფლო სამუშაოებს ასრულებენ. საქართველოს არ შეუძლია ჯარის შენახვა, არ აძლევს ახალწვეულებს არანაირ ცოდნასა და წვრთნას.

რესპონდენტებმა გააკრიტიკეს სახელმწიფოს მიდგომა ძალოვანი სტრუქტურების მიმართ. მათი აზრით, ქვეყანას არ სჭირდება ასეთი ოდენობის ჯარი და პოლიცია, მით უმეტეს, როცა არა აქვს სახსრები მის შესანახად. ასევე, არ უნდა არსებობდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურიც. ახალგაზრდა რესპონდენტების ნაწილს გავლილი ჰქონდა სამსახური საქართველოს ჯარში და მათი შეფასებით, აქ ახალგაზრდებს ცხოვრებას უმახინჯებენ და არაფერს ასწავლიან. ხშირია შემთხვევები, როცა ჯარიდან ინვალიდები ბრუნდებიან. გაწვევის სისტემა უსამართლოა, როგორც წესი, მიჰყავთ ის, ვისაც ფული არა აქვს. ასევე ხშირად ხვდებიან ჯარში ახალგაზრდები, ვისაც ჯანმრთელობის გამო გაწვევა არ ეკუთვნის. რესპონდენტების აზრით, უფრო სწორი იქნება პროფესიული, ნებაყოფლობითი სამხედრო სამსახურის შემოღება.

*„უნდა იყოს პროფესიული ჯარი. ჯარისყვანი ხელფასს უნდა იღებდეს. ახალგაზრდა სამხედრო სამსახურს, როგორც პროფესიას, უნდა ირჩევდეს“.* (ჯგ. VI, N7, მამრ., 32 წ.).

## მაჰმადიანი მესხების რეპატრიაცია

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა კატეგორიულად წინააღმდეგია მაჰმადიანი მესხების დაბრუნებისა და ამას ემოციურად გამოხატავს. ამასთან ისინი თვლიან, რომ რეპატრიაცია სხვადასხვა სახისა და ხარისხის კონფლიქტის მიზეზი გახდება.

გამოქმული მოსაზრებები შეიძლება სამ ძირითადად პოზიციად და-ვაჯგუფოვდეს:

- ◆ დიდი უმრავლესობა, ვინც უპირობოდ ეწინააღმდეგება რეპატრიაციას;
- ◆ მცირე ნაწილი, ვინც თვლის, რომ მაჰმადიან მესხებს აქვთ დაბრუნების მორალური და კანონიერი უფლება, მაგრამ დღევანდელ რთულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში ეს არეულობასთან და კონფლიქტებთან იქნება დაკავშირებული. აქვე შეიძლება გავაერთიანოთ ისინიც (ძირითადად, ქართველი რესპონდენტები), ვინც ასევე თანახმაა მათი დაბრუნებისა, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქართველოს სხვა რეგიონებიდან (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი) ღვენილები სახლებში დაბრუნდებიან;
- ◆ უმნიშვნელო უმცირესობა, ვისაც არაფერი აქვს რეპატრიაციის საწინააღმდეგო და არც კონფლიქტების საშიშროებას ხედავს მასში. ამ ჯგუფს მივაკუთვნეთ ისინიც, ვინც რეპატრიაციის მომხრეა მხოლოდ

იმ პირობით, რომ განსახლება მოხდება არა სამცხე-ჯავახეთში, არამედ – მთელ საქართველოში.

ზოგადად შეიძლება დავასკვნათ, რომ მოსახლეობა რეპატრიაციის პრობლემას განიხილავს უფრო ეთნიკური კუთვნილების კატეგორიებში, ვიდრე ადამიანის, მოქალაქის უფლებების განხორციელების ტერმინებში.

ამავე დროს იგრძნობა, რომ რესპონდენტებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია პრობლემის ირგვლივ და ძირითადად ჭორებს ეყრდნობიან. ის, რომ მთავრობა მოსახლეობას არ აწვდის ინფორმაციას საკუთარ გეგმებზე, მათთვის ნიშნავს, რომ მათი აზრი არავის აინტერესებს. ასეთი დამოკიდებულება მათში იწვევს აგრესიას როგორც მთავრობის, ასევე პოტენციური რეპატრიანტების მიმართ.

როგორც სამხედრო ბაზის საკითხში, თავიანთი პოზიციის გასამართლებლად რესპოდენტები პირველ რიგში ასახელებენ ეკონომიკურ არგუმენტებს, მაგრამ შემდგომი დისკუსია და მისი ემოციური ფონი აჩვენებს, რომ ეთნო-პოლიტიკური და ისტორიულ მეხსიერებაზე აგებული არგუმენტები უფრო მნიშვნელოვანია.

ეკონომიკური არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ გაუმართლებელი არსებული სიდუხჭირის ფონზე ახალი ეკონომიკური ტვირთის აკიდება. რეგიონში კიდევ უფრო დამძიმდება სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, რაც, თავის მხრივ, შექმნის კონფლიქტის წინაპირობებს.

*„თუ ოჯახში ორი მშვიდია და კიდევ დაემატება, რა მოხდება? კარგი არაფერი. იჩხუბებენ“ (ჯგ. I, N7, მდგრ. 48 წ.).*

*„საქართველოს არ შეუძლია ამ პირობებში დამატებით რამდენიმე ათასი ადამიანის შენახვა“ (ჯგ. II, N2, მამრ. 29 წ.).*

ბევრის ვარაუდით, შეიქმნება პრობლემები დეპორტირებულთა ქონებასთან, სახლებთან და მიწასთან დაკავშირებით. მათ სახლებში ახლა სხვები ცხოვრობენ, ხოლო სავარგული მიწები ძირითადად გადანაწილებულია. ზოგიერთ რაიონში თვითონ ადგილობრივები დავობენ მიწის გამო და ახალი სირთულეების დამატება არ არის საჭირო. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე ნაწილმა ქართველების ჯგუფში თქვა, რომ არც ისე უიმედოდაა საქმე და საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა მოიძებნოს მიწის ნაკვეთი.

მოდერატორის კითხვას, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში თუ იქნებიან თანახმა მაჰჰადიანი მესხების დაბრუნებაზე, კვლავ უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მოწინააღმდეგეებს ნებისმიერ ეკონომიკურ სიტუაციაში გაუმართლებელად მიაჩნიათ მათი დაბრუნება, რადგან კონფლიქტური სიტუაციები სხვა, კერძოდ, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე შეიქმნება. აქაც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა რესპონდენტმა

ტმა ქართველების ჯგუფიდან მეტი შემწყნარებლობა გამოიჩინა: მათი აზრით, აღმსარებლობა არ არის რეგიონში მოსახლეობას შორის დაპირისპირების მიზეზი. მაგალითად მოიყვანეს აჭარლები, რომლებიც ასევე მაჰმადიანები არიან.

მეტი წონა ეძლევა ეთნიკურ ფაქტორს. რესპონდენტების დიდი ნაწილი (ძირითადად, ეთნიკური სომხები და ქართველების ნაწილი) დეპორტირებულებს ეთნიკურ თურქებად მიიჩნევს და, ისტორიული არგუმენტების მოშველიებით, მტრებად აღიქვამს. მათ მიაჩნიათ, რომ მკვიდრ მოსახლეობას შეადგენენ სომხები და ქართველები, ხოლო თურქებს აქვთ თავიანთი ისტორიული სამშობლო – თურქეთი, და მესხეთში მათი ადგილი არ არის.

*„თურქები ქართველებისა და სომხების მტრები არიან. სწორი გააკეთა იოსებ ბესრიონის ძე სტალინმა, რომ გადაასახლა ისინი. რამდენი სომეხი ამოხოცეს?! ჩემი აზრით, არ უნდა დაბრუნდნენ. იქნებ ახალციხელებს უნდათ, რომ დააბრუნონ. თუ ამას იზამენ, სუმგაითი<sup>1</sup> იქნება“ (ჯგ. I, N2, მამრ., 73 წ.).*

*„აქ ძველი მოსახლეობა არის სომხები და ქართველები, [მაჰმადიანი] მესხები სტუმრები არიან“ (ჯგ. II, N2, მამრ., 29 წ.).*

ბევრი რესპონდენტი საკითხს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ფართო კონტექსტში სვამს. როგორც ითქვა, ზოგი ქართველი რესპონდენტი თანახმაა რეპატრიაციასზე იმ პირობით, თუ ჯერ ქართველ ლტოლვილებს დააბრუნებენ აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში. სომეხი რესპონდენტები პარალელს აკლებენ მე-20 საუკუნის დასაწყისის მოვლენებთან, როცა თურქეთიდან სომხები გამოდევნეს. ისინი საკმაოდ ემოციურად აცხადებდნენ, რომ ვიდრე თურქეთის სახელმწიფო არ აღიარებს სომხების გენოციდის ფაქტს, თურქ მესხებს არ ექნებათ რეგიონში დაბრუნების უფლება. ისინი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებიან რეპატრიანტების დაბრუნებაზე თანახმა, თუ სომხებსაც დააბრუნებენ თურქეთში და თურქეთი მითვისებულ მიწებს სომხეთს დაუბრუნებს.

*„მხოლოდ იმ შემთხვევაში დაბრუნდნენ თურქი-მესხები, თუ სომხების გენოციდს აღიარებენ თურქები, მატერიალურ კომპენსაციას მისცემენ სომხებს და წართმეულ ტერიტორიას დაუბრუნებენ“ (ჯგ. IV, N8, მამრ., 45 წ.).*

---

<sup>1</sup> აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაითში 1998 წელს მოხდა სომეხი მოსახლეობის მასობრივი დარბევები და მკვლელობები.

რესპონდენტებს საეჭვოდ მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ მაჰმადიანი მესხები ჯიუტად მოითხოვენ ჩასახლება ეკონომიკურად დატყვევებულ რეგიონში, საიდანაც ადგილობრივი მოსახლეობა გარბის. მათი აზრით, რეპატრიანტებს უფრო პოლიტიკური ინტერესები ამოძრავებთ, ან ვიღაც იყენებს მათ თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის. კერძოდ, მათი აზრით, მაჰმადიანი ანუ თურქი მესხების ჩამოსახლება თურქეთის ექსპანსიონისტური გეგმების, პან-თურქიზმის პოლიტიკის აღორძინების ნაწილია:

*„აზერბაიჯანელებისა და თურქების ჩანაფიქრია, თავით საზღვართან ახლოს კომპაქტურად ჩამოსახლონ თურქები. ეგენი სწრაფად მრავლდებიან, აქედან სომხებს და ქართველებს გაყრიან და მერე რა იქნება? გახდება თურქეთი“ (ჯგ. V, N5, მამრ., 52 წ.).*

*„ვილაცას აწყობს მათი აქ დაბრუნება, თორემ აქაურებიც კი გარბიან აქედან. პანთურქიზმის პროგრამა მუშაობს, ამ მიწების დაპყრობა უნდათ, მუსულმანური სამყაროს გაერთიანება“ (ჯგ. III, N8, მამრ., 29 წ.).*

რესპონდენტების ნაწილს (უფრო ახალგაზრდებს), ამ აზრის გასამაგრებლად მოჰყავდა არგუმენტი, რომ ვინძლო უფროს დეპორტირებულებს შემორჩათ ნოსტალგია სამშობლოზე, მაგრამ ახალგაზრდა თაობას ასეთი გრძნობები ვერ ექნება. მათ არ იციან, რა არის საქართველო და მშვენივრად მოეწყვინენ იქ, სადაც არიან. თუ მაინც ჩამოსვლა უნდათ, ესე იგი ამის უკან რაღაც პოლიტიკური ჩანაფიქრია.

ზოგიერთის აზრით, რეპატრიანტებს იმდენ ფულად კომპენსაციას მისცემენ და თვითონაც იმდენი ქონება აქვთ დაგროვილი, რომ არ გაუჭირდებათ ჯავახეთში ცხოვრების აწყობა. მაგრამ, თუ ჩამოსულების ეკონომიკური დონე ადგილობრივებისაზე მაღალი იქნება, ეს ამ უკანასკნელთა მხრიდან აგრესიას გამოიწვევს.

გამოითქვა ასევე მოსაზრება, რომ რეპატრიაცია შეიძლება აინტერესებდეს სახელმწიფო ჩინოვნიკებს პირადი გამორჩენის მიზნით, ალბათ, რეპატრიაციის პროცესებზე დიდი თანხები გათვლილი და მათ ამ თანხების ნაწილის მითვისების იმედი აქვთ.

განიხილეს ასევე საკითხი, თუ ვინ არის დღეს პასუხისმგებელი გასულ საუკუნეში მაჰმადიანი მესხების მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, ანუ მათ უსამართლო გადასახლებაზე. დიდი ნაწილის აზრით, ამ ხალხის მიმართ დანაშაული საბჭოთა მთავრობამ და სტალინმა ჩაიდინეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილი, როგორც ასაკოვანთა, ისე ახალგაზრდებს შორის უმკვებს, რომ მაშინ ეს სწორი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან გადასახლებულები ნლობას არ იმსახურებდნენ. ნებისმიერ შემთხ-

ვევაში, დღეს არც რეგიონის მოსახლეობა და არც საქართველო არ არის ამჟამად პასუხისმგებელი. დღეს პასუხისმგებლობა მათზე შეიძლება აიღოს რუსეთმა ან – უფრო მეტად – თურქეთმა, ვინაიდან გადასახლებულები თურქები არიან.

## სასაზღვრო და საბაჟო პუნქტი კარწახში

რესპონდენტთა დამოკიდებულება სოფელ კარწახში თურქეთთან სასაზღვრო/საბაჟო პუნქტის გახსნის მიმართ შეიძლება სამი ძირითადი პოზიციის სახით ჩამოვყავალიბოთ:

- ◆ არ უნდა გაიხსნას საბაჟო პუნქტი კარწახზე, ეს არაფერ დადებითს არ მოუტანს მხარეს არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური თვალსაზრისით.
- ◆ შეიძლება გაუმჯობესდეს ეკონომიკური სიტუაცია, მაგრამ ამას თან მოჰყვება უარყოფითი პროცესებიც.
- ◆ საბაჟოს გახსნა დადებითი მოვლენა იქნება და ის არანაირ საფრთხეს არ გულისხმობს.

ყველა საკვლევ ჯგუფში უმრავლესობა პირველ პოზიციას გამოხატავდა, ანუ უარყოფითად აფასებდა საზღვრის გახსნას თურქეთთან ჯავახეთის ტერიტორიაზე და გზის გაყვანას. უარყოფითა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ეს არც ეკონომიკურად და არც პოლიტიკურად არაფერს დადებითს არ მოიტანს. იხიერებენ მხოლოდ კორუმპირებული ჩინოვნიკები. მაგალითისათვის მოჰყავთ ახალციხის რაიონში (ვალე) გახსნილი საბაჟო და ასკენიან, რომ ამის შედეგად ახალციხის რაიონის მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა არანაირად არ გაუმჯობესებულა.

*„საზღვრის გახსნა მილიონერებისათვის არის სასარგებლო. ჩვენთვის რა? შეიძლება ცუდიც იყოს. ნარკოტიკები შემოვა, ბანდილობა იქნება. მონებად გავვხდით და გვაძუშავენ“* (ჯგ. I, N3, მამრ., 37 წ.).

სხვების აზრით, ეკონომიკური მოგება კი იქნება, მაგრამ თანმდევი უარყოფითი შედეგები გადასწონის ამ მოგებას. ისინიც თვლიან, რომ გაიზრდება ნარკომანიისა და პროსტიტუციის საფრთხე, კიდევ უფრო გაიჩენება ტყე, რის შედეგადაც კიდევ უფრო გაძვირდება შეშა.

მცირე ნაწილი (მთელი რესპონდენტების დაახლოებით მეხუთედი) დადებითად აფასებს ამ შესაძლო პერსპექტივას. მათი უმრავლესობა ახალგაზრდა და/ან ქალია. მათი ძირითადი არგუმენტია საქონლის დიდი რაოდენობით შემოსვლა და გაიაფება.

ამ უკანასკნელ არგუმენტს ოპონენტების ნაწილი უპირისპირებს იმ აზრს, რომ გაიაფება კი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მხოლოდ დაბალი ხარისხის, უვარგისი ნაწარმის ხარჯზე:

*„უვარგისი ფქვილი შემოაქვთ, აქ მყოფი თურქები თვითონ არ ჭამენ თავიანთი ფქვილით გაკეთებულ პურს“ (ჯგ. V, N6, მდედრ., 35 წ.).*

*„90 წლის წინ თურქები აქაურ მოსახლეობას ფიზიკურად ანადგურებდნენ. შეიძლება ახლა ფიზიკურად არ დახოცონ, მაგრამ პროსტიტუციითა და ნარკომანიით დახოცავენ, ჯავახეთს არაფერ სარგებელს მოუტანს საზღვრის გახსნა“ (ჯგ. II, N1, მამრ., 18 წ.).*

ბევრი მოწინააღმდეგე ამ საკითხსაც თურქეთის, როგორც მტრის ხატის, ფონზე განიხილავს. ჯგუფის ნაწილის აზრით, ეს პოლიტიკური საკითხი უფროა, ვიდრე ეკონომიკური. მათი აზრით, ახალი გამშვები პუნქტიდან ღიად შემოვა იარაღი და ტანკები აზერბაიჯანისათვის, რაც აქამდე ფარულად ხდებოდა. ამასთან, ზოგიერთ ჯგუფში აღინიშნა, რომ მიუხედავად უარყოფითი დამოკიდებულებისა, სომხების რაღაც ნაწილი მაინც დადის თურქეთში სავაჭროდ.

## **სამომავლო პერსპექტივები და სურვილები რესპონდენტების თვალთ**

კითხვაზე, როგორ ხედავენ მომავალს, რა უნდა გაკეთდეს, რესპონდენტები (განსაკუთრებით უფროსი ასაკის ჯგუფიდან) დიდ ხალისს და იმედს არ იჩენდნენ: რა აზრი აქვს იმაზე ლაპარაკს, მაინც არაფერი შეიცვლებო. უმრავლესობის დამოკიდებულება ამბივალენტურია, მათ, ერთი მხრივ, რაიმე კონკრეტული გაუმჯობესების იმედი არა აქვთ, მაგრამ ზოგადად მაინც ამბობენ, რომ მომავალში რაღაც უკეთესი იქნება.

უმცირესობა იზიარებდა უკიდურესად პესიმისტურ პროგნოზს: რეგიონი დაიცლება მოსახლეობისაგან და ჩაკვდება. უფრო დიდი ნაწილი, მიუხედავად წუწუნისა, ამბობდა რომ შეეცდებიან, რაღაც გააკეთონ რაიონში ცხოვრების დონის ასამაღლებლად.

ახალგაზრდებიც კრიტიკულები და სკეპტიკურები იყვნენ, მაგრამ მოდერატორის „ზეწოლის“ შემდეგ, ჩამოეთვალათ, თუ რა არის გასაკეთებელი, მისახელი სფეროების და კონკრეტული საქმეების საკმაოდ გრძელ სიას ასახელებდნენ. მაგრამ ყველა შემოთავაზებული იდეა სკეპტიკური დამოკიდებულების ფონზე გამოითქმებოდა: რაიონი თავისი ძალებით ვერაფერს გააკეთებს, ხოლო სახელმწიფოს რაიმის გაკეთების

ან უნარი ან სურვილი არა აქვს. ეს პოზიცია შეიძლება ასე შევაჯამოთ: არის საკმარისი ადამიანური და ბუნებრივი რესურსები მხარის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ საჭიროა სახელმწიფოსა და ინვესტორების დახმარება. გარედან დახმარების შემდეგ აღდგენილი ან შექმნილი სამრეწველო საწარმოებიც მომგებიანი გახდება და შემდეგ დამოუკიდებლად გააგრძელებს მოქმედებას.

უფრო დიდი გამოცოცხლება და ხალისი გამოიჩინეს ახალგაზრდებმა, როცა საუბარი ახალგაზრდული პრობლემების მოგვარებას შეეხო. მათ გამოხატეს საქმიანობისა და აქტივობის სურვილი, მაგრამ ხელისშემშლელად კვლავ ინფორმაციისა და ტექნიკურ-ფინანსური რესურსების ნაკლებობა დაასახელეს.

შეიძლება შეჯამებული ჩამონათვალის სახით წარმოვადგინოთ რესპონდენტებისაგან ბრენსტორმინგის მეთოდით გამოთქმული მოსახრებები იმის თაობაზე, თუ რა არის რეგიონში სასწრაფოდ და ოპერატიულად მოსაგვარებელი:

- ◆ გაკეთდეს ჭებო.
- ◆ აღდგეს წარმოება, შეუწყონ ხელი მცირე ბიზნესს და ფერმერობას.
- ◆ შემცირდეს გადასახადები, მძიმე კლიმატის გამო რეგიონისთვის შემოიღონ საგადასახადო შეღავათები.
- ◆ სახელმწიფომ გასცეს ხელფასები და პენსიები და გაიზარდოს მათი ოდენობა.
- ◆ მიხედონ განათლების სფეროს.
- ◆ თუ შეუძლებელია, რომ სამედიცინო მომსახურება მთლიანად უფასო გახდეს, შემოიღონ შეღავათები ღარიბებისთვის.
- ◆ კანონები და ინფორმაცია მისაწვდომი იყოს არა მარტო ქართულად, არამედ რუსულად და სომხურად.
- ◆ მოხდეს მოსახლეობისა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის განათლება კანონებისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე.
- ◆ სახელმწიფომ შეიმუშავოს და განახორციელოს სახელმწიფო ენის სწავლების რაციონალური და ჰუმანური პროგრამა. ამ მიზნით მოხდეს ადგილობრივი მოსახლეობისაგან კადრების აღზრდა თბილისში და მათი უკან დაბრუნება, მათი ფინანსური დაინტერესება.

- ◆ დაიძლიოს დისტანცია ცენტრსა და რეგიონს შორის, მთავრობამ მეტად გაითვალისწინოს მოსახლეობის აზრი. შეიქმნას დემოკრატიული ინსტიტუტები, გამგებლისა და რწმუნებულის თანამდებებები არჩევითი გახდეს.
- ◆ არ მოხდეს ადამიანის უფლებების დარღვევა.
- ◆ კორუფციას გამოეცხადოს რეალური ბრძოლა ყველა დონეზე და ყველა სფეროში. გაფართოვდეს ინფორმაციული და კომუნიკაციური არხები, განვითარდეს ადგილობრივი მასმედია.
- ◆ ხელი შეეწყოს კულტურულ ცხოვრებას.
- ◆ მთავრობამ ხელი არ შეუშალოს და პირიქით, ხელი შეუწყოს ახალგაზრდულ ინიციატივებს, ახალგაზრდული ორგანიზაციების შექმნას.

## CIPDD-ის ბიბლიოთეკა

1. შარლ ლუი მონტესკიე. *კანონთა გონი*
2. *რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციასზე*  
(ს. ფრანკი, ნ. ბერდიაევი, ს. ბულგაკოვი)
3. *ჭკუა ვაისაგან*  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
4. ვია ნოდია. *საით?* (პოლიტიკური პუბლიცისტიკა)
5. *დემოკრატის კლასიკური დოკუმენტები*
6. **Мераб Мамардашвили. Классический и неклассический идеалы рациональности**
7. **ГРУЗИЯ – Данные о Вооруженных Силах**  
(Материалы Русской разведки 1921 г.)
8. ვაცლავ შაველი. *ძალა უძალოთა*
9. ჟან ჟაკ რუსო. *საზოგადოებრივი ხელშეკრულება*
10. *საზოგადოება და პოლიტიკა I*  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების აღმანახი)
11. მომე დაიანი. *ცხოვრება ბიბლიით*

12. იოჰან ჰაინცა. *HOMO LUDENS*  
(ნაშრომი კულტუროლოგიაში)
13. მერაბ მამარდაშვილი. *ლექციები ფსიქოანალიზის შესახებ*
14. *საქართველოს პოლიტიკური სისტემა* (ცნობარი)
15. დავით ლოსაბერიძე. *თვითმმართველობა საქართველოში*
16. ფრენსის ფუკუიამა. *ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი*
17. ვია ნოდია. *კონფლიქტი აფხაზეთში – მიზეზები და გააზრება*
18. *საზოგადოება და პოლიტიკა II*  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
19. *საზოგადოება და პოლიტიკა III*  
(სოციალური და პოლიტიკური კვლევების ალმანახი)
20. *სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოს მაგალითზე*
21. ედვარდ ჰელეც კარი. *რა არის ისტორია?*
22. *საზოგადოება და პოლიტიკა IV*
23. ქ. ს. ლუისი. *უბრალოდ, ქრისტიანობა*